ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდნა

ნოემბერი
№ 11 1987

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსკოვი. კრემლის ყრილობათა სასახლე. აქ სადღესასწაულოდ ამაღლებულ და საქმიან ვითარებაში გაიხსნა 1987 წლის 2 ნოემბერს, დილის 10 საათზე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა.

მოხსენება „ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხ. **მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვმა.**

ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება

შვიდი ათწლეული გვაშორებს 1917 წლის ოქტომბრის დაუვიწყარ დღეებს. იმ ლეგენდარულ დღეებს, რომლებმაც დასაბამი მისცა საზოგადოებრივი პროგრესის ახალ ეპოქას, კაცობრიობის ჭეშმარიტ ისტორიას. ოქტომბერი მართლაცდა კაცობრიობის „ვარსკვლავური უამი", მისი აისია. ოქტომბრის რევოლუცია — ეს არის ხალხის რევოლუცია და რევოლუცია ხალხისათვის, ადამიანისათვის, მისი განთავისუფლებისა და განვითარებისათვის.

შვიდი ათწლეული სულ მცირე დროის მონაკვეთია მსოფლიო ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვანი აღმასვლის გზაზე, მაგრამ ისტორიას არ ახსოვს გამარჯვებათა მასშტაბით ისეთი პერიოდი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გამოიარა დიდი ოქტომბრის გამარჯვების შემდეგ. არ არსებობს იმაზე უფრო მეტი პატივი, ვიდრე ის, რომ ადგე პირველმკვალავთა გზას, მთელ ძალღონეს, ენერგიას, ცოდნას, უნარს ახმარდე ოქტომბრის იდეებისა და მიზნების გამარჯვებას!

იუბილე სიამაყის მომენტია. მიღწეულის გამო სიამაყისა. ჩვენ უმძიმესი განსაცდელი გვხვდა წილად. და მას ღირსეულად გავუძელით. არათუ გავუძელით, არამედ გამოვტაცეთ კიდეც ქვეყანა ნგრევა-გაპარტახებისა და ჩამორჩენილობის კლანჭებს, გადავაქციეთ იგი მძლავრ სახელმწიფოდ, სახე ვუცვალეთ ცხოვრებას, ძირფესვიანად გარდავქმენით ადამიანის სულიერი სამყარო. XX საუკუნის უმაგალითოდ სასტიკ ბრძოლებში დავიცავით საკუთარი ცხოვრების წესის უფლება, დავიცავით ჩვენი მომავალი. სრულიად საფუძვლიანად ვამაყობთ იმითაც, რომ ჩვენი რევოლუცია, გარჯა და ბრძოლა კვლავაც უდიდეს ზემოქმედებას ახდენენ მსოფლიო განვითარების ყველა მხარეზე — პოლიტიკასა და ეკონომიკაზე, სოციალურ სფეროსა და თანამედროვეთა ცნობიერებაზე.

იუბილე ხსოვნის მომენტია. იმ მილიონობით ადამიანის ხსოვნისა, რომელთაგან თითოეულს მიუძღვის წვლილი ჩვენს საერთო სოციალისტურ მონაპოვრებში. იმათი ხსოვნისა, ვინც ფოლადს ადნობდა, პურს თესდა, ბავშვებს ასწავლიდა, მეცნიერებას და ტექნიკას აწინაურებდა, ხელოვნების მწვერვალებს ლაშქრავდა. იმათი ნათელი ხსოვნისა, ვინც სამშობლოს დასაცავად თავი გაწირა და საკუთარი სიცოცხლის ფასად საზოგადოებას წინსვლის შესაძლებლობა მისცა. განცდილისა და განვლილის წარუშლელი ხსოვნისა, ვინაიდან სწორედ ყოველივე ამან შექმნა დღევანდელი დღე.

იუბილე განსჯის მომენტია. იმის განსჯისა, თუ რაოდენ ძნელად და რთულად წარიმართებოდა ხოლმე ზოგჯერ ჩვენი საქმე და სვე-ბედი. ყველაფერი ყოფილა — გმირულიც, ტრაგიკულიც, დიდი გამარჯვებებიც და მწარე მარცხიც. ჩვენ დაძაბული აღმშენებლობის სამოცდაათი წლის შესახებ განვსჯით ხალხის პოზიციებიდან, ხალხისა, რომელიც მზად არის გაიღოს მთელი თავისი ძალები, სოციალიზმის მთელი უდიდესი პოტენციალი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნისათვის.

იუბილე მომავლის ჭვრეტაც არის. ჩვენი მიღწევები გრანდიოზული, წონადი და მნიშვნელოვანია. ისინი ახალი მიღწევების, საზოგადოების შემდგომი განვითარების მტკიცე საძირკველი და ბალავარია. სწორედ სოციალიზმის განვითარება, ლენინიზმისა და ოქტომბრის იდეების და პრაქტიკის განგრძობა მიგვაჩნია ჩვენი საღღეისო საქმეებისა და საზრუნავის არსად, ჩვენს უპირველეს ამოცანად და ზნეობრივ მოვალეობად. ეს კი გვიკარნახებს, რომ საჭიროა სერიოზულად და საფუძვლიანად გავაანალიზოთ ოქტომბრის, ყოველივე იმის ისტორიული მნიშვნელობა, რაც ოქტომბრისშემდგომი შვიდი ათწლეულის მანძილზე გაგვიკეთებია.

მ. ს. გორბაჩოვი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმეთ!

დროშა

№ 11 (611), ნოემბერი, 1987

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნომერშია:

ოთარ ჭინჭლაძე. რევოლუცია გრძელდება.

ვასილ მჭედლიშვილი. თუ ვეღარ შევხვდით ერთმანეთს.

ალექსანდრე ამფიტეატროვი და მისი „ბატონი ოგმანოვები".

ალექსანდრე ჭუთათელი. პირისპირ (ერთი თავი რომანიდან).

დავით კანდელი. ზამთრის სასახლის კომენდანტი.

არკადი ვასილიევი. არის ასეთი პარტია.

მიხეილ ჯიბუტი, ელგუჯა მექვაგიშვილი. სამეურნეო მექანიზმი, სტრუქტურა, პერსპექტივები.

თაოგბათა შეხვედრა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი. მე თვითონ...

ქართველი პოეტები ოქტომბერს.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1987 წ.

მთავარი რედაქტორი

ოთარ ჭინჭლაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა გახტაძე (პ/მგ. მდივანი), ოთარ გერიშვილი, ვასილ გვეტაძე, ნათელა გიორგოგიანი, ოთარ დემეტრაშვილი, სერგო დურმიშიძე, ვახტანგ ესვანჯია, ჯემალ მეხრიშვილი, დინარა ნოდია (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღუა, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.

3 ეტრეგრადი,

ზამორის სასახლე.

იგი აღიეს 2 საათსა და 4 წუთზე. 25-დან 26-ს ოქტომბერს.

იდან 1917 წლის ვვიანი შუამდგომა.

სმოლნი. პირველი სართული. ოთახი № 36. მიმდინარეობს პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

მუშათა და გლეხთა პირველი მთავრობა: სახალხო კომისართა საბჭო. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი). პირველი სახალხო კომისრები...

ვ. ი. ლენინი:

— ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში და რუსეთის მესამე რევოლუციას საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება.

მოჰკვა.

მაგრამ, ძნელი სავალი ალმოჩნდა ეს გზა რევოლუციიდან. ვიდრე სოციალიზმის გამარჯვებამდე.

ბევრი დაეცა ამ გზაზე გმირულად. ბევრი შეეწირა რევოლუციურ გარდაქმნებს. უდანაშაულო მსხვერპლიც ბევრი იყო: დასმენან, დაბეზღებან, შუბრაც ჭმნა თავისა ბოროტი საჭმე.

სამოქალაქო ომი: შიმშილი. სიცივე. ნგრეკა. და მაინც გამარჯვება. მაინც შენება. მაინც წინსვლა.

პეტროგრადში შეიარაღებული აჯანყების გამარჯვებამ მძლავრი ბიძგი მისცა სოციალური რევოლუციის განვითარებას ყოფილი იმპერიის მთელ უზარმაზარ ტერიტორიაზე. კონტრრევოლუციონერთა გაფფთიპული წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა ხელისუფლება თანდათან ფა მტკიცედ იკიდებს ფეხს ყველგან — ქალაქადაც და სოფლადაც. მეფის რუსეთის ეაკვ ბუმბიდეულ ეგრეთ წოდებულ „განაპირა მხარეებშიც“.

საქართველო. 1921 წელი. 11 თებერვალი. რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კაეკანის ბიუროს დრიექტეეის საფუძველზე დაიწყო შეიარაღებული აჯანყება, რომელიც რამდენიმე დღეში საქართველოს მთელ ტერიტორიას მოედო. 16 თებერვალს აჯანყების სახელმძღვანელად შეიქმნა საქართველოს რევოლუციური კომიტეტი, რომელშიც შეიდნენ ფ. ე. მახარაძე, მ. ფ. ორახელაშვილი, შ. დ. ელიავა, ა. ა. გეგეჭკორი, მ. მ. კვირკველია, ა. მ. ნაზარეთანი და სხვები. რევკომმა საქართველო საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოაცხადა და 18 თებერვალს შშრომელი მოსახლეობას მოწოდებით მიმართა:

— ყველაზან დამხეთ მეზშვეიკების ხელისუფლება, ხელში აიღეთ ძალაუფლება ადგილებზე, შექმენით ადგილობრივი რევოლუციური კომიტეტები, ხელი მოაკიდეთ იარაღს, ამხანაგი შშრომელნო! წინ, საბჭოთა ხელისუფლებისათვის!

1921 წელი. 25 თებერვალი. საქართველოს აჯანყებულმა შშრომელებმა, საბჭოთა რუსეთის წოდელი არმიის ნაწილების მხარდაჭერით, სძლიეს მეზშვეიკური ჯარების წინააღმდეგობას და თბილისში შეეიეხნენ.

მოსკოვი. ვ. ი. ლენინს, ი. ბ. სტალინს:

— თბილისზე საბჭოთა ხელისუფლების წოდელი დროშა ფრიალეს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს. ს. ორჯონიკიძე.

1921 წელი. 10 მარტი. ვ. ი. ლენინს დიდეკტეეი მეთოთმეტე არმიის რევოლუციურ სამხედრო საბჭოს:

— სრული კონტაქტი დამყარეთ საქართველოს. რევკომთან, პატივისცემით მოეპყრათ საქართველოს სუვერენულ ორგანოებს, განსაკუთრებული ყურადღება და სიფრთხილე გამოიჩინეთ ქართველი მოსახლეობის მიმართ.

პირველი სოციალისტური გარდაქმნები საქართველოში.

საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრიობის შექმნა.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) პირველი ყრილობა.

პირველი ხუთწლედები.

ინდუსტრიალიზაცია.

კოლექტივიზაცია.

მუშა კაცის დაძაბული შრომით დაღლილი წლები.

თავბრუდამხვევი წარმატებებისაგან.

მიღწევები.

გადახრები.

შეცდომები.

1937 წელი.

გამარჯვების დღე.

და ომის შემდგომი წლების ძნიმე აღმართი.

კვლავ მიღწევები, გადახრები, შეცდომები.

მაგრამ შეუძლებელია, ყველა, თუნდაც დანაშაულებრივი შეცდომა პარტიოფილ ერთი, ცალკე „ბირთვნების კულტის“ მანკიერებას მიაწერო. და შეუძლებელია ისიც, რომ დროის იმავე პერიოდში მიღწეული წარმატებები განიხილო ისე,

70

ოთარ ჭინჭლაძე

რევოლუციის

თითქოს ამ წარმატებებს იმავე პიროვნების თუნდაც უბრალო მონაწილეობის გარეშე მივაღწეთ.

ასეთი რამ არ ხდება.

ეს ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

სიმართლის თქმა თუ გვინდა, იგი ბოლოძდე უნდა ითქვას.

ყველაზან, ყველაფერში.

ამის გაკეთება აქამდე ვერა და ვერ მოხერხდა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობა.

კრიტიკული ანრის გაეღვება.

შემდეგ ისევ სუბიექტიზმი, ეოლუენარიზმი და... შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის უნაყოფო ცდები.

ამის გამო მოხდა, რომ 70-იან წლებში იმატა სიძნელეებმა, მნიშვნელოვნად შეხლილა ეკონომიური ზრდის ტემპი და ვერ შესრულდა ვეიც ეკან პროგრამით დასახული ეკონომიკის გაფართოებების ამოცანები, ვერც მეცხრე და მეათე ხუთწლედების უფრო მკაცრე დაკალებენე კი. ძოლად ვერ განხორციელდა ვეიც ამ წლებინათვის დასახული სოციალური პროგრამა. ჩამორჩა მეცნიერებისა და განათლების, ჯანმრთელობის დაკვნისა და მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების მატერიალური ბაზა.

აღნიშნულის გათვალსწინებით, აუცილებელია მასშტაბურად მივიდგეთ სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგების შეფასებას და პარტიის საპროგრამო ამოცანები განვიხილოთ იმ მიზეზების სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე, რომლებმაც განაპირობეს ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში არსებული ნეგატიური მოვლენები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობა:

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა ღიმესულად აფასებს მიღწეულს და თავის მოკალთადან მიაჩნია აღალმართოდან და დაუფარავად მოახსენოს პარტიასა და ხალხს ჩვენი პოლიტიკური და პრაქტიკული საქმიანობის ხარვეზები, ეკონომიკისა და სოციალურ-სულიერ სფეროში არსებული უკეთური ტენდენციები, ასევი მოვლენების მიზეზები. წლების მანძილზე, და არა მარტო ობიექტური ფაქტორების, არამედ აგრეთვე, უწინარესად, სუბიექტური ბიგის მიზეზების გამო, პარტიული და სახელმწიფო ორგანოების პრაქტიკული მოქმედება ჩამორჩენოდა დროის, თვით ცხოვრების ნაკვეთს. ქვეყნის განვითარებაში პრობლემები უფრო სწრაფად გროვდებოდა, ვიდრე იჭრებოდა. ინერტულობა, მართვა-გაგეკეობის ფორმებისა და მეთოდების გახევება, მუშაობაში დინამიზმის შენელება, ბიუროკრატიზმის ზრდა — ყოველივე ეს დიდ ზიანს აყენებდა საქმეს. საზოგადოების ცხოვრებაში თანდათან იჩინა თავი უძრაობის მოვლენებმა.

და, ამისდა მიუხედავად.

მ. ს. გორბაჩოვი:

— რამდენი ცვლილებები მოხდა ჩვენი რევოლუციის შემდეგ — არამარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში, რა პროცესებს მისცა ბმა დასაბამი! და ყოველივე ამას უნდა ვუყურებდეთ ფაროდ, არ აკუვეთ რაღაც ცალმხრივ წარმოდგენებს და გაწყვიტლებებს. ამაზე ვარ ვეაგები ჩვენს დამოკიდებულებას ყველაფრისადმი, რაც ოქტომბრის შემდეგ იყო, თორემ შეიძლება დავიბნეთ, ამხანაგნო. მე მგონია, ვერასოდეს ვერ ვაპატიებთ ან არც უნდა ვაპატიოთ ან გავამართლოთ ის, რაც 1937-1938 წლებში მოხდა. ვერასოდეს. ამისათვის პასუხს აგებენ ისინი, ვინც მაშინ ხელისუფლებას ეფდა სათავეში. მაგრამ, ეს, ამხანაგებო, არ აკინებს ყოველივეს ამას, რაც დღეს გვაქვს, რაც გააკეთეს პარტიამ, ხალხმა, გამოიარეს რა ეს გასაცდელი. დანაკარგები სერიოზული იყო, დიდი, ეიკეთ თუ რა მოჰკვა 37-38 წლებს, რა დარტყმა მიაყენა ამან პარტიის კადრებსა და ინტელიგენციას, სამხედრო კადრებს და მაინც მოგალეხი ვართ, დავიხართ, რა უდიდესი ძალა აქვს სოციალიზმს, ჩვენს წყობილებას, რომელმაც ეს გადაიტანა, შეება ნაციზმს და გაიმარჯვა. ამიტომ, რაკი ჩვენ 70 წლისთავზე ვლაპარაკობთ, უნდა ვამაყობდეთ ჩვენი დიდი ხალხით, მისი ისტორიით, მისი ბრძოლით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმმა დასაბამი მისცა ჭეშმარიტად რევოლუციური ხასიათის გარდაქმნებს ჩვენი პარტიის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ორგანიზმორეულ საქმიანობაში.

რევოლუცია გრძელდება.

ის სოციალისტური შინაარსის ახალ თვისებრივ ხასიათს იძენს.

მეტი სოციალიზმი.

ისევ და ისევ მეტი სოციალიზმი, რომელმაც საზოგადოებრივი განვითარების თანამეგზავრე ეტაპზე თავისი ახალი რეზერვები, ახალი შესაძლებლობანი, ახალი პერსპექტივები უნდა გამოავლინოს.

დავიჩქარით ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარება!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმზე წამოყენებული ეს დებულება დღევანდელობის რევოლუციურ გარდაქმნათა ქვაკუთხედია.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობაზე:

— დაჩქარების ტრანსფორმაციის ეკონომიკის დარგში მიღწეული გარდაქმნებით. იგი ითვალისწინებს აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებას, სოციალისტური სამართლიანობის პრინციპის თანამიმდევრულ დამკვიდრებას. დაჩქარების სტრატეგია ეკულისმობს საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფას, პოლიტიკური და იდეოლოგიური ინსტიტუტების შეშობის ფორმებისა და მეთოდების განახლებას, სოციალისტური დემოკრატიის გაღრმავებას, ინიციის, უძრაობისა და კონსერვატიზმის — ყოველივე იმის გადაჭრით დაძლევას, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ პროგრესს.

ეს კი ადამიანებზე, თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული ეს სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ახლა წინა პლანზე ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გაძლიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემა.

ფაქტორი, ანუ მეთოდელი, შემქმნელი და რაიმე მოვლენის განმსაზღვრელი ან პროცესის მამოძრავებელი ძალა.

ერთ მთლიანობაში უნდა იქნეს განხილული თანამედროვეობის შინაარსის გამომხატველი ისეთი ცნებები, როგორიცაა გარდაქმნა, დაჩქარება, ადამიანის ფაქტორი.

ადამიანის ფაქტორია, გარდაქმნის, ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების განმსაზღვრელი და ამ ჭეშმარიტად რევოლუციური პროცესის მამოძრავებელი ძალა.

ადამიანის ფაქტორის გაძლიერების აუცილებლობას დაბეჭდავენ გეოკარნანეს ის კონკრეტული ეკონომიკური და პოლიტიკური ეითარეა, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ისტორიული პროცესის სწორედ ის განსაკუთრებული ხანა, რომელსაც გადიან საბჭოთა საზოგადოება და მთელი მსოფლიო.

თითოეულ კომუნისტს მოეთხოვება შემოქმედება, ნოვატორობა, უნარი — გასცეს ჩვენეულ, მაგრამ უკვე დრომოჭმული წარმოდგენების ფარგლებს.

— საჯაროობა დაუბრკოლებლად მოქმედ სისტემად უნდა ეაქციოთ. იგი საჭიროა ცენტრში, მაგრამ ორანაკლად და შეიძლება უფრო მეტად არის საჭირო ადგილებზე, სადაც ცხოვრობს და შუმობს ადამიანი.

— ადამიანს სურს იცოდეს და უნდა იცოდეს კიდეც ერა მარტო ის, რაც წყდება სახელმწიფო მასშტაბით, [illegible] გადაწყვეტილებებს ეფიენენ ადგილობრივი პარტიული [illegible] ორგანოები, საწარმოთა ადმინისტრაციანი [illegible]

— სოციალისტური დემოკრატიზმის გაფართოებისა და შემდგომი განვითარების ამოცანებს უნდა ემსახურებოდეს ადამიანის სოციალურ-პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების მთელი ბრესენი.

— უმთავრესი ყურადღება უნდა მივაპყროთ საქმის პრაქტიკული ორგანიზაციას, კადრებს, პარტიული აქტივის განაწილებასა და აღზრდას, მაგალი პარტიული მხარე მოვავლოთ მთელ ჩვენს საქმიანობას — ყველა დონეზე, ყველა ეშელონში.

ყოველივე ეს თავისთავად არ ეკეთდება, არც თავისთან მოდის. უნდა გვახსოვდეს, რომ:

— არ არსებობს კომუნისტის ავანგარდული როლი ზოგადად. იგი პრაქტიკული საქმეებით გამოიხატება.

ასეთი პრაქტიკული საქმეები ეკვე სახეზეა საბჭოთა საქართველოს სინამდვილეშიც და მიღწეულის რეალური შედეგებიც იქედის მომკვეს პერსპექტივებზე მიგვანიშნებს.

შუამდგომ კოლექტივები, რომლებიც საოქტომბრო ეიტაზე დადგნენ, დამკვრელური შრომის გამარჯვებას ეუბატკვნენ სამშობლოს. მათ მორის არიან ტყიბულელი მეშახტეები, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის მეტალურგები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწინავენი. ამასთან, ეგორნობა ნაცა წლებინათვის დამახასიათებელი პარადოქსლობის, სადღესასწაულო „ჩმიურის“, ავრეთვე მოჩვენებითი თვითკმაყოფილების შენელების ტენდენციაც

მაგრამ!

მაგრამ, რევოლუციურ გარდაქმნათა პროცესი, რამაც ჩვენი საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესს სასურველი დაჩქარება უნდა მოანიჭოს, ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმდინარეობს. ეს კეკეკ საგრძნობია ინერციის ძალა, ძველი წარმოდგენების გავლენა, ფორმალიზმისა და საქმისადმი ბიუროკრატიული მოდგამის მრავალფეროვანი გამოვლენები ბევრგან — ეკონომიკის, განათლების, ჯანმრთელობის დაკვნის, კულტურული ცხოვრებისა და სოციალურ ურთიერთობათა სფეროებში.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წელი დაემთხვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX სრულიად საკავშირო კონფერენციისათვის აქტიური მზადების უაღრესად მნიშვნელოვან პეროიდს.

ნახევარ წელზე ოდნავ მეტი გვაკლიეს ჩვენი პარტიისა და ხალხის ცხოვრებაში ამ ეაოლესად მნიშვნელოვან მოვლენას. ამ დროისათვის უნდა შეეაჯამოთ პოლიტიკური გამოცდილება, რომელიც პარტიამ შეიძინა XXVII ყრილობის შემდეგ და შეფასება მივცეთ ჩვენს წინსვლას ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებებში. ამავე დროს სრულიად საკავშირო პარტიული კონფერენციისა ეაკანალოზებს ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის განხორციელების მიმდინარეობას, პარტიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოების გარდაქმნაში მოზაფინილობას.

მოხსენებაში „ოქტომბერი და გარდაქმნა: რევოლუცია გრძელდება“ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მ. ს. გორბაჩოვი აღნიშნავდა:

— ჩვენს ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემას რომ გარდაკმნილი, ეალდებული ვართ შევქმნათ, ჯერ ერთი. სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტაში ყველა შშრომელის რეალური ჩაბმის საიმედო და მოქნილი მექანიზმი. მეორეც, პრაქტიკულად ვასწავლოთ ადამიანებს ცხოვრობდნენ გაღრმავებული დემოკრატიის პირობებში, ადარათოებდნენ და ამტკიცებდნენ ადამიანის უფლებებს, ზრდიდნენ მასების თანამედროვე პოლიტიკური კულტურის. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა ვასწავლიდეთ და ვასწავლობდეთ დემოკრატიას.

დღის წესრიგში დგას ყოველი ჩვენგანის პოლიტიკური კულტურის ამაღლების გადაუდებელი ამოცანა. პარტიული ორგანიზაციის დღეინდელ ბრუნვა სიმისოო, რათა კომუნისტები პარტიელს სპეტაკი და პატიოსანი სახით მივიდეს პარტიულ კონფერენციაზე და ჩვენი ავანგარიანი როლით, რაც კონკრეტული სამეურნეო ეფექტიანობა, რესპუბლიკის შშრომელებს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მარად ცოცხალი იდეებისადმი ერთგულების შთამაგონებელი მაგალითი ეეფენეთ.

ოქტომბერი 1917-1987

თუ ველარ შევხვლიმ ერთმანეთს

ვასილ მჭედლიშვილი,
ჟურნალ „დროშის“ სპეციალური კორესპონდენტი (ქ. მოსკოვი).

ჩვენი ასაკის კაცს კი უნდა ჰქონდეს, უკვე, საკმაო გამოცდილება, რათა მეტად აღარ შეცდეს ადამიანებში, ასხვავებდეს გულწრფელობას და სიყალბეს სწორედ ადამიანურ ფასეულობათა ბოლომდე შეცნობისას. მსგავსი ცთომილებანი სიყმაწვილეს უფრო თან სდევს და მიამიტურ ბუნებასაც კარგა ხნის მანძილზე გაჰყვება ხოლმეო, — ასკვნიან ცხოვრების ჭირ-ვარამში გამობრძმედილი გონებანი. ვეთანხმებით, რასაკვირველია, მაგრამ კაზუსის გვერდაუვლელობა გვარწმუნებს, რომ მიუხედავად ჩვენ-ჩვენი დიდი მოწადინებისა, მაინც ვერ ავრიდებივართ იმ შეცდომათა გამეორებებს, სწორედ მიმნდობლურ, ხალას ურთიერთობათა წიაღში რომ ჩასაფრებულან. კი მაგრამ, როგორ ვერ მიხვდი, მეედროვეთა და ტარტიუფთა ხაფანგში რომ გაებიო! — დაგიწყებენ ჩიჩინს გულშემატკივრები. მაგრამ რა შენი ბრალია. ნუთუ მხოლოდ ეჭვითა და უნდობლობით ნაკვებ პრინციპებს უნდა ემორჩილებოდე?

და აი, დღეს, როდესაც ილუზიების თონთლო ხანას წერტილს უსვამენ საერთო-საჯარო გალაშქრებით, როდესაც თვითშემოქმედების ენთუზიაზმიდან საზოგადოება აშკარად პროფესიული, სერიოზული და ვაკაციური შემართების პლაცდარმზე გადადის, ადამიანური ყოფიერების ნებისმიერ სოციალურ უბანზე ერთგულ თანამოაზრეთა შეთანხმებულ მოქმედებებსაც სულ სხვა ფასი ედება და ერთობ მაღლდება კიდეც უანგარო, უკომპლექსო დამოკიდებულების მცნება. ნურავინ დაიტრაბახებს, თითქოს ისე მოაბიჯებს წუთისოფლის შარაგზაზე, ჯერაც მისთვის ავად არასოდეს დაუკრავთ ბედის დაფდაფებს.

მერე სრულიად მარტოდმარტოდ დარჩენილთათვის შეცნობილი თუ შეუცნობელი განსაცდელის წინაშე, თვალიც აუხელია და წყვდიადიც გაუნათებია სწორუპოვარ აზრს: ღალატი, როგორც ასეთი, არ ბუდობს უცნობებსა და შემთხვევით ნაცნობებში — ერთგული მეგობრების, ფიცვერცხლნაჭამთა შორის უყვარს ხოლმე წამოყელყელავება, და მუხანათური ნაბიჯის გადამდგმელში მარტო ამის ჩამდენს კი არ უნდა ვეჭვრეტდეთ, არამედ იმათაც, ახლობელთა ნდობით რომ სარგებლობდნენ. მშვენივრად იყვნენ გათვითცნობიერებულნი მოსალოდნელი სიმუხთლის შესახებ და ხმაც არ ამოიღეს, სულმოკლედ გაისუსნენ.

მაშ, ამის საწინააღმდეგოდ, როგორღა უნდა ვაფასებდეთ სიკვდილამდე ერთგულების მაგალითებს — საკუთარი პატიოსნებისა და ვაჟკაცობის წინაშე, ადამიანური ნამუსის პირისპირ უშიშრად თვალგასწორებული სიცოცხლის ნათელს!

მამაკაცურ სიყვარულსა და ერთგულებას ვგულისხმობ.

* * *

მოსკოვში მომუშავე ნებისმიერი ქართველი ჟურნალისტის პროფესიული ინტერესის ობიექტები და მარშრუტები ძირითადად საქართველოს შვილთა საამაყო საქმეების აღსაწერად და გადმოსაცემად ერთ წერტილში იყრიდა და დღესაც იყრის თავს. რამდენ ჭეშმარიტ პატრიოტს განუდიდებია მშობელი ერი ლეგენდად ქცეული მოღვაწეობის წყალობით, რამდენი ქართველისა და სხვა ეროვნების წარმომადგენლის ქმობის ფესვებზე ამოშრიალებულა დალოცვილი გარდაგების კეთილშობილური ხე. ახლა, რამდენი დაუვიწყარი, სამაგალითო ამბავი ფეთქავს მადლიერი თაობების სულსა და გულში, ითხოვს ხელახალ მწერლურ მოფერებას, ახალ-ახალი რაკურსით წარმოდგენას. რამდენი რამ ვიცით პეტრე ბაგრატიონის შესახებ, მაგრამ ცალკე, და ერთობ სერიოზული მეცნიერული შესწავლის ღირსად მიგვაჩნია დიდი მხედართმთავრისა და მისი ადიუტანტის, კაზაკ დენის დავიდოვის წრფელი ურთიერთობა.

ვინ არ იცნობს კიკვიძის ბიოგრაფიას, ვაგრამ ყველამ როდი იცის, თუ როგორი ძმობა აკავშირებდა სამოქალაქო რმის გმირს, სარდალ ვასილ ისიდორეს ძეს, ანუ ... ძეს თავის რუს თანამებრძოლებთან.

* * *

ანატოლ ჟელეზნიაკოვი დიდად საჩინო ისტორიული პიროვნებაა და ხალხი დღესაც მღერის მასზე, თუმცა მისი დაღუპვიდან ათწლეულები გავიდა. პოპულარულ სიმღერაში ნათქვამია, თითქოს, ჟელეზნიაკოვი ხერსონის ველზე დაეკრძალოთ.

ხერსონთან ველზე მაღალი ბალახია,
ხერსონთან ველზე ყორღანია...

ჟელეზნიაკოვი არასოდეს ყოფილა ხერსონში, მაგრამ უმღეროდნენ სწორედ ამ ქალაქში და ბანს აძლევდნენ ოდესაშიც და ეკატერინოსლავშიც, სადაც დაიღუპა და, აგრეთვე, დონის ტრამალებში, ელანთან შორეულ გრენადაშიც. ხერსონის ყორღანი პოეტ მიხეილ გოლოდნის შეთხზულია, სინამდვილეში კი გმირი დაკრძალულია მოსკოვში, ვაგანკოვის სასაფლაოზე, ვასილ კიკვიძის გვერდით. და ეს რაღაც შემთხვევითობის გამო როდი მოხდა.

...1918 წელი. რესპუბლიკა ცეცხლის ალშია გახვეული. თეთრგვარდიელები ლამობენ სამხრეთის ბეღლის — დონის, კუბანის, ვოლგისპირეთის მოწყვეტას რუსეთის სამრეწველო, რევოლუციური ცენტრებიდან. სასურსათო ეშელონები ცენტრისკენ ორი ძირითადი მაგისტრალით მიიწევდნენ: ვოლგისპირეთისა — კამიშინიდან და სამხრეთ-აღმოსავლეთისა — ცარიცინიდან. პირველ რიგში სწორედ ამ მეორის, ყველაზე მნიშვნელოვანი სასიცოცხლო არტერიის მოჭრას ლამობდნენ თეთრკაზაკები. მაგისტრალს კი იცავდნენ მთელი გზის გასწვრივ განლაგებული მცირერიცხოვანი წითელარმიული ნაწილები: ბორისოგლებსკ-პოვორინოს მონაკვეთს — სივერსის ჯარისკაცები, ბუდარინოდან პანფილოვომდე — კიკვიძის დივიზიის მებრძოლები, მიხაილოვკის რაიონში კი ყოფილი არმიელი ზემდეგის, ფილიპ მირონოვის წითელ კაზაკთა რაზმები იდგნენ. სამხედრო ისტორიკოსთა გადმოცემით, ამათგან ყველაზე ძლიერ და ბრძოლისუნარიან ერთეულს ჩვენი თანამემამულის დივიზია წარმოადგენდა.

ერთხელ ელანში, კიკვიძის დივიზიის განლაგებაში, გამოჩნდა მატროსების რაზმი, რომელსაც ახლდა ორი ჯავშნიანი მანქანა. ტრამალური მტვრის აბუქებით მოი-

წევდა რაზმი რკინიგზის სადგურიდან იმ დასახლებისკენ, სადაც იდგა მაშინ დივიზიის შტაბი.

— ანატოლ ჟელეზნიაკოვი, — წარუდგა კიკვიძეს ჯოლონის მეთაური. — მატროსების რაზმი და ორი ჯავშნისანი, „ლეიტენანტი შმიტი“ და „ვეფხვი“ მოგიყვანე. თქვენს განკარგულებაში ვარ!

— მადლობთ, ჟელეზნიაკოვ! — კიკვიძემ მხურვალედ ჩაიკრა გულში მატროსი. — დიდი დახმარებაა ჩვენთვის. აბა ახლა გვიყურონ თეთრებმა!

აი ამ შეხვედრითა და გულში ჩაკვრით დაიწყო კიდეც მათი მეგობრობა, რომელიც ლეგენდად დარჩა ისტორიას და მომავალ თაობებს, ხოლო იმ ცეცხლოვანი ჟამის მონაწილეთა შორის ბევრი ერთგული თანამოაზრეც შვა და, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, შურითა და ღვარძლით დათესლილი მტრობაც გააღვიძა იმათგან, ვისაც ყველაზე მეტად ენდობოდა რევოლუციური მოძრაობის ეს ორი ჭეშმარიტი რაინდი.

ჟელეზნიაკოვზე კიკვიძეს მანამდეც ბევრი სმენოდა. სახელგანთქმული პიროვნება იყო და იმიტომ.

...1917 წლის 6 ნოემბერს, დილის 5 საათზე, პეტროგრადის თავრიდული სასახლის გაჩახჩახებულ დარბაზში (სადაც დამფუძნებელი კრება, უფრო ზუსტად — ბოლშევიკებისა და მემარცხენე ესერთა წასვლის შემდეგ დარჩენილი კონტრრევოლუციური ნაწილი მუშაობდა), სასახლის დაცვის უფროსი — მაუზერებით შემოსალტული მატროსი შევიდა. მთელი დარბაზი გაიარა, ავიდა ტრიბუნაზე, სადაც თავმჯდომარეობდა მემარჯვენე ესერი ვ. ჩერნოვი. ხელი მხარზე დაადო მძიმედ, მტკიცედ და მოითხოვა სხდომის დამთავრება. რადგან (მისივე სიტყვებით) უკვე გვიანია და ყარაულიც დაიღალაო.

სხდომა დაიხურა, რათა უკვე აღარასოდეს აღორძინებულიყო: მეორე დღესვე, სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობაზე, სიტყვით გამოსულმა მატროსმა დამსწრეთ მოუთხრო იმღამინდელი ამბების შესახებ. სხვა დელეგატებთან ერთად ზამთრის სასახლის იერიშზე წავიდა, პირველი შეიჭრა შენობაში და მიიღო უშუალო მონაწილეობა დროებითი მთავრობის წევრების დაპატიმრებაში. მონაწილეობდა ბალტიისა და შავი ზღვის მეზღვაურთა დარაზმვაში, თეთრგვარდიელთა მნიშვნელოვანი ძალების განადგურებაში ბელგოროდთან. მანვე ჩაახშო კონტრრევოლუციური ამბოხებანი ხარკოვსა და ჩუგუევში, რევოლუციურ ჯარებს უკრაინიდან დონისკენ გაუკაფა გზა. მუშაობდა ოდესის იატაკქვეშეთში. დიდი წვლილი შეიტანა ინტერვენტთა ჯარების დეზორგანიზების საქმეში. აწყობდა ამხანაგების გაქცევებს ციხიდან. მწყობრიდან გამოჰყავდა მტრის გემები... გიორგი კოტოვსკისთან ერთად უმაგალითო თავდასხმა მოაწყო დენიკინის კონტრდაზვერვის შტაბზე. მატროსის დამჭერს ქალაქის ხელისუფალნი 400 ათას მანეთს აღუთქვამდნენ, მაგრამ— უშედეგოდ.

ყოველივე ეს კარგად იცოდა კიკვიძემ. მისთვის ჟელეზნიაკოვი იყო რევოლუციის პატიოსანი, უშიშარი და მამაცი ჯარისკაცი, ნამდვილად გმირი მებრძოლი.

ვასილ კიკვიძე — დასავლეთის ფრონტის ჯარისკაცთა დეპუტატობის ერთ-ერთი წინამძღოლი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთი პირველი ორგანიზატორი, მეოთხე არმიის სარდალი უკრაინაში. 1918 წელს კიკვიძის მეთაურობით ტამბოვში შეიქმნა ახალი, მეთექვსმეტე დივიზია, რომელიც გმირულად იბრძოდა ცარიცინის ფრონტზე და იმ ხანად, ერთ-ერთ ყველაზე მობილურ ძალას წარმოადგენდა. ერთი სიტყვით, ღირსეული პიროვნებები შეხვდნენ ერთმანეთს — გულმა გული იცნო! და აქ უკვე დადგა დრო ჩვენი წერილის ძირითადი არსის, კვანძის გასახსნელად არა მარტო მკითხველისთვის, რომელიც მუდამ რაღაც ახალს მოელის, თუნდაც უკვე მრავალგზის გადაღეჭილი თემებისა და სიუჟეტების წარმოდგენისას, არამედ ჩვენ-თვისაც. საინტერესოა, თუ როგორ შეძლება გამართლდეს ჩვენი თხრობის მაჯალობის ხაზის ლოგიკურობა.

მაშ ასე:

ჩვენ უკვე ვიცით, როგორც შეხვდნენ ერთმანეთს ვასო და ანატოლი, როგორი პიროვნული პოზიციები ეკავათ რევოლუციურ მოძრაობაში და, ამდენად, დარწმუნებულიც უნდა ვიყოთ იმაში, რომ მათ ღვაწლსა და დამსახურებასაც სათანადოდ შეაფასებდა კიდეც ფრონტის სარდლობაც და ახალგაზრდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობაც. თანაც, ამ ორი ადამიანის შეხვედრამ სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ყველაზე მძაფრ პერიოდში, ახალი სამხედრო მიღწევების ნათელი პერსპექტივებიც დასახა. ორი მძლავრი შემოქმედებითი ენერგია ხომ ერთი მიზნით, ერთი წყურვილით და ერთ კალაპოტში უნდა აფეთქებულიყო.

შეხვედრიდან ორი დღეც არ გასულა, რომ საოცრად გაბედული ოპერაცია განახორციელეს — პირადად კიკვიძე, ჟელეზნიაკოვი და მატროსი დოცენკო ჯავშნიანი მანქანებით შეიჭრნენ იერიშზე გადმოსული მტრის კავალერიის შუაგულში და ტყვიამფრქვევების ცეცხლით მუსრი გაავლეს. გონების თვალით შეიძლება წარმოვიდგინოთ სამი ჯავშნიანი მანქანა, სამი უშიშარი მამაკაცი და თეთრგვარდიელთა პანიკა! ცალ-ცალკე პოზიციიდან, მაგრამ უცბად ერთად, ერთი თავგანწირული ამოსუნთქვით რისხვად დაატყდნენ თეთრ კაზაკებს. ჟელეზნიაკოვსა და კიკვიძეს შემდგომშიც განუხორციელებიათ თამამი და ღრმა რეიდები თეთრების ზურგში და მათ რიგებში მუდამ საშინელი არევ-დარევა გამოუწვევიათ.

ლეგენდა ძმადნაფიცების ერთობლივი მოქმედების შესახებ მოედო ფრონტის ყველა უბანს. დიახ, ძმადნაფიცებისა, რადგან სწორედ ასეთად დარჩნენ ისტორიაში. ჩვენ არ ვიცით, თუ ზუსტად როდის და როგორ შეჰფიცეს ერთმანეთს ძმობა, დამსწრეთა წინაშე, საიდუმლოდ ერთი-მეორის წინაშე თუ ისე, შინაგანად, წმინდა სიტყვის უთქმელად, საუკუნოდ დაუკავშირდნენ ერთმანეთს, მაგრამ ფაქტია — ამის შემდგომ მოვლენების განვითარება

მხოლოდ მათი შეფიცული ერთგულების ამაღლებულ ჰიმნად გვესახება.

1987 წლის 14 აგვისტოს „ლიტერატურნაია როსიაში“ ვლადიმერ კოჩეტოვი წერს ჟელეზნიაკოვისადმი მიძღვნილ წერილში:

— ანატოლმა სახელი გაითქვა არა მარტო სიმამაცით, არამედ თავისი საოცარი ორატორული ხელოვნებითაც. პროპაგანდისტულ მოღვაწეობას ეწეოდა კიკვიძის დივიზიაშიც. ამას მოწმობს საბუთი № 481, რომელიც ჟელეზნიაკოვისთვის ელანში გაუცია დივიზიის კულტურულ-საგანმანათლებლო განყოფილებას „..იმად, რომ მას უფლება ეძლევა დამოუკიდებელი გამოსვლებისათვის აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებში ზემოხსენებული განყოფილების სახელით“. მალე საბრძოლო გზებმა მეგობრები სხვადასხვა ფრონტზე გადაისროლა. მოსკოვში ყოფნის დროს, ახალი დანიშვნის მიღებისას ჟელეზნიაკოვმა მისწერა ვასილ კიკვიძეს: „...თუ ვეღარ შევხვდით ერთმანეთს, თუ დავიღუპეთ ბრძოლაში, ვისურვებდი, რომ ერთმანეთის გვერდით დაგვმარხონ...“ და თუმცა ბრძოლების ქარ-ცეცხლში დამეგობრებულები იმ დროს ნაკლებად ფიქრობდნენ სიკვდილზე, ეს წერილი წინასწარმეტყველური და გამოსათხოვარი აღმოჩნდაო, — ასკვნის ავტორი.

წაიკითხავ პუბლიკაციის ამ მონაკვეთს და იფიქრებ, აი, ერთხანს გვერდი-გვერდ იბრძოდნენ, მერე, ბუნებრივია, ჟელეზნიაკოვმა ახალი პოსტებიც დაიმსახურა, სარდლობამ მოსკოვში გამოიძახა და მანაც, ჩვეულებრივად, ახლობლურ მოკითხვის ბარათში განშორებით ჩენილ სევდას ფატალური სიმებიც ჩააქსოვაო. ასეთი შთაბეჭდილება დარჩება მკითხველთა უმრავლესობას, რაკი არაფერი სმენია ნამდვილად მომხდარი ამბების შესახებ. მაგრამ მათი დაშორება საერთო-საბრძოლო საქმეებზე ზრუნვას კი არ გამოუწვევია, არამედ ცარიცინის ფრონტის სარდლობაში მყოფი ზოგიერთი ელემენტის მიერ ჩახვეულ კონკრეტულ ზრახვებს.

* * *

როგორც ირკვევა, ჟელეზნიაკოვი საკმაოდ გონიერი და ინტელექტუალური ადამიანი ყოფილა და მისმა მაძიებელმა, მშფოთვარე სულმაც ლოგიკურად მოძებნა თანამოაზრე — მისებრ გრძნობითა და ვაჟკაცობით ერთნაირად შემკული ქართველის ბუნება. მათ მხოლოდ სმენოდათ, თავდაპირველად, ერთმანეთის შესახებ, მაგრამ საკმარისი აღმოჩნდა ერთი შეხვედრაც, რომ გულში ჩაეკრათ ერთმანეთი და სიკვდილამდე ერთგულება შეეფიცათ. არ არის პატარა ამბავი, და სხვადასხვა ეროვნებათა წარმომადგენლების ერთმანეთთან ისტორიული დამოკიდებულებების საწყისების კვლევისას სოციალური და პოლიტიკური ასპექტების გვერდით წმინდა კაცური და ჯანსაღი ადამიანური ლტოლვაც უნდა გავითვალისწინოთ. ვაჟკაცობა ვაჟკაცობას დაეძებს და სიყვარული კი — სიყვარულს. ანატოლმა და ვასილმაც მოძებნეს ერთმანეთი.

ცარიცინის ფრონტის სარდლობასთან შეუთანხმებლად კიკვიძემ ჟელეზნიაკოვი თავისი დივიზიის მესამე ელანის პოლკის მეთაურად დანიშნა.

სამხრეთის ფრონტის სარდლის თანაშემწემ, ყოფილმა მეფის პოლკოვნიკმა ნოსოვიჩმა საშინელი ინტრიგა მოუწყო კიკვიძეს: დასწამა მრავალი ცოდვა და მათ შორის ის, რომ პოლკის მეთაურად მიიღო მეზღვაური, რომელსაც, ნოსოვიჩის აზრით, ადვილად შეეძლო დაეღუპა პოლკი, რადგან სახმელეთო საქმისა არა გაეგებოდა რა. ასეთივე აზრისა ყოფილა ფრონტის სარდალი ხიტინიც.

როგორც ვიცით, სინამდვილეში, მეზღვაურმა-მეთაურმა შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ მოვალეობას, [illegible] ყოველ-ნაირად [illegible] ... [illegible] ... [illegible] ...

ვალე გულის ნაწილი. იქნებ კიდევ შევხვდეთ ერთმანეთს. ახლა კი, მშვიდობით, მეგობარო!... თუ ვეღარ შევხვდით ერთმანეთს, თუ დავიღუპეთ ბრძოლაში, ვისურვებდი, რომ ერთმანეთის გვერდით დაგვმარხონ...“

როგორც ხედავთ, სულ სხვა ინტონაციას გვაწვდის, სულ სხვა — ტრაგიკული ტონალობით ყღერს აქ მოყვანილი ძმობის თავგადასავალი, ვიდრე ავტონომიურად ამოკრეფილ ამ სიტყვებს ახასიათებს: „...თუ ვეღარ შევხვდით ერთმანეთს...“

დიახ, ისინი მართლაც ვეღარ შეხვდნენ ერთმანეთს სიცოცხლეში, ოღონდ განგებამ მათ სიკვდილის შემდგომაც ერთმანეთის გვერდით ყოფნა არგუნა.

მოსკოვში ჟელეზნიაკოვის რეაბილიტაცია მოეწყო და ის კვლავ ჩაება ბრძოლაში კონტრრევოლუციონერებისა და ინტერვენტების წინააღმდეგ. კიკვიძე თავის პოსტზე დარჩა და განაგრძობდა დივიზიის უნარიან ხელმძღვანელობას მეტად მტრულ გარემოცვაში.

ვასილ კიკვიძე 1919 წლის 11 იანვარს იმსხვერპლა ბრმა ტყვიამ სტანიცა პრეობრაჟენსკის მახლობლად ხუტორ ზუბრილოვოსთან. ამბობენ, თეთრგვარდიელ კაზაკთა ნასროლი ტყვია იყოო, მაგრამ ექსპერტიზას ხომ ვერავინ ჩაატარებდა... ასე ანაზდად დაიღუპა მრავალ განსაცდელსა და ტყვიის წვიმაში გამოვლილი ქართველი ვაჟკაცი საბრძოლო პოზიციების ერთობ მშვიდი დათვალიერებისას. და იგი ჯერ მხოლოდ 23 წლისა იყო.

ანატოლ ჟელეზნიაკოვმა ძმადნაფიცის ხვედრი ზუსტად ექვსი თვის შემდეგ გაიზიარა. რეაბილიტირებულმა ჟელეზნიაკოვმა ხუდიაკოვის სახელობის ჯავშნიანი მატარებელი ჩაიბარა და დიდი როლი შეასრულა ატამან გრიგორიევის ბანდების განადგურებაში. 1919 წლის 26 ივლისს კი მისი ჯავშნოსანი დენიკინელთა ალყაში მოექცა სადგურ ვერხოვცევოსთან ეკატერინოსლავის (დღევანდელი დნეპროპეტროვსკის) მახლობლად. უთანასწორო ბრძოლაში ჟელეზნიაკოვმა გაარღვია ალყა და ის იყო, უკვე სამშვიდობოსაც გავიდა, ტყვიამფრქვევებით, ქვემეხებითა და ხიშტებით აფოფრილი მატარებლის გარნიზონმაც გამარჯვების ყიჟინა დასცა, რომ მეთაურის კოშკურიდან ამოზიდული 24 წლის ჟელეზნიაკოვიც მოძებნა ბრმა ტყვიამ.

ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ფრონტზე დაეცნენ ძმადნაფიცები, მაგრამ დღეს მაინც გვერდი-გვერდ უდგანან ერთმანეთს — მოუსყიდავნი, ნამუსიანნი, თანატოლნი და ერთნაირად გულგანგმირულნი.

ვასილ კიკვიძის ცხედარი თანახმად წითელი არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს გადაწყვეტილებისა, გადაასვენეს მოსკოვში. დაკრძალეს გამოჩენილი რევოლუციონერის, ნიკოლოზ ბაუმანის მახლობლად.

ანატოლ ჟელეზნიაკოვის ცხედარიც სპეციალური მატარებლით წაასვენეს მოსკოვს და თანახმად მისი ანდერძისა მებრძოლი ძმადნაფიცის, ვასილ კიკვიძის გვერდით მიაბარეს მიწას.

ოდესმე თუ მოხვდით ვაგანკოვის სასაფლაოზე, იქნებ დაგაინტერესოთ კიდეც ამ წმინდა ადგილის ხილვამ. არ გაგიჭირდებათ მიგნება. კიკვიძის მახლობლადვე განისვენებს მისი მოადგილეც მეთექვსმეტე დივიზიიდან — მედვედოვსკი, ასევე ბრმა ტყვიას რომ უმსხვერპლია, და აგრეთვე, მეოთხე ცხენოსანი არმიის კომისარი, მოღალატის ხელით მუხანათურად მოკლული ვლადიმერ მიქელაძეც აქვე, კიკვიძის საფლავის ირგვლივ, დაკრძალულია არაერთი კიკვიძელიც, საკუთარი ანდერძის თანახმად რომ განისვენებს ლეგენდარული მეთაურის გვერდით.

* * *

დღეს კიკვიძის სახელობის ... ჭოთა კავშირის მრავალი ქალაქის ქუჩა, სკოლა და სხვა დაწესებულება. კიევში ლესია უკრაინკას პროსპექტის გაგრძელებაა კიკვიძის ქუჩა. ამავე ქუჩაზე მდებარეობს კიკვიძის მუზეუმიც. ვოლგოგრადის ოლქის ყოფილ ქალაქ ზუბრილოვოს კიკვიძესკოე დაერქვა და სტანიცა ურიუპინსკაიაც ჩვენი თანამემამულის სახელმა შეამკო. ვორონეჟის ერთ-ერთი ქუჩა და ბაუმანის № 6 საშუალო სკოლაც კიკვიძის სახელობისაა. მდინარე ვოლგაზე დაცურავს გემი „კიკვიძე“, ხოლო ქუთაისსა და თბილისში კიკვიძის ძეგლებია აღმართული.

ვასილ კიკვიძის მიერ ტამბოვში შექმნილი მეთექვსმეტე დივიზია გმირულად იბრძოდა სამოქალაქო ომის ფრონტებზე და დიდი სამამულო ომის დროსაც დიდების შარავანდედით შემოსა ქართველი სარდლის სახელი.

როვნოში ამ რამდენიმე წლის წინათ უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი — კიკვიძის სახელობის ქუჩის თავში მდებარე შენობის ფასადს საზეიმოდ მიაკრეს გრანიტის ქვის ბარელიეფი წარწერით:

„მომმე ქართველი ხალხის შვილის, ვასილ კიკვიძის სახელობის ქუჩა. 1918 წლის თებერვალში მან შექმნა წითელი გვარდიის პირველი შენაერთი უკრაინაში და გაუძღვა მას რევოლუციის მტრების წინააღმდეგ“.

ვინც რა უნდა თქვას, ვასილ კიკვიძისა და ანატოლ ჟელეზნიაკოვის ძმობას სხვადასხვა ფესვები კვებავს და ჩვენც გვსურს, ბოლომდე ჩავწვდეთ ამ ოთხი შემაძრწუნებელი სიტყვის მაგიას: „...თუ ვეღარ შევხვდით ერთმანეთს...“

1891 წელს იგი თბილისიდან გაემგზავრა.

მას შემდეგ, რაც გაზეთი „როსია“ დახურეს, ფელეტონი „ბატონი ობმანოვები“, ცხადია, ალარ გამოქვეყნებულა, ვიდრე მონარქია არ დაემხო. განვმარტავთ იმ „ფსევდონიმებს“, რომელიც მწერალმა გამოიყენა.

ნიკა გახლავთ ნიკოლოზ II; ალექსეი ალექსეევიჩ ობმანოვი — მისი მამა, იმპერატორი ალექსანდრე III; მარინა ფილიპოვნა — ნიკოლოზ II -ის დედა; მარია ფეოდოროვნა, იგივე დანიელი პრინცესა დაგმარა, რომელმაც მართლმადიდებლობის მიღების შემდეგ სახელი შეიცვალა; ალექსეი ნიკანდროვიჩი — ნიკოლოზ II-ის პაპა; იმპერატორი ალექსანდრე II; ნიკანდრ პამფილოვიჩი — ალექსანდრე II-ის მამა, ნიკოლოზ I; მადმუაზელ ჟიული — ნიკოლოზ II-ის საყვარელი, ცნობილი ბალერინა მატილდა ქსეშინსკაია; „მზარეულის შვილებისთვის სიქის გაძრობაში“ იგულისხმება სახალხო განათლების მინისტრ დელიანოვის მიერ გამოცემული ბრძანება „მეეტლეების, ლაქიების, მზარეულების, წვრილი მედუქნეებისა და სხვა მათი მსგავსი ადამიანების შვილებისათვის კლასიკურ გიმნაზიაში სწავლის აკრძალვის შესახებ“.

●

როცა ალექსეი ალექსეევიჩ ობმანოვს, როგორც წესი და რიგია, პარაკლისი გადაუხადეს და საგვარეულო ეკლესიაში დაკრძალეს, სოფელ დიდ გოლოვიტიაპებში, იგივე ობმანოვკაში, მთელ მაზრაში გაუთავებელი მითქმა-მოთქმა დაიწყო. გუბერნიის ყველაზე დიდი მამული უპატრონოდ დარჩა, უზარმაზარი მაზრის თავადაზნაურობა კი წინამძღოლის გარეშე.

დასაფლავების დროს მოთქვამდნენ:

— არასოდეს გვეყოლება ასეთი კეთილისმყოფელი!

მაგრამ, ამავე დროს, უკლებლივ ყველა გრძნობდა:

— ახლა, ეტყობა, ცხოვრება უფრო გაიოლდება.

ამას თავისთვის ამბობდნენ, აბრის საჯაროდ გამოთქმას კი ერიდებოდნენ. საქმე ის იყო, რომ თუმცა გულის სიღრმეში ალექსეი ალექსეევიჩი არავის უყვარდა, სწორედ ამის გამო უხერხულ მდგომარეობაში ვარდებოდა, რატომ არ უყვართო.

— კარგი კაცია, მაგრამ, დახეთ ერთი, მომხიბლაობა აკლია.

— როგორი მემამულეა!

— სამაგალითო ოჯახის მამაა!

— ოჯახის წევრები ღვთისმოშიშებად აღზარდა!

— ჩვენმა თავადაზნაურობამ სწორედ მის ხელში ნახა სიკეთე. დროშა მაღლა ეჭირა!

— დიახ, დიახ, სხვებს კი არ ჰგავდა!

— ახლა სხვაგან ათასგვარი ჭირი გაჩნდა. ვაჭრები თაღლითობენ, გლეხუჭების ქომაგებმა თავი აიშვეს. ჩვენთან მათ ვინ გააჭაჭანებს!

— ისე ვყევართ, როგორც ქრისტეს უბეში.

ერთი სიტყვით, თითქოს საქმე ისე იყო, მიცვალებულს ყველა აქებდა, სულითა და გულით საკადრისს მიუზღავდა და მაინც, როცა კი კუბოს მიწა მიაყარეს, ბევრს სახეზე უცნაური გამომეტყველება აღებეჭდა, რაღაცნაირი ორაზროვანი გამომეტყველება, რომელიც შეგეძლო ან ასე გაგვეგო:

— ახლა ვიღა გვიპატრონებს ჩვენ, საბრალოებს?! ანდა:

— საფლავიდან ვეღარ ადგება. გულზე მოგვეშვა.

ასე გასინჯეთ, განსვენებულის ოჯახის წევრებიც კი საკმაოდ ორაზროვნად გამოიყურებოდნენ. ცოლი, მარინა ფილიპოვნა, ალექსეი ალექსეევიჩისგან დიდად იყო პატივნაცემი, რადგან ადრე გუვერნანტი იყო და სილამაზის გამო შეირთო. ახლა, როცა ტირილით გული იჯერა, მარინა ფილიპოვნამ საფლავს უკანასკნელად სცა თაყვანი და იმავე საიდუმლო გამომეტყველებით თქვა:

— მორჩა, ახლა ყველაფერი სხვანაირად იქნება.

ალექსეი ალექსეევიჩის ვაჟი, ნიკანდრ ალექსეევიჩ ობმანოვი, დიდი გოლოვიტიაპების ერთადერთი მეპატრონე, უბრალოდ, ნიკა-სულიკოს რომ ეძახდნენ, სხვებზე უფრო მეტად იყო შეცბუნებული. იგი მომცრო ტანის, კარგი გარეგნობის, მოკრძალებული კაცი იყო, ფრთხილი, მოხდენილი მოძრაობით გამოირჩეოდა. თვალები ხან მიმნდობი ჰქონდა, ხან — სევდიანი, როგორც სამხეცესში დამწყვდეულ არჩეს. მამას დიდ პატივს სცემდა და არასოდეს არაფერში შეპასუხებია. სამხედრო გიმნაზიის დამთავრე-

(დასასრული 23-ე გვერდზე)

პირველი

ალექსანდრე ქუთათელი

დილის ათი საათი იქნებოდა. ალექსანდრეს ბაღში სერგო ქავთარაძე შევიდა. ხეივანი გაიარა, შეჩერდა და ირგვლივ მიმოიხედა. ბაღი ცარიელი იყო. სასულე ორკესტრისათვის გამართული ესტრადა, რომელსაც მიტინგის დროს ტრიბუნადაც იყენებდნენ, დუმდა. ირგვლივ გაზეთების ნაკუწები, მზესუჭვრიტას ჩენჩო და თხილის ნაჭუჭები ეყარა. ფოთლებისაგან გაძარცულ ხეთა კენწეროებს ყვავები ეხვეოდნენ. ცარიელ ბაღს, მუშათა სასახლეს — ახლანდელ სასტუმრო „თბილისს“, მადათოვის კუნძულს და მტკვრის ტივებიან ნაპირს ავის მაუწყებელი ხმით დასჩხაოდნენ.

ბაღიდან ქავთარაძე გამზირზე გამოვიდა და საპარიკმახეროში შევიდა. პალტო და კეპი კაჩხაზე ჩამოჰკიდა, მაგიდასთან დაჯდა და ჟურნალ-გაზეთები გადაათვალიერა. წვერიანმა პარიკმახერმა — გიორგი ჯომარდიძემ გაუღიმა, მიესალმა და სავარძელი შესთავაზა. წვერის პარსვის დროს ჰკითხა:

— მიტინგი თერთმეტი საათისათვის არის დანიშნული?

წვერგაპარსულს ქუჩაში, საპარიკმახეროს წინ, პატარა, ქერა კაცი შეეყარა. პატარა კაცი სამხედრო საქმეთა მინისტრი, სოციალისტ-რევოლუციონერი ვლადიმერ გობეჩია იყო. ისინი კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ერთად სწავლობდნენ და ამხანაგებადაც კი ითვლებოდნენ, მაგრამ მერმე მათი გზები გაიყარნენ. ქავთარაძე ბოლშევიკი გახდა, გობეჩია კი — სოციალისტ-რევოლუციონერი.

— როგორ ბრძანდებით? — ჰკითხა გობეჩიამ.

— ვცხოვრობთ თქვენი ლოცვა-კურთხევით, — მიუგო ქავთარაძემ ღიმილით.

— ჩვენი ლოცვა-კურთხევა მაინცდამაინც ვერას გარგებთ.

— მართალია, ამბობენ მენშევიკები გართულნი არიან ციხეებში ბოლშევიკების მოთავსების საქმითო.

— მართალი თუ გინდა, მე პირადად არა ვარ მომხრე რეპრესიებისა, — შენიშნა გობეჩიამ და უსაყვედურა, — მაგრამ თქვენც გადაამლაშეთ. აი ახლაც სეიმის წინაალმდეგ ლაშქრობას აწყობთ. რა გინდათ, ძმაო? სეიმი ხომ საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი, საიდუმლო კენჭისყრით არის არჩეული?!

— ვიცით, ვიცით მაგ თქვენი ოთხფორმულიანი არჩევნების ფასი. რა შედეგი მიიღეთ მერმე? არც ერთი მუშა და არც ერთი გლეხი. სამაგიეროდ მრეწველები, მემამულეები და სასულიერო წოდების პირები ხომ ბლომად გაიყვანეთ? რაღა გიჭირთ, — ჰყვედრიდა ქავთარაძე.

— კარგი ერთი, სერგო, — იწყინა გობეჩიამ. — მაინცდამაინც არც მაგის თქმა შეიძლება. ჩვენ ამიერკავკასიის დემოკრატიის მთლიანობას და ერთსულოვნებას ვიცავთ და არა მის გათიშვას, მისი ძალების დაქსაქსვას. მაინცდამაინც ახლა არის ეგ საჭირო, როდესაც თურქეთი გვეომება და წინ მოიწევს.

— დაანებეთ თავი ლათაიებს! თქვენ ხომ მიტინგზე არა ხართ?! დემოკრატიის სოლიდარობა მუშებისა და გლეხების გარეშე რა სოლიდარობაა? სამაგიეროდ ბატონ რაფიბეგოვს ხომ მეგობრობთ! დაიხსომეთ — ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ნაციონალისტები ერთად ვერ მოსძოვენ. ამაში თქვენ მალე დარწმუნდებით.

— კარგი ერთი, სერგო. მაინცდამაინც არც მაგის თქმა შეიძლება. თქვენ ფანატიკოსები ხართ, ჩვენ კი — ცხოვრებას ვუწევთ ანგარიშს.

— თავი გაანებეთ ძველ ზღაპრებს. რაც შეეხება თურქებს, მათთან თქვენი ომი ტყუილია. განა თქვენ არ თანხმდებით ვექიბ-ფაშის მოთხოვნილებაზე, გამოაცხადოთ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობა და ამიერკავკასიის სეიმის ჩამოყალიბებით იურიდიულად გაიფორმოთ რუსეთიდან ამ მხარის ჩამოშორება, რათა უფრო ადვილად მოელაპარაკოთ და შეუთანხმდეთ თურქეთს?

გობეჩიას უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ გადაიფიქრა, ხელი ჩაიქნია და სეიმისაკენ გაეშურა. გობეჩია თვინიერი კაცი იყო და დათმობაზე ადვილად მიდიოდა. მაგრამ მათი შეთანხმება მაინც არ ხერხდებოდა. მათი გზები, როგორც ვთქვით, გაყრილიყვნენ.

ქავთარაძე ნელი ნაბიჯით გაუდგა გამზირს. როდესაც სახედრო ტაძარს მიუახლოვდა, დაინახა, როგორ გამოვიდა სასახლიდან ნოე ჟორდანია და საოპერო თეატრში დანიშნულ სეიმის გახსნაზე ქვეითად გაეშურა. ჟორდანიას თვალები დღეს უფრო მეტ განცვიფრებას და შეშფოთებას გამოხატავდნენ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ოთხ თვეზე მეტი გასულიყო და საბჭოთა სახელმწიფო, რომლის დამხობასაც იგი წინასწარმეტყველებდა, მაინც მტკიცედ იდგა. რუსეთში სოციალისტური ტიპის სახელმწიფოს აშენება ჟორდანიას არ სწამდა, არც სჯეროდა. ამიტომ იყო გაოცებული და განრისხებულიც. ამიტომ იყო მას — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარეს, ამავე საბჭოს გაუქმება რომ გადაეწყვიტა. მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს უნდა გადაეცა სახელმწიფოს მმართველობის ყველა ფუნქცია დემოკრატიული მთავრობისათვის, იმ მთავრობისათვის, რომელიც, ჟორდანიას წინადადებით, სწორედ დღეს, ათ თებერვალს, სეიმის სახით ყალიბდებოდა. საბჭოს მხოლოდ მთავრობის მოქმედებათა კონტროლის უფლება რჩებოდა. ეს უფლება ამიერკავკასიის მაშინდელმა მესვეურებმა მას მალე ჩამოართვეს და იგი უმოქმედო და უილაჯო ორგანოდ აქციეს. ყოველივე ეს მაშინდელი წყობილებისათვის კანონზომიერი იყო, რადგან მენშევიკების ლიდერი ნოე ჟორდანია რეფორმიზმს — კლასთა თანამშრომლობას, კაპიტალიზმის გზით სოციალიზმში შეზრდას იცავდა. ამიტომ მან თავისი პროგრამის განხორციელება ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური სახელმწიფოს შენებით დაიწყო, ვინც ჟორდანიას პროგრამას არ ეთანხმებოდა და მის განხორციელებას ხელს უშლიდა, მენშევიკები მას ხალხის მტრად და მოღალატედ აცხადებდნენ.

ნოე ჟორდანიას გვერდით მომცრო ტანის ბრგე ვაჟკაცი— ოფიცერი იმნაძე მიჰყვებოდა. ჟორდანიამ თავი დაუკრა ქავთარაძეს, იმნაძემ კი თვალი მოარიდა და განზე გაიხედა. ეს საქციელი ქავთარაძეს არ მოეწონა და გაუკვირდა. იმნაძე კარგად იცნობდა მას და აი, ახლა ათასი ფიქრი და ეჭვი დაებადა: „როგორ ავხსნა იმნაძის საქციელი? რად ამარიდა თვალი? ჩვენი შეხვედრა ყოველთვის მეგობრული იყო. მე ის 1915 წელს სოფელ ლანჩხუთში გავიცანი. მაშინ იგი ჩვენს რიგებში ირიცხებოდა. იგი გვშველოდა ჩვენ მიტინგების მოწყობაში. აქაც, თბილისშიც 218-ე ლეგიონის მიტინგი მან მოგვიწყო ბოლშევიკებს, მაგრამ მერე რა მოუვიდა? ჰო, მართლა, ახლა მომაგონდა: 218-ე ლეგიონის განიარაღებისა და რუსეთში გამგზავრების შემდეგ იმნაძე შემხვდა და განმიცხადა: ლენინელთა შეურიგებელ პროგრამას არ ვიზიარებო. ამიერიდან მემარჯვენე ბოლშევიკი ვარო. მაშინ მე ამისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიმიქცევია, მაგრამ ახლა, შესაძლოა, იმნაძე ჟორდანიას პროგრამას იზიარებს, მენშევიკებს ეკუთვნება და როგორც ყოველთვის, სხვა პარტიიდან მოსული ახალბედა, სხვაზე უფრო მეტ ბოლმოდგინეობას, [illegible] იჩენს და ყურადღების დამახურებას ცდილობს. იქნებ ამიტომ დაირცხვინა და ამარიდა თვალი? რა ვიცი? იმნაძე ყოველთვის კეთილსინდისიერი, წესიერი, მკვირცხლი და მამაცი ჭაბუკის შთაბეჭდილებას სტოვებდა“, — ფიქრობდა ქავთარაძე და ერთხელ კიდევ მიიხედა უკან: „იქნებ რაღაც აქვს სათქმელი, მაგრამ არა სურს, ჟორდანიამ რომ იცოდეს ჩვენი ნაცნობობა“. იმნაძე ჟორდანიას გვერდით სვლას განაგრძობდა, რაღაცას ეუბნებოდა მას და უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

ქავთარაძე ალექსანდრეს ბაღში შევიდა. ტრიბუნასთან მუშები და ჯარისკაცები ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და უკანასკნელი დღეების განმავლობაში მომხდარ ამბებზე გაცხოველებით მსჯელობდნენ. ქავთარაძემ ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბესო ალავიძე, ვანო მახათაძე და ბევრი სხვა ამხანაგი დაინახა. მათთან მივიდა და მიესალმა. მახათაძეს მხრები აეჩეჩა და მაზარა კაჩხაზე ჩამოკიდებულივ ი თ სჩანდა. იგი მუშებს, ჯარისკაცებსა და წითელ დროშებს გასცქეროდა. მას უყვარდა ეს ხალხი და სწამდა მათი გამარჯვება. ფაბრიკა-ქარხნების გაფიცული მუშები წითელი დროშებით შემოვიდნენ ბაღში. მათთან ერთად უამრავი ჯარისკაცი და მოქალაქე შემოვიდა. მიტინგის ხელმძღვანელები და ორატორები ტრიბუნაზე ავიდნენ. მიტინგი ბაქოს ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმომადგენელმა კუზნეცოვმა გახსნა. მისი წინადადებით მიტინგის თავმჯდომარედ სერგო ქავთარაძე იქნა არჩეული.

— ამხანაგებო, — მიმართა ქავთარაძემ ხალხს, — დღეს, ათ თებერვალს, ჩვენ შევიკრიბენით აქ იმისათვის, რომ განვაცხადოთ პროტესტი ამიერკავკასიის სეიმის გახსნის გამო, რომელმაც იურიდიულად უნდა გააფორმოს საბჭოთა რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფა, დავგმოთ კონტრრევოლუციური პარტიების — მენშევიკების, ესერების, ნაციონალ-დემოკრატების, ფე-

ერთი თავი რომანიდან

როდესაც მუშათა და ღარიბ მოქალაქეთა მასა ათ თებერვალს ალექსანდრეს ბაღში დანიშნულ საპროტესტო მიტინგზე შეიკრიბა, მენშევიკებმა დახვრიტეს იგი...

(პროკლამაციიდან).

დერალისტების, მუსავატელების და დაშნაკების ბლოკის პოლიტიკა. ჩვენ გამოვთქვამთ რევოლუციურ პროტესტს ბოლშევიკების წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების გამო. მენშევიკები განუკითხავად აპატიმრებენ ჩვენს ამხანაგებს თბილისსა და პროვინციებში, ხურავენ ჩვენს გაზეთებს. გუშინ მენშევიკები თავს დაესხნენ და დაარბიეს გაზეთ „კავკაზსკი რაბოჩის“, „ბრძოლის“ და „ბანვორი კრივის“ რედაქციები. ამ გაზეთების რედაქციების თანამშრომელნი კი დაიპატიმრეს. დაე, მძვინვარებდნენ და ავობდნენ რევოლუციის მტრები, დაე, ღვრიდნენ რევოლუციურ მებრძოლთა სისხლს. რევოლუცია მაინც გაიმარჯვებს! უკვე რამდენიმე დღეა, რაც მენშევიკების პროვოკატორები ავრცელებენ ყალბ ხმებს, თითქო მზადდებოდეს ბოლშევიკების გამოსვლა. გამორიცხული არ არის პროვოკაციული გამოხდომები მენშევიკების მხრივ დღევანდელ მიტინგზეც, ისე როგორც ეს მოხდა აქვე, პროფკავშირების მიტინგზე. ამიტომ, ამხანაგებო, მოგიწოდებთ დაიცვათ წესრიგი და სიმშვიდე, რომ არ წამოვეგოთ კონტრრევოლუციის აგენტების რაიმე პროვოკაციაზე.

პირველი ორი ორატორი ლაპარაკობდა: რომ ამიერკავკასიის ხალხებს სჭირდება არა მკვდარშობილი სეიმი, არამედ ძმური კავშირი საბჭოთა ხელისუფლების დროშის ქვეშ. ისინი მოითხოვდნენ დაპატიმრებული ამხანაგების დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მეტეხის ციხიდან და ბოლშევიკური გაზეთების გამოცემას.

შემდეგ ორატორი — პეტრენკო ამბობდა ფრონტელ ჯარისკაცთა განწყობილების შესახებ.

—სამასმესამე ვერსზე მდგარი რვა პოლკი, — მოახსენა მან მიტინგს, — კარგად არის ორგანიზებული და შეიარაღებული. მათ სათავეში მათივე არჩეული კომიტეტები დგანან. ჯარისკაცთა შორის არიან ისეთები, რომელთაც სურთ თბილისზე წამოვიდნენ და ამიერკავკასიის კონტრრევოლუციური მთავრობა დაამხონ. სამხედრო რევოლუციური კომიტეტი ჯერჯერობით აკავებს ეშელონებს. მაგრამ, — განაცხადა პეტრენკომ — ამიერკავკასიის მთავრობა თუ შეეცდება მეორე შამქორი მოაწყოს, თუ ისევ გააგრძელებს რეპრესიებს მუშათა პრესისა და ბოლშევიკების მიმართ, მაშინ ჩვენ ვეღარ დავაკავებთ ეშელონებს და ჯარისკაცები თბილისს შემოუტევენ.

გამოსულ ორატორთა სიტყვების შინაარსი მალე შეიტყო მთავრობამ და სასტიკი ზომების მიღება გადასწყვიტა.

ტრიბუნაზე ექსელბანტებით მორთული ოფიცერი — ქალაქის კომენდანტის ადიუტანტი ყიფიანი ავიდა და მიტინგის თავმჯდომარეს წინადადება მისცა:

— თანახმად კომენდანტის ბრძანებისა, მიტინგი ქალაქსა და მის მიდამოებში აკრძალულია. ახლავე დაშალეთ მიტინგი.

— შესაძლოა, მე თქვენ არ მიცნობთ, — მტკიცედ მიუგო ქავთარაძემ. — მაგრამ ისინი, ვინც თქვენ გამოგგზავნათ, კარგად მიცნობენ. მაშ, წადით, ადიუტანტო, და მოახსენეთ მათ, რომ მიტინგის თავმჯდომარე სერგო ქავთარაძეა, რომელიც თავის თავზე ღებულობს მთელ პასუხისმგებლობას მისი მშვიდობიანი ხასიათის შესახებ, თუკი მთავრობის მხრივ არ მოხდა რაიმე პროვოკაცია.

— მე ჩემი მოვალეობა შევასრულე. ახლა კი როგორც გენებოთ, ისე მოიქეცით — მოკლედ მოსჭრა ადიუტანტმა. ტრიბუნის კიბე ჩაირბინა, ხალხი გააპო და ეს-ის იყო ბაღის ჭიშკარში გავიდა, როდესაც გვარდიელი ილარიონ ძნელაძე შეეყარა. ილარიონმა უთხრა:

— რას გავს აი: შეგროვილან ქალაქის შუაგულში ფირალები და ქვეყნის მოსპობით გვემუქრებიან.

— მოშორდით აქაურობას, — ურჩია ადიუტანტმა და შტაბისაკენ გასწია.

2

ადიუტანტი ქალაქის მცველ შტაბის უფროსს — ვერეშჩაკს ეუბნებოდა:

— მიტინგს სერგო ქავთარაძე ხელმძღვანელობს. იგი მიტინგის დაშლაზე უარს აცხადებს.

— ძალით დავშლით! — დაიძახა ვერეშჩაკმა და თბილისის საბჭოს აღმასრულებელ ბიუროში გასწია. იქ ამიერკავკასიის მთავრობის ზოგიერთი წევრი მისულიყო. ულვაშებგადაგრეხილი გვარდიელი ილარიონ ძნელაძე ამიერკავკასიის სეიმის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს ეუბნებოდა:

— არა, ევგენი, ახლავე უნდა ვიფრინოთ ისინი, მერე გვიან იქნება. სალდათები ჩივიან: ქვას ქვაზე დავადუღებთ თბილის-ქალაქში და არც ერთ მენშევიკს არ დავტიებთო.

— ვერაფერსაც ვერ დაგვაკლებენ, ამშვიდებდა ევგენი.

გვარდია მენშევიკების პარტიული ჯარი იყო. მენშევიკების ლიდერებსა და გვარდიელებს შორის მეგობრულ-ძმაბიჭური, უბოდიშო და მოურიდებელი დამოკიდებულება სუფევდა. ამით აიხსნებოდა ილარიონის შეჭრა ბიუროში, მთა-

ვრობის წევრებთან მისი უბოდიშო საუბარი და სახელმწიფოებრივ საკითხებში ჩარევა. განუწყვეტლივ შემორბოდნენ ბიუროში აქელებული გვარდიელები, თანამდებობის პირნი და ალექსანდრეს ბაღიდან ჭორები მოჰქონდათ:

— მიტინგმა ჩვენს მიერ გაგზავნილი მილიციელები განაიარაღა. მიტინგი მეტეხზე გალაშქრებასა და პატიმრების გათავისუფლებას აპირებს...

ოთახში საშინელი ყაყანი იდგა. ყველა თავის მოსაზრებას გამოთქვამდა, თუ რა ზომები უნდა მიეღო მთავრობას მიტინგის წინააღმდეგ.

— შესწყვიტეთ ეს ბაზარი! მოგვეცით მუშაობის საშუალება! — დაიძახა მაღალმა და გამხდარმა კაცმა — ნოე რამიშვილმა და ზედმეტი ხალხი ოთახიდან გაარეკინა.

სწორედ ამ დროს შევიდა ბიუროში სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი ქალაქის მცველი შტაბის უფროსი ვერეშჩაკი. რამიშვილი მასთან მიიჭრა და განუცხადა:

— ჩაჭკეტეთ მიტინგი, არ გამოუშვათ იგი ბაღიდან ქალაქში სადემონსტრაციოდ. თორემ უდიდესი სკანდალი მოხდება. ყოველივე ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვება.

ოთახში ადიუტანტი ყიფიანი, შტაბს-კაპიტანი ავაქიანი და სხვა სამხედრო პირები შემოცვივდნენ.

— მიტინგის დამთავრების შემდეგ ბოლშევიკები ქალაქში გამოსვლას აპირებენ! — დაიძახა ყიფიანმა.

— სეიმის გარეკას! — დაამატა სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა საგანგებო რაზმის თანამშრომელმა.

— მიტინგზე კუზნეცოვი, ბაქოს ბოლშევიკები ყოფილან, — დაასმინა მიტინგი ავაქიანმა.

— კუზნეცოვი? ბაქოს ბოლშევიკები?!

— მოქალაქენო, პანიკას ნუ შეექმნით! — განაცხადა აუღელვებელი ხმით და სრულიად მშვიდი სახით ევგენი გეგეჭკორმა. — ბაღში ჩავკეტოთ მიტინგი, მორჩა და გათავდა.

— ჩაკეტა არ კმარა, — შენიშნა რამიშვილმა და მერმე ვერეშჩაკს უბრძანა: — გარეკეთ მიტინგი. თუ არ დაგმორჩილდნენ, ძალა იხმარეთ.

თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა აღმასრულებელი კომიტეტის წევრმა რებრუხმა რამიშვილის მრისხანე სახეზე ურყევი გადაწყვეტილება ამოიკითხა, შეშინდა და წაილუღლუღა:

— მე ვფიქრობ, მიტინგის ძალით გარეკა მიზანშეწონილი არ იქნება და არც ივარგებს.

— მე მიზანშეწონილად მიმაჩნია. კეთილ ინებეთ და ხელს ნუ გვიშლით! მე კარგად ვიცნობ ბოლშევიკებს და მათ ხრიკებს. განზრახ მოიწვიეს მიტინგი სეიმის გახსნის დღეს. მათი მიზანი სეიმის ჩაშლაა. ამის უფლებას არ მივცემთ. გარეკეთ მიტინგი! — ისევ უბრძანა რამიშვილმა ვერეშჩაკს.

— მე მაინც ვფიქრობ, ძალით მიტინგის გარეკა არ ივარგებს, — ისევ გაუბედავად შეეპარა რებრუხმა.

რამიშვილი აღენთო, რებრუხთან მიიჭრა, თვალები ყაჩაღივით შეანათა და უყვირა:

— მაშ, რას გვიბრძანებთ? ნაძირალები და ცილისმწამებელნი ხალხში ათასგვარ ჭორსა და სიცრუეს ავრცელებენ, შხამსა და გესლს ანთხევენ, ამიერკავკასიის „რევოლუციური დემოკრატიის“ მიერ არჩეულ მთავრობას აგინებენ და ათრევენ. ვიგინდარები „რევოლუციური დემოკრატიის“ ორგანოების დამხობისაკენ მოუწოდებენ მიტინგს. ანარქიით, ეშელონებით, სისხლითა და ტყვიით გვემუქრებიან, თქვენ კი არავითარი ზომების მიღებას არ გვირჩევთ?!. გიცნობთ, გიცნობთ, რა ვაუბატონი ბრძანდებით. თქვენც ბოლშევიკების ამფსონი ხართ. თქვენც მათ მიგაყოლებთ, — რებრუხი დაიბნა და ვერაფერი ვერ უპასუხა. რამიშვილი ვერეშჩაკს მიუბრუნდა და კვლავ უბრძანა:

— ახლავე გარეკეთ მიტინგი!

— არის!

ხანმოკლე თათბირის მერმე მთავრობის წევრები სეიმის გახსნაზე დასასწრებად გაეშურნენ, ვერეშჩაკი კი ქალაქის მცველ შტაბში.

ვერეშჩაკმა სამი ოფიცერი — იმნაძე, ყიფიანი და ნიკოლაძე გამოიძახა. მისი განკარგულების თანახმად, ოფიცრებმა სამოცდახუთმეტი გვარდიელი გამოიყვანეს. ამ რაზმს ალექსანდრეს ბაღში გაჰყვა აგრეთვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის წევრი, შტაბს-კაპიტანი ავაქიანი, ავაქიანს კუზნეცოვის გამოძებნა და მისი დაპატიმრება დაევალა.

3

შტაბის ეზოში გვარდიელები საჩქაროდ იკრიბებოდნენ. წელზე ფალასკებს ირტყამდნენ. ზოგი გზაში სტენიდა შაშხანას და საკეტს აჩხაკუნებდა. ზოგსაც წვივსახვევის გაკეთება ვერ მოესწრო და ისე მიძუნძულებდა რაზმში ჩასადგომად.

სასახლის წინ მოსეირნე ხალხი შეჩერდა და შტაბის ეზოდან წითელი დროშით გამოსულ გვარდიელთა რაზმს გაჰხედა. როდესაც რაზმი ბარიატინსკის ქუჩას მიუახლოვდა, გვარდიელებმა ნაბიჯი შეანელეს.

— სად მიდიან? რა მოხდა? — ეკითხებოდნენ ერთმანეთს გამვლელნი.

რაზმმა გამზირიდან ბარიატინსკის ქუჩაზე შეუხვია და

ბაღის ჭიშკარს ფეხაკრეფით მიადგა.

მიტინგზე ჯარისკაცის ბუშლატში გამოწყობილი ძველი ბოლშევიკი ნესტორ ცერცვაძე ამბობდა ახლა სიტყვას. მოხუცს შეკრეჭილი ჭაღარა წვერი და კეთილი მოცისფრო თვალების ზემოთ გაფანჩული წარბები ჰქონდა. მოხუცის სიტყვა ხატოვანი და ჭკუამახვილური იყო. მიტინგზე მოსულ მრეცხავ ქალს — მარინესაც კი ეღიმებოდა მიუხედავად თავისი ჯავრისა, მის ოხუნჯობაზე. ვანო მახათაძემ ტრიბუნიდან დაინახა მარინე და თავი დაუკრა.

— ამხანაგებო — ამბობდა ცერცვაძე, — ამიერკავკასიის მთავრობამ შამქორში გამართული სასაკლაოს მოწყობის შემდეგ ნიღაბი ჩამოიხსნა. მათი ბრძანებით მიმდინარეობს მასობრივი დაჭერები, ირბევა და იხურება ბოლშევიკების გაზეთები. ახლა უკვე ყველასათვის აშკარაა, რომ მენშევიკებმა უღალატეს რევოლუციას, გასცეს და მიჰყიდეს იგი მრეწველებსა და მემამულეებს, როგორც იუდამ ქრისტე ოცდაათ ვერცხლზე. ეს მენშევიკებმა მოსწყვიტეს საქართველო რევოლუციურ რუსეთს. ეს მათ ჩაუკეტეს რუსეთისაკენ მიმავალი კარები ქართველ ხალხს. თუ ვინმე მდიდრდება ახლა ჩვენში, ეს — სპეკულანტები, ვაჭრები და მემამულეები არიან. სული სულს იცნობს და გული გულსო, ნათქვამია. მენშევიკები მათ დაუმეგობრდნენ და მათ ინტერესებს იცავენ. ამიტომ მენშევიკების ლიდერის — ნოე ჟორდანიას თვითეულ სიტყვას ტაშის ცემით და ოვაციით ეგებებიან ისინი, ყველა ჯურის კონტრრევოლუციონერები. ამხანაგებო, ჟორდანია, ისე როგორც სამსახოვანი ღმერთი — ასახიერებს თავის თავში საქართველოში არსებულ სამ კონტრრევოლუციურ პარტიას: მენშევიკებს, რომელთაც მოატყუეს და გაჰყიდეს მუშები და გლეხები; ნაციონალ-დემოკრატებს — მრეწველების, ვაჭრებისა და მემამულეების ქომაგებს; ფედერალისტებს — ამ უჯარო გენერლების, კოტორაზნაურების, მღვდლებისა და მშიშარა ინტელიგენციის ხროვას. ამრიგად, საღმთო სჯულის სიტყვები: ღმერთი ერთია, მაგრამ სამსახოვანი — მამა, ძე და სულიწმიდაო, მენშევიკების ლიდერმა — ნოე ჟორდანიამ საქმედ აქცია.

ხალხში სიცილი გაისმა, რაც მალე ხარხარში გადავიდა.

უცბად ხარხარი შეწყდა. ხალხი ამოძრავდა. ბაღში გვარდიელების შეიარაღებული რაზმი შევიდა. ვინც რაზმელების სახე ახლოს დაინახა, ზედ ავის მაუწყებელი განზრახვა ამოიკითხა და შეშინდა. ზოგი გაიქცა კიდეც. მიტინგის თავმჯდომარემ, სერგო ქავთარაძემ, შავ ჩოხაში გამოწყობილი შტაბს-კაპიტანი იმნაძე იცნო და ტრიბუნიდან ჰკითხა:

— რა ამბავია?

— არაფერია, — მიუგო იმნაძემ და თანაც გაქცეულთ გასძახა: — ნუ გარბიხართ, შეჩერდით!

ქავთარაძე დარწმუნდა, რაზმი ავი განზრახვით არ მოსულა, და ხალხს გასძახა:

— ამხანაგებო, დამშვიდდით. ესენი ქართული ლეგიონის ჯარისკაცები არიან... წითელი დროშით მოვიდნენ... სურთ, ჩვენს ორატორებს მოუსმინონ.

— მამა გიცხონდა! — ჩაილაპარაკა ძნელაძემ.

გაქცეული ხალხი დაბრუნდა.

ტრიბუნის წინ ისევ ზღვა ხალხი ტრიალებდა, მუშათა და ჯარისკაცთა თავებზე წითელი დროშები ფრიალებდნენ. ხალხი დამშვიდდა.

სიტყვა ვანო მახათაძეს მისცეს:

— დღეს, — დაიწყო მან, — მენშევიკები, მუსავატელები და დაშნაკები სამარეს უთხრიან ამიერკავკასიაში რევოლუციის მონაპოვარს, მაგრამ, ამხანაგებო, ნუთუ თქვენ დაანებებთ მათ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოების მოსპობას?

ბაღის ჭიშკართან შეჯგუფებული რაზმი გველის მორგვივით გაიშალა, გალავნის ხეივნის გასწვრივ გაცოცდა და ხალხი ბარიატინსკის ჭუჩას მოსწყვიტა.

მიტინგი ისევ ამოძრავდა, შეტორტმანდა... გვარდიელებმა შაშხანები გადმოიღეს, გაიშალნენ, ხეივნები გადაირბინეს და მიტინგს ალყა შემოარტყეს. ასეთივე ალყა შემოარტყა მიტინგს მადათოვის კუნძულის მხრიდან ჭიშკარში შემოსულმა რაზმმაც. ეს ორი რაზმი თითქმის ერთდროულად შემოვიდა ბაღში. მახათაძემ ტყვიამფრქვევი დაინახა და ქავთარაძეს უთხრა:

— ღალატია!

ქავთარაძე მიბრუნდა, გვარდიელებისათვის სიტყვა უნდა ეთქვა, მაგრამ ერთი სიტყვის თქმაღა მოასწრო: „ამხანაგებო!“ მაშინვე შტაბს-კაპიტანმა იმნაძემ ნიშანი მისცა: ნაგანი გაისროლა. ლულიდან ცისფერი ბოლი ამოიკლაკნა. იმნაძეს მარჯვენა ხელი მაღლა აწეული დარჩენოდა, გაფითრებულიყო, თვალები გიჟსავით ანთებოდნენ. პირველი დაშენა ჰაერში გააკეთეს. ხალხმა ვერ გაიგო, უცბად, რაში იყო საქმე და გვარდიელებს გაოცებით მიაშტერდა. მერმე ბევრი მიწაზე დაწვა და ზოგიც გაიქცა. მეორე დაშენა გვარდიელებმა ხალხისაკენ მიმართეს. ტრიბუნაზე მდგართა ყურებთან ტყვიებმა გაიზუზუნეს. მოხუცი ორატორი და რამდენიმე კაცი პირქვე დაეცა. მესამე დაშენა ვერაგული იყო. მან სამი კაცი იმსხვერპლა. ბავშვთა და ქალთა წივილ-კივილი გაისმა. ტრიბუნა დაცარიელდა.

ზედ მხოლოდ ქავთარაძე დარჩა.

— ერთად ნუ გარბიხართ, — ყვიროდა იგი, — ნელა დაიშალეთ. ისინი ვერ გაბედავენ უიარაღო ხალხს ესროლონ!

ბაღში აშენებულ პატარა სახლის კუთხესთან, სანაგვე ყუთზე, გვარდიელმა ტყვიამფრქვევი შედგა, გამართა და მალე აამუშავა. ქავთარაძემ ტრიბუნის კიბე ჩაირბინა და ისიც ამხანაგების გვერდით დაწვა. კიბეზე ჩარბენის დროს ქეპი გაუხვრიტეს. ტყვიამფრქვევი კოდალას ნისკარტივით უკაკუნებდა ტყვიებს ხის ტანსა და ტოტებს. ჯარისკაცებს ტყეში ბრძოლა აგონდებოდათ.

ერთმა რუსმა ოფიცერმა ხეივანში გაირბინა და ბარიატინსკის ჭუჩაზე გასვლა დააპირა. გვარდიელებმა შესძახეს და შეაჩერეს.

— მე პოლკოვნიკი ვარ, საქმეზე მივდიოდი. ბაღში შემთხვევით მოვხვდი... გამიშვით, — მოითხოვდა ოფიცერი.

— დაწექით, პოლკოვნიკო! — გასძახა გვარდიელმა. მაშინვე პოლკოვნიკს ფეხში ტყვია მოხვდა და ახლა იგი უნებლიეთ დაწვა მიწაზე.

ტრიბუნასთან სერგო ქავთარაძე და მათი ამხანაგები იყვნენ. დაჭრილი პეტრენკო სისხლისაგან იცლებოდა.

ისმოდა ბავშვთა და ქალთა ტირილი, აქა-იქ თეთრ ცხვირსახოცს აფრიალებდნენ.

ბოლოს იმნაძემ სასტვენს ჩაჰბერა და სროლა შეწყდა.

მაშინ შტაბს-კაპიტანი ავაქიანი, მაუზერით ხელში, მიწაზე დაწოლილ ხალხისაკენ გაეშურა.

— არ წამოდგეთ! არ გაინძრეთ! — ყვიროდა იგი, — თორემ ყველას დაგხოცავთ! — იგი ხან ერთთან, ხან მეორესთან მიიჭრებოდა და სახეზე აკვირდებოდა: კუზნეცოვს ეძებდა.

— შტაბს-კაპიტანო, — თხოვა ექიმმა მამია ორახელაშვილმა. — მე ექიმი ვარ, ნება მომეცით, დაჭრილებს დახმარება აღმოვუჩინო.

— აღმოუჩენენ, დარდი ნუ გაქვთ, — მოუჭრა ავაქიანმა და გაშორდა.

მას ორი გვარდიელი მიჰყვა: გვარდიელებმა მიწაზე დაგდებულ დროშას ფეხი დააბიჯეს. დროშაზე ეწერა: „ახალი თავისუფლების განთიადი“. მახათაძემ ფეხქვეშ გათელილ დროშას ხელი დასტაცა და მაღლა ასწია.

— ვის ესვრით? — აგზნებით იყვირა მან. — უიარაღო ხალხს, ბავშვებსა და ქალებს? სირცხვილი და შენარცხვენა თქვენ!

გვარდიელმა შეაგინა და ნაგანი ესროლა. ტყვია მხარში მოხვდა. ვანო დაბარბაცდა, წაიქცა და დროშა ხელიდან გაუვარდა.

სროლა ისევ განახლდა. ხალხი კვლავ მიწას გაეკრა. ბავშვები და ქალები შიშისაგან კანკალებდნენ, ხელებს იმტვრევდნენ და მოკრუნჩხულ თითებზე იკბენდნენ. სასაკლაოზე მიყვანილ პირუტყვის მსგავსი ღმუილი ისმოდა:

— გაგვიშვით! შეგვიბრალეთ, ნუ დაგვხოცავთ!

ქავთარაძემ იფიქრა: იმნაძე და ავაქიანი მიცხობენ და, ალბათ, გამათავებენო, მან შეამჩნია, რომ ბაღის ნაწილი გიორგიევის ჭუჩისაკენ, სადაც ბუკინისტების მაღაზიები ჩარაზულიყვნენ, არ იყო დაცული გვარდიელების მიერ. წამოდგა, მოიკუზა და გაიქცა. რკინის ღობეზე გადახტა და მახლობელ სახლის ეზოში შევარდა.

— ამხანაგო, ქუდი დამითმე! — შეეხვეწა იგი ქუჩიდან ეზოში შემოსულ სტუდენტს. სტუდენტმა მაშინვე მოიხადა ქუდი და გაუწოდა. ქავთარაძემ კეპი გადასცა. სალდათის ბაზარი გაიარა, ავლაბრის ხიდისკენ მიმავალ ქუჩას დაადგა და გაიფიქრა: „აი, რისთვის მომარიდა თვალი ამ დილით იმნაძემ“.

ალექსანდრეს ბაღიდან ისევ თოფის სროლა ისმოდა. ერთ მოხუც მუშას ტყვია ყელში მოხვედროდა, სისხლი თუხთუხით გადმოსვლოდა და მიწაზე გუბე დაეყენებინა. ამხანაგს სურდა, მასთან მიცოცებულიყო, მაგრამ მის გვერდით წამომდგარ ჩაბალახიან ვიღაც ვაუკაცისათვის ტყვიას მკერდი გაეგლიჯა. ადგომა არ ხერხდებოდა. ყველა დედამიწას გაჭროდა. წაქცეული ჯარისკაცის ხელი სისხლის გუბეში ჩავარდნილიყო. ჭკუაზე შემცდარი ქალის ზარდამცემი კივილი ისმოდა.

იმნაძემ ისევ დაუსტვინა და სროლა შეაჩერა.

ბაღიდან მკვდრები და დაჭრილები გამოჰქონდათ.

მალე ბაღი დაცარიელდა. მიტინგისათვის აღმართული ტრიბუნა სდუმდა. გვარდიელების ფეხით გათელილი წითელი დროშები მიწაზე ეყარა. იქვე ეგდო მახათაძის ხელში ნაჭერი დროშაც, რომელზედაც „ახალი თავისუფლების განთიადი“ ეწერა. ტრიბუნის ირგვლივ დაჭმუჭვნილი გაზეთები, მზესუჭვრიტას ჩენჩო და თხილის ნაჭუჭები ეყარა. მგლოვიარე ჭირისუფლებივით ასუდრული კვიპაროსები ცახცახებდნენ. ზედ ყვავები შემომჯდარიყვნენ და ჩხაოდნენ...

ᲘᲕᲐᲜᲔ ᲠᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲜᲢᲘ

ივანე რატიშვილი ძველი ქართული წარჩინებული გვარის შთამომავალი, წარმოშობით მცხეთის რაიონის სოფელ ქსოვრისიდან ყოფილა. მისი წინაპარი მეფე ვახტანგ მეექვსეს თავის ამალაში წაუყვანია რუსეთს. ივანე რატიშვილის მამა-პაპას ქართველ ჰუსართა პოლკში უმსახურია და დიდად გამოუჩენია თავი ოსმალეთის, შვეციისა და პრუსიის წინააღმდეგ რუსეთის ლაშქრობებში. მამის კვალს გაჰყოლია ივანეც და აურჩევია სამხედრო სამსახური. 1863 წელს ქ. ორიოლში დაბადებულ ივანეს ჯერ ორიოლის კადეტთა კორპუსი დაუმთავრებია, შემდეგ — პეტერბურგის საკავალერიო სასწავლებელი... განათლებულ და ღრმად ერუდირებულ პიროვნებას 1896 წელს ცოლად შეურთავს ეკატერინე ბაგრატიონი, რომლის დედა თამარი — ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი იყო, ხოლო მამა — ირაკლი ბაგრატიონი, ერეკლე მეორის შვილიშვილი.

სახელგანთქმული ნიჟეგოროდის 44-ე დრაგუნთა პოლკში სამსახურის დროს მოიხვეჭა უებრო მოჯირითისა და მამაცი ოფიცრის სახელი, მაგრამ ფიზიკური ტრავმის გამო იძულებული გამხდარა, გადამდგარიყო სამხედრო სამსახურიდან პოდპოლკოვნიკის წოდებით. 1907 წელს პარიზის ნატიფ ხელოვნებათა აკადემიაში შევიდა და წარმატებითაც დაამთავრა. პარიზიდან სანკტ-პეტერბურგში დაბრუნებული ივანე რატიშვილი მსახურობდა რუსეთის განათლების სამინისტროში. ბრწყინვალე ერუდიცია, სამხედრო საქმისა და ხელოვნების საკითხების ღრმა, საფუძვლიანმა ცოდნამ ხელი შეუწყო მის დაწინაურებას — როგორც ხელოვნების მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, იმპერატორის ზამთრის სასახლის სამმართველოში გადაიყვანეს.

1913 წლის 11 ნოემბერს გადამდგარი პოდპოლკოვნიკი თავადი რატიევი დაინიშნა ზამთრის სასახლის პოლიცმეისტერის მოვალეობის შემსრულებლად. 1916 წელს დააჯილდოვეს წმინდა ანას მეორე ხარისხის ორდენით, ხოლო იმავე წლის 6 სექტემბერს მიანიჭეს პოლკოვნიკის წოდება.

1917 წლის 19 აპრილს ზამთრის სასახლის პოლიცმეისტერი რატიევი დაინიშნა პეტროგრადის სასახლეების სამმართველოს უფროსის, გენერალ-მაიორ კომაროვის თანაშემწედ, ხოლო ამავე წლის 12 სექტემბერს — ერმიტაჟიდან, სასახლეებიდან და სამინისტროების დიდი სასახლიდან განძეულობის ევაკუაციისათვის გამოყოფილი კომისიის თავმჯდომარედ.

ივანე რატიშვილმა ორჯერ მიიღო აქტიური მონაწილეობა ზამთრის სასახლისა და ერმიტაჟის განძეულობათა გადარჩენაში — 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიული რევოლუციისა და ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ბობოქარ დღეებში. მისი პირადი გამბედაობისა და თავდადების შედეგად ზამთრის სასახლის უძვირფასესი განძეული განადგურებას გადარჩა. აი რას წერს გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ სულ ახლახან გამოცემულ ბროშურაში („ამხანაგი თავადი — განძეულობათა გადამრჩენი“) ავტორი, შალვა გოგიძე:

„...ვიდრე ზამთრის სასახლის იერიშის ხელმძღვანელები ვ. ანტონოვ-ოვსენკო, ნ. პოდვოისკი, ვ. ნევსკი, გ. ჩუდნიევსკი და სხვები ვ. ი. ლენინის მითითების თანახმად სასახლის უვნებლად აღებაზე ბჭობდნენ, ივანე რატიშვილი სასახლეში მოქმედებდა. მან დაიხმარა რამდენიმე ჯარისკაცი, თავისი შვილი — პაჟთა კორპუსის კურსანტი დიმიტრი, და დაჭრილების საწოლები შიგნითა უფანჯრო ოთახებში გადაიტანა, სადაც ტყვია ვერ შეაღწევდა. ამ კეთილშობილურ საქმეში ივანე რატიშვილს მხარში ამოუდგნენ ექიმები, მოწყალების დები და სანიტრები... სასახლეზე იერიშის დროს ივანე რატიშვილი ცეცხლქვეშ განაგრძობდა ფასეულობათა დაცვას. დარბაზებიდან აძევებდა და აპატიმრებდა ქურდობაში შემჩნეულ იუნკერებს, რომლებიც ჯიბეებს ოქროს და ვერცხლის ნივთებით ივსებდნენ. მან თავისი ერთგული ხელქვეითების დახმარებით ოქროს, ფაიფურისა და სპილოს ძვლის ნაკეთობანი სასახლის უფრო საიმედო ადგილებში — სარდაფის საცავებსა და სეიფებში დააბინავა.

უძვირფასესი განძეულის — მონომახის განთქმული ქუდის, მეფე მიხეილ რომანოვის 185-კარატიანი ბრილიანტით მოჭედილი სამეფო კვერთხის, ბრილიანტის დიდი ჯვრით შემკული გვირგვინისა და სხვადასხვა საუკუნის იარაღის კოლექციის დასაცავად, ორი საიმედო გრენადერის გარდა, გუშაგად თავისი ვაჟიშვილი დიმიტრიც დააყენა და უბრძანა, არავინ შეეშვა საცავში.

...თანამედროვეთა გადმოცემით, ზამთრის სასახლის ძვირფასეულობათა გადამრჩენ ივანე რატიშვილს, სასახლის შტურმის მონაწილე წითელგვარდიელი ჯარისკაცები და მეზღვაურები „ამხანაგ თავადს“ ეძახდნენ. ივანე რატიშვილი შემდგომში სიამოვნებით იგონებდა, რომ ასევე მიმართავდა მას რევოლუციის დიდი ბელადი ვ. ი. ლენინიც“.

ერთი სიტყვით, ჩვენი თანამემამულე საკმაოდ საჩინო ისტორიულ პიროვნებად გვევლინება და ციცქნა ბროშურაში მოყვანილი მრავალი მეტყველი ფაქტიც იმას გვაფიქრებინებს, რომ ასეთ მოღვაწეზე ვრცელი მხატვრულ-პუბლიცისტური ნაშრომის გაკეთებაც ერთობ მიზანშეწონილი უნდა იყოს. თანაც, რაკი ქართული დოკუმენტურ-პუბლიცისტური პროზა, მაინც და მაინც, არ გვანებივრებს სათანადო ლიტერატურული პროდუქციით, თავად ივანე რატიშვილის ლეგენდით მოსილი ცხოვრების თავგადასავალი ხომ ზედმიწევნით გამოეხმაურება ჩვენს წყურვილსაც და ინტერესებსაც.

აბა, ახლა ნახეთ, რამდენი რამ იმალება ზოგიერთი მომენტის მიღმა:

ჯონ რიდი აღწერს ზამთრის სასახლის იერიშისა და მისი ხელში ჩაგდების სურათს, თუ როგორ გაიტაცა ადამიანთა აბობოქრებულმა ტალღამ თავად რიდი, ჟურნალისტი ვილიამსი და მათი 3 თანამგზავრი. შემდეგ იგი აღწერს საუნჯეთა ძარცვის ამბებს და მძარცველების წინააღმდეგ წითელარმიელთა ბრძოლას. ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ჯგუფიც მძარცველებად მიიჩნიეს, მაგრამ ისინი ივანე რატიშვილმა გადაარჩინა.

...ვ. ი. ლენინი დიდად აფასებდა ივანე რატიშვილის მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, მის ერთგულებას საბჭოთა ხელისუფლებისადმი. არაერთხელ მიანდო მას სხვადასხვა მნიშვნელოვანი დავალების შესრულება. ამათგან, ყველაზე საპასუხისმგებლო იყო ის, როდესაც სახელმწიფო ბანკის ოქროს მარაგისა და დიდი რაოდენობით სხვა ფასეულობის მოსკოვში გადატანა დაავალა... რატიშვილმა მუქარის წერილები მიიღო, რომლებშიც თეთრგვარდიელები მოითხოვდნენ ეშელონის ჩაბარებას. წინაღმდეგ შემთხვევაში, თავდასხმით ემუქრებოდნენ. ქ. ტვერში (ახლანდელი კალინინი) მართლაც მოეწყო კონტრრევოლუციური ბანდების თავდასხმა, მაგრამ გულადმა და გამჭრიახმა ივანე რატიშვილმა ღირსეულად შეასრულა ვ. ი. ლენინის დავალება, მთელი ოქროს მარაგი და ფასეულობანი უკლებლივ ჩაიტანა მოსკოვს და მოათავსა კრემლის პალატებში.

ივანე რატიშვილი 90 წლისა გარდაიცვალა თბილისში, 1958 წელს. ლენინგრადის ერმიტაჟში, მოსკოვის კრემლის პალატებში, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ფონდებში დაცული ფასდაუდებელი რელიკვიები, ნივთები და ხელოვნების ნაწარმოებები მისი მეცადინეობის წყალობით შემორჩა მომავალ თაობებს.

დავით კანდელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Пролетаріи всѣхъ странъ, соединяйте

МАНИФЕСТЪ

Россійской Соц.-Демокр. Рабочей Партіи

Ко всѣмъ трудящимся, ко всѣмъ рабочимъ, солдатамъ и Кр

Товарищи!

№ 209
Суббота,
28 октября 1917 г.

ИЗВѢСТІЯ
Центральнаго Исполнительнаго Комит
и Петроградскаго Совѣта
РАБОЧИХЪ И СОЛДАТСКИХЪ ДЕПУТАТОВ

Въ виду созыва въ теченіи ближайшихъ дней Второго Всероссійскаго Съезд
Совѣтовъ Крестьянскихъ Депутатовъ, крестьянъ-делегатовъ пріѣхавшихъ н
Второй Всероссійскій Съѣздъ Совѣтовъ Рабочихъ и Солдатскихъ Депутатов
просятъ остаться для участія въ работахъ этого съѣзда.

ДЕКРЕТЪ О ЗЕМЛѢ

Революціоннаго Комитета при Петроградскомъ Совѣтѣ
Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ.

Къ Гражданамъ Россіи.

Временное Правительство низложено. Государ-

ДА ЗДРАВСТВ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

№ 206
Пятница
октября 1917 г.

ЦѢНА:
въ Петроградѣ 15 коп.
На ст. мѣст. № 18 коп.

ИЗВѢСТІЯ
Центральнаго Исполнительнаго Комитета
и Петроградскаго Совѣта
Рабочихъ и Солдатскихъ Депутатовъ

Адресъ редакціи:
Адресъ Редакціи:

Декретъ о мирѣ,

принятый единогласно на засѣданіи В
Рабочи
Солдатскихъ Съѣзда
и Крес
26 октя



Крейсер «Аврора».



წერილი ბ. კ. ორჯონიკიძეს

სტალინს. გთხოვთ გაგზავნოთ, ხოლო თუ რაიმე საფინანსო
მდეგო გაქვთ, მომელაპარაკოთ ტელეფონით.

1921 წ. 2. III.

ბაქო. ორჯონიკიძეს

გადაეცით ქართველ კომუნისტებს და სპეციალურად
საქართველოს რევკომის ყველა წევრს ჩემი მხურვალე სალა-
მი საბჭოთა საქართველოსადმი. განსაკუთრებით ვთხოვ მათ
მაცნობონ — არის თუ არა ჩვენს შორის სრული თანხმობა ამ
სკითხში:

პირველი: საჭიროა დაუყოვნებლივ შევაიარაღოთ მუშები
და უღარიბესი გლეხები და ამნაირად შევქმნათ საქართველოს
მტკიცე წითელი არმია.

მეორე: უეცილებელია ქართველი ინტელიგენციისა და წვრი-
ლი ვაჭრების მიმართ დათმობათა განსაკუთრებული პოლიტიკა.
უნდა შევიგნოთ, რომ არათუ აზრი არა აქვს ამ წვრილი
ვაჭრების ნაციონალიზებას, არამედ საჭიროა ერთგვარი
მსხვერპლიც კი გაეიღოთ, ოღონდ გავუმჯობესოთ მათი
მდგომარეობა და დავუტოვოთ მათ წვრილი ვაჭრობის
წარმოების შესაძლებლობა.

მესამე: უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ
გამოინახოს მისაღები კომპრომისი ბლოკისათვის ჟორდანია-
თან ან მის მსგავს ქართველ მუნშევიკებთან, რომლებიც
[illegible] ერიდევ აჯანყებამდე აბსოლუტურად მტრულად არ იყვნენ
[illegible] ბაბით საქართველოში საბჭო-
[illegible]ისადმი.

[illegible]თველს როგორც საშინაო,
[illegible]ითხოვენ ქართველი კომუ-
[illegible] გამოყენებას კი არა, არამედ
[illegible]ხერხებულად და მოქნილად
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

არკადი ვასილიევი

არის ასეთი პარტია

მწერალ არკადი ნიკოლოზის ძე ვასილიევის (1907-1972) ტრილოგია „არის ასეთი პარტია!“ — მრავალპლანიანი მხატვრული ტილოა, რომელიც მოიცავს მღელვარე ეპოქალურ მოვლენებს 1905 წლის რევოლუციიდან 1917 წლამდე. ისტორიკოსის უტყუარობითა და თანამიმდევრობით მოგვითხრობს ავტორი ბოლშევიკების პარტიის მოღვაწეობაზე, მის ჩამოყალიბებაზე და ხელმძღვანელ როლზე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და ძლევამოსილი დაგვირგვინებისას. როდესაც ვარჩევდით ნაწყვეტს ამ ტრილოგიიდან ჩვენს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად, ბუნებრივია, იმ თავებზე შევჩერდით, სადაც წარმოდგენილია მაშინდელი ძვრების კულმინაცია. არკადი ვასილიევი თვლიდა, რომ დოკუმენტებზე დაფუძნებულ პროზაშიც კი დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხატვრულ ამოცანას — ხასიათების შექმნას, სახეთა არსში წვდომას და კომპოზიციურ მთლიანობას.

აგვისტოს ბოლო, სექტემბერი და ოქტომბერი ისეთნაირად იყო დამუხტული მოვლენებით, რომ ხალხი ამ მოვლენების გარჩევასაც კი ვეღარ ასწრებდა.

სულ მალე, სახელმწიფო თათბირის ჩატარების შემდეგ, მოსკოვში, ცნობილი გახდა, რომ მთავარბანაკში, რომელიც კვლავინდებურად მოგილიოვში იდგა, სამხედრო დიქტატურის დამყარებაზე ბჭობდნენ. ამ საქმესთან უშუალოდ დაკავშირებული გენერლების — დენიკინის, დიდერიხსის, ბაგრატიონის, დოლგორუკოვის უბრალო ჩამოთვლაც კი იმას მეტყველებდა, რომ სამხედრო დიქტატურის დამყარებიდან მონარქიის აღდგენას არაფერი აკლდა.

რამდენიმე დღის შემდეგ საყოველთაო ყურადღება მიიპყრო ტრაგიკულმა ცნობამ — გენერლებმა გაარღვიეს რიგის ფრონტი და დაიკავეს რიგა.

ოცდახუთ აგვისტოს კორნილოვმა კონტრრევოლუციური მოწოდებით მიმართა ჯარებს და პეტროგრადისკენ დაძრა გენერალ კრიმოვის კორპუსი, სადაც შტაბის უფროსად დიდერიხსი მუშაობდა.

კორპუსის შემადგენლობაში შედიოდნენ კაზაკთა პოლკები და სახელგანთქმული „ველური დივიზია“, რომელიც ჯერ კიდევ 1916 წელს ჩამოყალიბდა კავკასიელ ეროვნებათა ნებაყოფლობითი მთიელებისგან. ამათი უმრავლესობა გაუნათლებელი იყო და ბრმად მიჰყვებოდა კორნილოვს. დივიზიას წინ მიუძღოდა ჯავშნიანი ავტომანქანების რაზმი, ოფიცრები რომ მართავდნენ.

პეტროგრადში დაძრწოდნენ საეჭვო ელემენტები, ცარცით ნიშნავდნენ იმ ბინების კარებს, სადაც ბოლშევიკები და მოწინავე მუშები ცხოვრობდნენ.

მეორე დღეს დროებითი მთავრობის უოფილმა მინისტრ-თავმჯდომარემ, თავადმა ლვოვმა მოითხოვა კერენსკის კორნილოვის სახელით გადაებარებინა გენერლისთვის მთელი ძალაუფლება. ლვოვი საღამოს კერენსკის ბრძანებით დააპატიმრეს. ყველა მინისტრ-კადეტი გამოვიდა მთავრობის შემადგენლობიდან. პეტროგრადში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა. დედაქალაქის გენერალ-გუბერნატორად ბორის სავინკოვი დანიშნეს. სავინკოვმა ამ თანამდებობაზე მხოლოდ სამი დღე დაჰყო — გაირკვა, რომ სწორედ იგი ყოფილა შუამავალი კერენსკისა და კორნილოვს შორის მოლაპარაკებისას. ჭორი დაირხა (და თურმე, ნამდვილი კი იყო!) — კერენსკის ყველაფერი მშვენივრად სცოდნია კორნილოვის განზრახვის შესახებ, ეხმარებოდა კიდეც და მანევრი მხოლოდ მაშინღა მოახდინა, როცა კი მიხვდა: ძალაუფლების ხელში ჩაგდების შემდეგ გენერალი ანგარიშს მასაც გაუსწორებდა.

ბოლშევიკებმა პეტროგრადის მოსახლეობას და გარნიზონს განუმარტეს, თუ რა მოელოდათ კორნილოვისგან. ათასობით კაცი გამოვიდა სანგრების სათხრელად. ორ დღეში შეიქმნა და შეიარაღდა წითელი გვარდიის რაზმები. მეამბოხე გენერლის ჯარების შესახვედრად ასობით აგიტატორი — ბოლშევიკი და მუშა წავიდა. თვით „ველურმა დივიზიამაც“ კი პირი იბრუნა უკან, ფრონტისკენ, ბოლშევიკთა ამგვარი დაწოლის შედეგად.

ოცდაცხრა აგვისტოს დააპატიმრეს კორპუსის მეთაური, გენერალი კრიმოვი. ორი დღის შემდეგ მან თავი მოიკლა.

დროებითმა მთავრობამ კორნილოვი სამშობლოს მოღალატედ გამოაცხადა. პირველ სექტემბერს მოგილიოვში გენერალი ალექსეევი ჩავიდა და დააპატიმრა კორნილოვი და მისი უახლოესი თანამემწეები, გენერლები — ლუგომსკი რომანოვსკი. ორი დღის შემდეგ თანამდებობიდან გადადგნენ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელები — დენიკინი, მარკოვი, ვანოვსკი, ერდელი.

კორნილოვის ჯანყის დღეებში, ძალაუფლების დაკარგვისა და, უკეთეს შემთხვევაში, ძველებურადვე ნაფიც რწმუნებულად დარჩენის პერსპექტივით დამფრთხალი კერენსკი მზად იყო, მიეღო დახმარება თვით იმათგანაც კი, ვინც ყველაზე მეტად სძულდა — ბოლშევიკებისაგან. 27 აგვისტოს, მიიღო თუ არა ცნობა კრიმოვის კორპუსის მოახლოებაზე, სასოწარკვეთილმა დაუყვირა ამალას: „სთხოვეთ ბოლშევიკებს ზემოქმედება მოახდინონ ჯარებზე!. ისინი მათ დაუჯერებენ!“

მაგრამ როგორც კი საფრთხე გვერდზე დარჩა და 30 აგვისტოს კერენსკიმაც თავი უმაღლეს მთავარსარდლად გამოაცხადა, მან კვლავ მიჰყო ხელი ბოლშევიკების დევნას, თუმცაღა, უკვე ვეღარაფერს აღწევდა — ბოლშევიკების ავტორიტეტი დღითიდღე იზრდებოდა. მრავალ ქალაქში — კრასნოიარსკში, ტაშკენტში, ლუგანსკში, ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების ხელში გადავიდა საბჭოებისგან განსხვავებით, გაზაფხულსა და ზაფხულში მენშევიკებისა და ესერთა მძლავრი ზეგავლენით რომ მოქმედებდნენ, ამჟამად დეპუტატობას უკვე ბოლშევიკები ხელმძღვანელობდნენ.

დროებითმა მთავრობამ რუსეთი რესპუბლიკად გამოაცხადა. მოსკოვში, კრონშტადტში, მინსკში, ტამბოვში, ცარიცინში, ოდესაში წითელი გვარდიის რაზმები იქმნებოდა. სწორედ ისინი წარმოადგენდნენ ძალას, მოახლოებულ კონტრრევოლუციასთან ბრძოლაში რომ ჩაება.

ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს გადარჩევებზე. 19 სექტემბერს

აირჩიეს ახალი, მოსკოვის საბჭოს ერთიანად ბოლშევიკური აღმასრულებელი კომიტეტი.

რუსეთს კვლავინდებურად ორი ხელისუფლება წარმართავდა — დროებითი მთავრობა და მუშათა დეპუტატების საბჭოები; მთავრობა სულ უფრო კარგავდა მყარ საყრდენს ფეხქვეშ. ბოლშევიკთა ლოზუნგმა „ძალაუფლება საბჭოებს!“ — მიიზიდა ხალხთა ფართო მასები. ბოლშევიკთა მოთხოვნის საპასუხოდ, მოეწვიათ სექტემბერში მენშევიკთა და ესერთა საბჭოს მეორე ყრილობა, რომელთაც ხმის უმრავლესობა ჰქონდათ საბჭოების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში, დემოკრატიული თათბირი საბჭოების ყრილობის ნაცვლად მოიწვიეს.

14 სექტემბერს ალექსანდრეს თეატრში გახსნილ თათბირზე გამოსული წერეთლის სიტყვიდან ცხადი გახდა, რომ მენშევიკებს სურდათ, შეექმნათ ახალი კოალიციური მთავრობა კადეტთა, ესერთა და მენშევიკებისაგან. დემოკრატიულმა თათბირმა გამოჰყო თავისი მუდმივი წარმომადგენლობითი ორგანო დროებით მთავრობასთან— რუსეთის რესპუბლიკის საბჭო, რომელიც „პარლამენტისწინად“ მონათლეს.

ეს იყო შემთანხმებლურ პარტიათა კიდევ ერთი ცდა, დახმარებოდნენ ბურჟუაზიას, ხელთ ეგდოთ სრული ძალაუფლება ხალხზე.

რესპუბლიკის საბჭოში ხუთას ორმოცდა თხუთმეტი კაცი შევიდა.

რუსეთის რესპუბლიკის საბჭო პირველად შეიკრიბა 7 ოქტომბერს მარიინის სასახლეში, სადაც ოდესღაც სახელმწიფო საბჭო მუშაობდა. ჟოლოსფერი ხავერდით გადაკრული სავარძლების ნაცვლად დარბაზში უბრალო ვენური სკამები ეწყო. რუსეთის იმპერიის სახელმწიფო გერბის ჩამოხსნა ვერ მოესწროთ და ტილო ჩამოეფარებინათ. დაეფარათ, აგრეთვე ილია რეპინის სურათიც — „სახელმწიფო საბჭოს სხდომა“.

პირველ რიგში ისხდნენ — გენერალი ალექსეევი, „რუსეთის რევოლუციის ბებია“ — ესერთა ცოცხალი ხატი ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, ვერა ფიგნერი. სამინისტრო ადგილებზე კერენსკის გვერდით მოკალათებულიყო ახალი სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი.

როგორც ყოველთვის, ხაკისფერ ფრენჩში გამოწყობილი კერენსკი დადგა შემაღლებულზე. თეატრალურად ჩაიყო ხელი უბეში. ისეთი სიფათი დაიჭირა, თითქოს არც კი სცოდნოდა დარბაზში ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას ყოფნა და, უცებ გაიწვდინა მისკენ ხელები:

— ეკატერინე კონსტანტინეს ასულო! უძვირფასესო! თქვენი ადგილი პრეზიდიუმშია!

ბრეშკო-ბრეშკოვსკაია, სრულიად თმაჭაღარა, მაგრამ სამოცდაცამეტი წლის ასაკის მიუხედავად, საკმაოდ მოძრავი მოხუცი, კერენსკისკენ გაემართა. კერენსკი ალმაცერად შესცქეროდა კინოოპერატორებს. მერე მოწიწებით დაიხარა, ემთხვია ხელზე ბრეშკო-ბრეშკოვსკაიას. ეს უკანასკნელიც მოეხვია და მისი თავი მხარზე მიიკრა. ამ მგრძნობიარე სცენის შემხედვარე გულაჩუყებულმა დეპუტატებმა აპლოდისმენტები დასცხეს.

შემდეგ, თავმჯდომარის არჩევას შეუდგნენ.

თითქმის ერთხმად გავიდა ესერი ავქსენტიევი. ყოველივე შშვიდად, სასიამოვნოდ ვითარდებოდა. ასეც უნდა დამთავრებულიყო მენშევიკთათვის და ესერთათვის მეტად საზეიმო ეს დღე. დარბაზში ბოლშევიკთა დელეგაცია რომ არ შემოსულიყო. შემოვიდნენ და ათასი საწყენი, მეტად არასასიამოვნო სიტყვები უთხრეს ორგანიზატორებს. ხალხის მოტყუების თქვენი ეს ახალი ცდაც ჩასაფლავებლად განწირულია. ბოლოს კი, მართალია ტილოჩამოფარებულ, მაგრამ მაინც სამეფო გერბიან ამ მდიდრულ დარბაზში გაისმა: „ძალაუფლება საბჭოებს!“ საკუთარი დეკლარაციის გამოცხადების შემდეგ ბოლშევიკები წავიდნენ. დარბაზიდან დაადევნეს: „ირჩიეთ ფანრის ბოძები!“

ყველაზე ბოლოს მიმავალი ბოლშევიკი შემობრუნდა და დარბაზში მსხდომთ გულუბრალოდ შესცინა. არც შიში და არც რისხვის ნატაძალი არ ეძჩნეოდა.

* * *

სამშაბათს, 24 ოქტომბერს, ძალზე ციოდა. ქარი ბალტიკიდან მოერეკებოდა დიდრონ-დიდრონ დაფხრეწილ ღრუბლებს. დილით მოთოვა. თოვლი ვიწრო ზოლებად იდო სანაპიროთა გრანიტის მოაჯირებზე, ზამთრის სასახლესთან განლაგებულ ქვეშეხთა ლულებზე.

დილით, ჩვეულებრივად, საბჭოს სხდომა ტარდებოდა. დარბაზი ხმაურობდა. ორატორს — მსუქან კაცს, საოცრად უნდილად რომ აცხადებდა რაღაც ციფრებს, ცუდად უსმენდნენ. დარბაზში შულგინი შემოვიდა. გენერალ სპირიდონოვს მოუჯდა ბოლო რიგში, თავი ასწია და შეხედა ორატორს.

— ეს ვინ ლაპარაკობს, გენერალო?

— თქვენ რა, ვასილ ვიტალის ძევ, მინისტრებს ვეღარ სცნობთ? ეს ხომ შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკიტინია.

— ვერ ვიცანი. ხშირად იცვლებიან. რაზე ლაპარაკობს?

— სასურსათო საკითხზე. მაგრად გვეხაზება. იქით რა ხდება? — გენერალმა ფანჯრებისკენ ანიშნა.

— ჩემი აზრით, გენერალო, ბოლშევიკებმა უკვე დაიწყეს მოქმედება. ბოლო ამბები თუ იცით: ბანკირ კრაფტს ანარქისტებმა ცხრა წლის ბიჭი მოსტაცეს. გამოსასყიდს ითხოვენ — ას ორმოცდაათ ათასს...

ნიკიტინი ტრიბუნაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ტერეშენკომ შეცვალა: შეეცადა შეეჯამებინა კამათი საგარეო-პოლიტიკურ საკითხებზე. ის იყო პირველი ფრაზა წარმოთქვა, რომ დარბაზის მარცხენა რიგებიდან აყვირდნენ: „გადადექით!.. გიმნაზიაში უნდა დადიოდეთ. მეხუთე კლასში!“.

საყოველთაო ყიჟინაში ტრიბუნაზე უეცრად შემოსული კერენსკი ახტა. როგორც ჩანს, ეჩქარებოდა, რადგან საათს დასცქეროდა. კი არ ალაპარაკდა, აბურტყუნდა, რაღაცნაირად, ბოლშევიკთა აჯანყების თაობაზე, ვაზნების თვითნებურ გაცემაზე. ყურს არავინ უგდებდა. უსტვენდნენ. და მხოლოდ მაშინღა გაჩუმდნენ, როდესაც ლენინი ახსენა.

— იუსტიციის მინისტრმა მალიანტოვიჩმა ეს-ეს არის მომახსენა, რომ კატეგორიული განკარგულება გაუცია სასამართლო პალატის პროკურორისთვის ლენინის დასაპატიმრებლად.

დარბაზი გაისუსა.

— მთავრობის ყურამდე მოაღწია ცნობამ, რომ ლენინი პეტროგრადის გუბერნიაში იმალება... მას დააპატიმრებენ!

კერენსკიმ საათს დახედა და გაიქცა ტრიბუნიდან.

— ალექსანდრე თევდორეს ძევ! — დაუძახა თავმჯდომარემ. — ერთი წუთით.

კერენსკიმ ხელი აიქნია, კარებში გაუჩინარდა. უკან ჩორთით მისდევდა ორი ადიუტანტი. ერთ მათგანს ხელზე გადაეკიდა მინისტრ-თავმჯდომარის ნაცრისფერი პალტო.

გენერალი სპირიდონოვი წამოდგა და გულგრილად მიმართა შულგინს:

— მე მეგონა, თუ უკვე დაჭერილი ჰყავდათ...

და თამბაქოს მოსაწევად გავიდა. როდესაც დაბრუნდა, ტრიბუნაზე უკვე დროებითი მთავრობის საქმეთა მმართველი იხილა.

— ბატონებო!.. ერთი წუთით. თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს დროებითი მთავრობის გადაწყვეტილება, ჩავთვალოთ პავლოვსკის მამული თავად იოანე კონსტანტინეს ძის პირად საკუთრებად. ვფიქრობ, წინააღმდეგი არავინ უნდა იყოს.

— მაპატიეთ! — მოისმა მარცხნიდან. — მე ვარ წინააღმდეგი.

— კენჭს ვუყრი, — ზარის წკრიალის თანხლებით დაიყვირა თავმჯდომარემ.

რისხვით სახეაწითლებული შულგინი გასასვლელისკენ გაიქცა.

— რუსეთი იღუპება, ესენი კი...

* * *

დილით სერგეი ივანეს ძე და სტეფანე პოდვოისკისთან გამოიძახეს. სმოლნის გრძელ დერეფნებში ჩამდგარი ბრბო გაარღვიეს. პოდვოისკის მხიარულად უცინოდა თვალები:

— გეგმა წამოიღეთ?

— სტეფანემ ნატაშას მიერ დედნიდან გადმოხატული სასახლის გეგმა ამოიღო.

— აი პირველი სართული, აი მეორე...

პოდვოისკიმ გეგმას წითელი ფანქარი დაარჭო

— ყურადღებით დააკვირდით. ეს არის ეგრეთ წოდებული სალტიკოვის სადარბაზო, აღძირალტეისტვოს მოპირდაპირედ.

— ვიცი, — უთხრა სტეფანემ — ყარაულში ვმდგარვარ.

— მით უკეთესი, — შეაქო პოდვოისკიმ. — თქვენმა რაზმმა მატროსებთან ერთად შტურმით უნდა აიღოს სადარბაზო. მოხვდებით დერეფანში, რომელსაც კუტუზოვისას ეძახიან. ახვალთ კიბეზე. მეორე სართულამდე არმისულებს ბაქანზე სამორიგეო ოთახის კარი შეგხვდებათ. შემდეგ, გრძელ, ჩაბნელებულ დერეფანში მოხვდებით, იქ უამრავი პორტრეტი ჰკიდია. მერე იქნება დიდი დარბაზი — არც მრგვალი და არც კვადრატული.

— როტონდა, — უკარნახა სტეფანემ.

— უყურე ერთი, — გაოცდა პოდვოისკი. — ისე ერკვევა, როგორც საკუთარ ბინაში.

— მანდაც ვმდგარვარ, არაბული დარბაზის კარებთან.

— სწორია. იქვეა. ჰოდა, ამას იქით უკვე მალაქიტის დარბაზია — იქ სხედან კიდეც... მალაქიტის დარბაზიდან მარცხნივ გაუხვიეთ, აი ხომ ხედავთ კუთხის ვიწრო ოთახს — ეს გახლავთ ყოფილი მეფის კაბინეტი. ეს კი,მისი ბიბლიოთეკაა. ამბობენ კერენსკის აქ უყვარსო მინისტრების მიღება. გაითვალისწინეთ — ამ სამ დარბაზში, საკონცერტოში, ნიკოლოზისა და ავანდარბაზში, ჰოსპიტალია. იუნკრებს თავი მოუყრიათ იმ ტალანებში, რომლებიც ფანჯრებით სასახლის მოედანს გადმოჰყურებენ. იმათ სხვა სადარბაზოდან მივადგებით, ასეც ეწოდება — „მისი უდიდებულესობის სადარბაზო“. ხომ ყველაფერი ნათელია, ამხანაგებო?

— არ გვყოფნის ხელყუმბარები, — შენიშნა სერგეი ივანეს ძემ. — არადა, ახლო ბრძოლაში, ამბობენ, ძალიან ხელსაყრელი რამ არისო.

— ალბათ, — დაეთანხმა პოდვოისკი და სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ბლანკზე რამდენიმე სიტყვა დაწერა.

— პოლკოვნიკ ბლაგნორავოვს პეტრე-პავლეს სიმაგრეში... თუ იმას არ ექნა, მაშინ, ტერ-არუთუნიანს მიმართეთ კრონვერკის არსენალში. რით მოხვედით, ტრამვაით?

— ჩვენ ახლა უკვე მდიდრები ვართ. ბატონ ნობელის შოფერმა ნებით გვაჩუქა მისი ავტომობილი, — ჩაიცინა სერგი ივანეს ძემ. — ხანგრძლივი სარგებლობისათვის...

— ყოჩაღები ხართ, ხელი გაუწოდა პოდვოისკიმ. — წარმატებას გისურვებთ. თუმცა, მოითმინეთ. მთავარი დამავიწყდა: ვლადიმერ ილიას ძემ მთხოვა გადმომეცა — რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი იყოს... და კიდევ, ეს უკვე მოთხოვნაა!.. სასახლე და ყველაფერი, რაც მასშია — ხალხის საკუთრებას წარმოადგენს. უნდა დავიცვათ ყველაფერი. არ დაუშვათ ძარცვა. არადა, მოსალოდნელი კია. არეულობაში მაროდიორებიც თავის საქმეს გააკეთებენ. აბა, კიდევ ერთხელ, წარმატებას გისურვებთ.

სმოლნის პირველი სართული და ვესტიბიული ჯარისკაცებითა და მატროსებით იყო გაჭედილი. მხრებზე შინელმოსხმული, ხანშიშესული ჯარისკაცი, დიდი უხუფო ჩაიდნით ხელში, მხიარულად გაიძახოდა:

— აბა, კიდევ ვის სურს მდუღარე?

დერეფნიდან გაფითრებულმა ჩხეიძემ გამოარღვია რიგები. შლაპა გვერდზე ჩამოეფხატა. უკან მოსდევდა დანი, რომელსაც ხელში ჰალსტუხი ეჭირა. ალბათ, გაცხარებული კამათის დროს თუ მოაძრეს, თან ერთი და იგივეს იმეორებდა:

— ეს სიგიჟეა! ეგენი არ დაუშვებენ.

ბრბომ გზა მისცა კიბეზე. მატროსმა ფრთხილად გასწია კარდალიანი ხელი, გალანტური ჟესტი გააკეთა:

— გაატარეთ, ოღონდ ფრთხილად, არ დაგვეფუფქონ!

სტეფანემ და სერგეი ივანეს ძემ გასასვლელისკენ გააღწიეს. ერთბაშად როდი მოძებნეს თავიანთი ავტომობილი. მძღოლმა გაიფრთხილა:

— ამბობენ, ხიდი აუწევიათო. ცენტრიდან გავიდეთ?

— როგორც გინდათ.

სუვოროვის პროსპექტით გავიდნენ ნევისაზე. მოახლოებულ აჯანყებაზე აქ არაფერი მეტყველებდა. ხალხმრავლობაა. ტრამვაები წკრიალებენ. ის იყო ზნამენსკის მოედანსაც მიადგნენ, რომ მოტორი გამოირთო. მძღოლმა ფაცი-ფუცით გადმოიღო ხელსაწყოები.

— განა ეს ბენზინია? მაზუთი!

მანქანასთან უმალ მოიყარა თავი ბრბომ.

სტეფანემ სცადა თანაგრძნობა გამოეხატა მძღოლისთვის, იმან კი, მოტორის შეკეთების წარუმატებელი ცდებით გაგულისებულმა, შეჰბღვირა: „შემეშვი, ხელს ნუ მიშლი!“.

სტეფანემ სემიონოვს დაუწყო ლოდინი, რომელიც პაპიროსის საყიდლად გადავიდა... დროის მოკვლის მიზნით კედლებზე გაკრული უამრავი აფიშის კითხვას შეუდგა.

„ელექტროთეატრი პარიზიანა“... დღეს — „წარსულის მქონე ქალი“. მთავარ როლებში ლისენკო, მოჟულინი.

მეორე აფიშა იუწყებოდა, რომ ხვალ ოთხშაბათს, 25 ოქტომბერს, კომპოზიტორ ჩაიკოვსკის გარდაცვალების ოცდაოთხი წლის აღსანიშნავი პანაშვიდის შემდეგ გაიმართებოდა კონცერტი.

ამ აფიშის გვერდით ეკიდა ისეთი განცხადებაც, ფრიად რომ გააკვირვა სტეფანე. მსხვილი შრიფტით აწყობილი პირველი სტრიქონი იუწყებოდა: „ვიხდი ყველაზე მეტს“. მერე ეწერა, რომ სასტუმრო „ევროპეისკაიაში“ მცხოვრები შტალბერგი უცხოური ვალუტით ყველაზე მეტს გადაიხდიდა ბრილიანტებში, ძველებურ ფაიფურში, გობელენებში, გრავიურებში, სათუთუნეებში, ოქროში. მიღება — დღეღამის განმავლობაში. მითითებული იყო ორი ტელეფონის ნომერიც.

მოვიდა სემიონოვი. სტეფანემ აჩვენა განცხადება.

— ხედავ, რაებს ყიდულობს ეგ არამზადა! მერე უცხოეთში გაზიდავს.

გაზეთის გამყიდველმა ჩაირბინა ყვირილით: „ექსტრაბუტი! გამოშვება“. სერგეი ივანეს ძემ გაზეთი იყიდა, გაშალა ექსტრენული ცნობა, მაგრამ დილის გამოშვება მიეყიდათ. გამყიდველი კი უკვე ნევის პროსპექტის გაღმა მიჰქროდა.

— მოგვატყუა, არამზადამ!

რა უნდა ექნა. დაიწყო კითხვა: „ცნობები მთავარბანაკიდან. ჩრდილოეთის, დასავლეთის, სამხრეთ-დასავლეთის ფრონტებზე სიმშვიდეა. რუმინეთის ფრონტზე გახურებული სროლაა. ფრონტების მრავალ უბანზე ადგილი აქვს ჯარისკაცთა დაძმობილებას“.

მოტორი ათუხუხდა. მძღოლმა, ვითომდა, სიხარულის დაფარვის მიზნით, ბრაზიანად დაიძახა:

— აბა, მგზავრებო, წავედით!

სასახლის ხიდამდე მივიდნენ. სდექ — აუწევიათ. მოუხვიეს მარცხნივ, ნიკოლაევსკისკენ. ხიდთან მატროსების რაზმია. გოძელ ღვედზე ჩამოკიდებული რევოლვერის გახსნილბუდიანმა მეთაურმა მკაცრად იკითხა:

— საით? ვინა ხართ?

სერგეი ივანეს ძემ სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მანდატი უჩვენა. სტეფანემ მეთაურის ლენტზე ამოიკითხა: „ავრორა“.

— გაუშვით!

ხიდზე ავარდნენ თუ არა, უმალ დაინახეს კრეისერი. ზუსტად ნევის წყლისფერი იყო. მხოლოდ კიჩოზე მოჩანდა შავად მატროსთა გუნდი.

— მოსულა! — უკან მოიხედა მძღოლმა. — გუშინ რუსულ-ფრანგულ ქარხანასთან იდგა. თვითონ ვნახე. აბა, დადგომიათ დღე ბურჟუებს და ეგ არი!

და აი, დადგა ეს დღეც — რუსეთის ბერჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის უკანასკნელი დღე.

ციოდა. ქარი გუშინდელივით მოერეკებოდა ღრუბლებს ბალტიკიდან. დაბლა-დაბლა მოცურავდნენ. პეტრე-პავლეს სიმაგრის ქიმს ეხახუნებოდნენ. თოლიები დაფარფატებდნენ ნევას.

გათენებისას დაიძრა იაკობის ასეული. ხელს რომ ართმევდა, სტეფანე გაეხუმრა:

— იქნებ შეგხვდეს შენი პოლკოვნიკი იურასოვი. ჩვენგან მოკითხვა.

— ჩვენთვის არა ცხელა იმას. მოსკოვშია. მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდლის შტაბის უფროსის თანაშემწეა.

სტეფანემ უკვე საქმიანად გააფრთხილა:

— განთავისუფლდები თუ არა, მეკავშირე გამომიგზავნე.

დღის პირველ საათზე სტეფანეს ტელეფონთან უხმეს. გულდასმით მოუსმინა.

და მოკლედ უპასუხა: „მესმის“. მერე ყურმილი დადო, ბრძანება გასცა მწყობრში ჩასადგომად და ჰკითხა სემიონოვს:

— ილაპარაკებ?

— კარგი იქნებოდა.

მწყობრის წინ დადგნენ. სერგეი ივანეს ძემ რატომღაც ქუდი მოიხადა.

— ამხანაგებო! სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ბრძანებით მივდივართ, რათა დავამჭოთ დროებითი მთავრობა.

უსმენდნენ სერიოზულად, დუმილით. სემიონოვმა სწრაფად მოათავა გამოსვლა.

— ყველაფერი ნათელია, ამხანაგებო?

და უცებ, ბიჭურმა ხმამ იკითხა:

— ყველა ბურჟუას ერთად მოვუღებთ ბოლოს თუ არჩევით?

— ვინ იკითხა? ორი ნაბიჯით წინ!

გადადგა ნაბიჯი მატროსულ ბუშლატსა და ჯარისკაცულ ქუდში გამოწყობილმა ბიჭმა.

— დადე შაშხანა!

— რატომ?

— დადე-მეთქი! მარცხნივ! ნაბიჯით იარ! ასეულის უფროსო, ტარასოვ! მერე განუმარტეთ წითელარმიელ სუხოვს პროლეტარიატის ამოცანები. მიმდინარე მომენტისთვის მეტი შეკითხვა ხომ აღარ არის?

— სად არის ამხანაგი ლენინი?

— ამხანაგი ლენინი სმოლნშია. ახლა ნათელია ყველაფერი?

მეტი შეკითხვა აღარ მიუციათ.

— მარჯვნივ, ნაბიჯით იარ!

რაზმი მწყობრი ნაბიჯით წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეურნეო მექანიზმი, სტრუქტურა, პერსპექტივები

„სამეურნეო მექანიზმი“ იმ ტერმინთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ჩვენს ცხოვრებაში არცთუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრდა. დღეისათვის ძნელად მოიძებნება პიროვნება, რომელსაც ყოველდღიურად არ უხდებოდეს სამეურნეო მექანიზმის მოსმენა ან წაკითხვა.

სიტყვა „მექანიზმი“ ბერძნული წარმოშობისაა და ნიშნავს იარაღს, მოწყობილობას. იგი სხვადასხვა კონტექსტში გვხვდება სხვადასხვა დროის ეკონომისტებთან. განსაკუთრებით ხშირად ხმარობდნენ ამ ტერმინს XIX საუკუნის ეკონომისტები (ბემ-ბავერკი, ა. კაუფმანი). ეს იმით აიხსნება, რომ XIX საუკუნე მექანიკის საუკუნეა და სიტყვა „მექანიკას“ აქ ისეთივე მოდური გამოყენება ჰქონდა, როგორც დღეს სიტყვებს „სისტემა“, „სტრუქტურა“, „კომპლექსი“. „კაპიტალის ნამდვილი მექანიზმი“, „საზოგადოებრივი ცხოვრების მექანიზმი“ და ასე შემდეგ, ხშირადაა მოხსენიებული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შრომებში.

სამეურნეო მექანიზმი ყოველი ისტორიული ეტაპისათვის თავისებურებებით ხასიათდება, მაგრამ მისი არსი არ იცვლება და სოციალისტური აღმშენებლობის ყველა საფეხურზე უცვლელი რჩება.

საჭიროა ეკონომიკური კანონზომიერებების მაქსიმალურად შეცნობა, მეცნიერული თეორიის შექმნა, რომლის საფუძველზეც დაგეგმვის, მართვისა და სამეურნეო მექანიზმის მთელი სისტემის სწორი ფუნქციონირებით მოხდება მათი მაქსიმალურად გათვალისწინება და ეფექტიანი გამოყენება.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა არაა ერთჯერადი აქტი. საბჭოთა კავშირის მთელი სამეურნეო ისტორია გულისხმობს საწარმოო ძალების დონის ადექვატური სამეურნეო მექანიზმის ფორმირების ისტორიას. სამეურნეო მექანიზმის ფორმირება და მისი სრულყოფა ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა.

მისი სტრუქტურა შეიძლება წარმოვიდგინოთ რამდენიმე კრიტერიუმის მიხედვით. პირველი, წარმოებითი ურთიერთობების, ანუ წარმოების პროცესში ადამიანთა ურთიერთობების დონეთა მიხედვით, სხვანაირად, იმ კავშირების შესაბამისად, რომლებიც მყარდება დონეებს, რგოლებსა და წარმოების აგენტებს შორის. ამ კრიტერიუმის მიხედვით შეიძლება ეკონომიკაში სამი დონე გამოიყოს — მაკრო, მეზო და მიკრო, რომლებსაც შეესაბამება სახალხომეურნეობრივი კომპლექსი, დარგი, ეკონომიკური რაიონი, ან რეგიონი და სახალხო მეურნეობის პირველადი რგოლი. ყველა დონეზე გამოიყოფა სამეურნეო მექანიზმის კონკრეტული მოდელი.

სამეურნეო მექანიზმი უზრუნველყოფს წარმოების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების ფუნქციონირებას. ამ კრიტერიუმით შეიძლება გამოიყოს მისი სტრუქტურული ბლოკები: მართვა, დაგეგმვა, სამეურნეო ანგარიშიანობა, ეკონომიკური სტიმულირება, მშრომელთა აქტიურობის ზრდა, სოციალისტური შეჯიბრება და ა. შ.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა ხდებოდა სოციალისტური საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე. მისი კომპლექსური სრულყოფის პირველი ცდა მხო-

* * *

ზამთრის სასახლის ფანჯრებიდან კარგად მოჩანდა ბირჟა... ოდნავ მარცხნივ — პეტრე-პავლეს სიმაგრე. მაგიდიდან თუ წამოდგებოდი და სარკმელთან უფრო ახლოს მიხვიდოდი, ნევასაც დაინახავდი და ხიდებსაც.

ფანჯარასთან დგას ორი მინისტრი და მშვიდად საუბრობს: იუსტიციისა — მილიანტოვიჩი და საზღვაოსი — ვერდსევსკი.

— მითხარით, ადმირალო, თუკი მუქარას აღასრულებენ და „ავრორადან“ ცეცხლს დაგვიშენენ, რა მოუვა სასახლეს?

— ნანგრევებად იქცევა. ავრორას ხომ ხიდებზე მაღალი კოშკურები აქვს. ისე შეუძლია სასახლის მოსპობა, გვერდით არც ერთი შენობაც არ დაზიანდება. სასახლე ისე დგას, სამიზნეა.

მოცილდნენ ფანჯარას. ბოლთა დასცეს. კოლეგებს გადახედეს.

შემოვიდა ფერმკრთალი კინოვალოვი.

— ალექსანდრე თევდორეს ძე კერენსკი პეტროგრადიდან ფრონტზე წავიდა ჯარის მოსაგროვებლად. როგორც მისი მოადგილე, წინადადებას ვიძლევი გამოვაცხადოთ ჩვენი სხდომის დაუსრულებლობა, სანამ საბოლოოდ არ გადაწყდება კრიზისი. პირველი საკითხია — პეტროგრადის დაცვის საქმეში დროებითი მთავრობის რწმუნებულის დანიშვნა.

— წინადადება შემომაქვს, ამ პოსტზე...

მექანიკურად უყარეს კენჭი კიშკინს.

...გადის საათი. მეორე... მინისტრებს აბსოლუტურად არავითარი საქმე არა აქვთ. ხან სხედან, ხან სეირნობენ დერეფანში. ვერდეროვსკიმ უხმო მალიანტოვიჩს.

— დიდხანს ვიქნებით ასე? რამე ხომ უნდა ვიღონოთ!

— რას გვთავაზობთ?

— არაფერს.

საღამოს ვიღაცამ მორიგი არასასიამოვნო ამბავი მოიტანა. სასახლესთან იდგა მიხაილოვსკის სასწავლებლის ბატარეა. ეს ყოფილა, თურმე, დროებითი მთავრობის ერთადერთი საარტილერიო ნაწილი. და აი, ისე, რომ ბატარეას ერთი ჭურვიც კი არ გაუსროლია, მოხსნილა და დაუტოვებია პოზიცია.

ერთი ამბავიც მოვიდა— წასულა, აგრეთვე, ქალთა სიკვდილის ბატალიონიც. სასახლეში მხოლოდ იუნკრებიღა დარჩენილიყვნენ. ვაითუ ესენიც წავიდნენ? იქნებ თავი მოუყარონ, დაელაპარაკონ. იუნკრებს ალექსანდრეს დარბაზში უხმეს. ძვირფას იატაკზე ბრეზენტი გადაეფარათ. ყველგან პაპიროსის ნამწვი და ბოთლები ეყარა. კუთხეში — ლეიბების გროვა. ახალგაზრდული, ოღონდ, დაღვრემილი სახეები. ქვეშ-ქვეშ უცქერიან მინისტრებს.

გაისმის ჩახრინწული ხმა:

— გვინდა ვიცოდეთ, თუ ვის ვიცავთ.

უპასუხა კონოვალოვმა:

— ჩვენ... რუსეთის კანონიერ მთავრობას! თქვენ, იუნკრებო, მარტო მებრძოლები კი არა ხართ, არამედ მოქალაქეებიც. თავად გადაწყვიტეთ, თუ ვის მხარეზე უნდა დადგეთ.

მანიკოვსკიმ ჩურჩულით მიმართა შრომის მინისტრს, ფანჯარასთან ძალიან ახლოს მდგომ მენშევიკ გვოზდევს:

— რას შვრებით? ვაითუ ისროლონ!

გვოზდევი შეცბა. იუნკრებმა გაიცინეს. ვიღაცამ გესლიანად წამოიძახა: „გეშინიათ — მოგკლავენ?“

მალაქიტის დარბაზში დაბრუნდნენ. კარტაშოვმა შეაჯამა:

— ამაოდ ველაპარაკეთ. ლაწირაკები არიან.

ჩამობნელდა. ვერდეროვსკიმ საათს დახედა.

— შიდა პალატებში ხომ არ გადავსულიყავით, ბატონებო? აქ ჩვენ სროლის ზონაში ვიმყოფებით.

უმალ დათანხმდა ყველა. საჩქაროდ გადავიდნენ მეზობელ მომცრო სათავსოში — ყოფილი მეფის სასადილო ოთახში. ფანჯრები აქედან ეზოს გადაჰყურებდნენ. ოვალურ დიდ მაგიდას მიუსხდნენ.

შემოვარდა აღელვებული კიშკინი.

— ბატონებო! ულტიმატუმი წამოგვიყენეს. ოც წუთში თუ არ დავნებდით, კრეისერი „ავრორა“ ცეცხლს დაგვიშენს. რა ვქნათ, ბატონებო?

საათის ისრები საღამოს ცხრის ათ წუთს უჩვენებდნენ.



ლოდ 60-იან წლებში განხორციელდა. მანამდე კი ეკონომიკის განვითარების დაბალი საფეხურის გამო, აგრეთვე პოლიტიკური და სხვა მოსაზრებებითაც, წინა პლანზე იწევდა მისი ერთი მხარე, მაგალითად, 20-იან წლებში სახელმწიფო აღრიცხვა და კონტროლი.

60-იანი წლების შუა ხანებში სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა განხორციელდა ძირითადად საწარმოთა დონეზე. საზოგადოებრივი წარმოების ხელმძღვანელობის მთელი სიმძიმე ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურზე გადავიდა. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა საქონელწარმოებითი ურთიერთობების ეკონომიკური კანონების ქვესისტემის გამოყენებას.

70-იანი წლების დასაწყისში შესაძლებელი და აუცილებელი გახდა სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, უნდა დაძლეულიყო 1965 წლის სამეურნეო რეფორმის არასისტემური ხასიათი.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის კომპლექსური პროგრამა მოგვცა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 12 ივლისის დადგენილებამ „დაგეგმვის გაუმჯობესებისა და წარმოების ეფექტიანობის და მუშაობის ხარისხის ამაღლებაზე სამეურნეო მექანიზმის გაძლიერების შესახებ“. აღნიშნული დადგენილება ძირითადად მრეწველობასა და მშენებლობას შეეხო. სოფლის მეურნეობისათვის იგი გამოიკვეთა უფრო მოგვიანებით სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში „ქვეყნის აგროსამრეწველო კომპლექსში მეურნეობრიობის ეკონომიკური მექანიზმის შემდგომი სრულყოფის შესახებ“ (1986 წლის მარტი).

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის შესახებ 1979 წლის დადგენილების პრაქტიკული რეალიზაცია არ მოხდა. მეტიც, 70-იანი — 80-იანი წლების მიჯნაზე საბჭოთა ეკონომიკა კრიზისის წინა პერიოდის სიმპტომებმა მოიცვა. ამის მთავარი მიზეზი, როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის (1987) პლენუმზე აღინიშნა, იყო ის, რომ ქვეყნის ხელმძღვანელ ეშელონებში ვერ შეძლეს საზოგადოებაში კრიზისული მოვლენების დაძლევისა და სოციალისტური წყობილების შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების ზუსტი გზების განსაზღვრა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის (1985) პლენუმსა და სკკპ XXVII ყრილობაზე სრულად განისაზღვრა სამეურნეო მექანიზმის კომპლექსური [illegible] ქმნის ამოცანები და [illegible] ეკონომიკის პირველადი რგოლების დამოუკიდებლობის ზრდა, მეურნეობრიობის ახალ მეთოდებზე (თვითანაზღაურება, თვითდაფინანსება, სრული სამეურნეო ანგარიშიანობა) გადასვლა, მართვის დემოკრატიზაცია და სხვ.

სამეურნეო მექანიზმის რეფორმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987) პლენუმმა თავისი გადაწყვეტილებებით ახალ ეტაპზე აიყვანა.

რეფორმის პირობებში სრულად უნდა განხორციელდეს დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპი, გამორიცხულ იქნას ყოველგვარი „ეკონომიკური ექსტრემიზმი“, არ უნდა დაირღვეს სახალხო მეურნეობის ცენტრალიზებული გეგმური მართვისა და მისი ცალკეული რგოლების დამოუკიდებლობის დიალექტიკური ერთიანობა.

ცენტრალიზმი უნდა განხორციელდეს მხოლოდ ეკონომიკური მეთოდებით: სახელმწიფო შეკვეთებითა და ეკონომიკური ნორმატივებით. საწარმოთა დამოუკიდებლობამ კი უნდა უზრუნველყოს მუშაში მეპატრონის გრძნობის გაღვიძება.

ეკონომიკის სფეროში გარდაქმნა საზოგადოებრივი ურთიერთობების ყველა სხვა სფეროზე ნელა მიმდინარეობს. ეკონომიკაში გარდაქმნა და დაჩქარება ერთმანეთის მიზეზიცაა და შედეგიც. რომელიმე მათგანის შეფერხება, მეორის დამუხრუჭებას ნიშნავს, ამიტომ დღის წესრიგში დგას ორერთიანი ამოცანა: დაჩქარებული გარდაქმნა, გარდაქმნით დაჩქარება.

მიხეილ ჯიბუტი,
ელგუჯა მეკვაბიშვილი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები.

* * *

ღამის მეორე საათისთვის უკვე ყველაფერი მოთავდა. სტეფანე თავის წითელგვარდიელებთან ერთად როტონდაში, არაბული დარბაზის თაღთან იდგა. თაღქვეშ სათითაოდ გამოჰყავდათ მინისტრები, რომლებიც მიხვდნენ, რომ არ ემუქრებოდათ საჩქარო დასჯა და ამიტომ ისე დამფრთხალნიც არ ჩანდნენ. გამოიარა თავაწეულმა კონოვალოვმა, ტუჩები ზიზღით დამანჭოდა. ტერეშენკო მოუკიდებელ პაპიროსს თითებით ამტვრევდა. შინაგან საქმეთა მინისტრს კი შიშით წართმეოდა ფეხები და იგი ხელით მოჰყავდა ორ მატროსს. მინისტრებს ითვლიდნენ: ერთი, ორი, სამი...

სტეფანე და სემიონოვი სხვებთან ერთად მოხვდნენ მეფის სასადილოში. პატარა მაგიდაზე გაზეთგადაფარებული ლამფა ენთო.

— აქ აიყვანეთ, — თქვა ჯარისკაცმა, რომელმაც ნებაყოფლობით იკისრა ექსკურსიამძღოლობა.

შემოიჭრა რევოლვერმომარჯვებული მატროსი.

— ბრძანებაა!.. სასწრაფოდ დავცალოთ სასახლე. ამხანაგებო, ქვევით ჩადით!

ვიბორგის რაზმის უმეტესობა ზამთრის სასახლიდან გამთენიისას წავიდა. მატროსების რაზმთან ერთად მთელი ღამე ათვალიერებდნენ სასახლეს, აძევებდნენ საეჭვო პირებს, მოხელეებს ეხმარებოდნენ ოთახების დაკეტვაში. დააყენეს დაცვა.

სტეფანე და იაკობი ერთად გამოვიდნენ „მისი უდიდებულესობის სადარბაზოდან“. მოედანზე შეჩერდნენ. თამბაქო მოწიეს. სასახლეს რომ გამოხედეს ისევ, დაასკვნეს:

— მაგრა უცხოვრიათ!

მოედანზე სატვირთო ავტომანქანა შემორახრახდა. იქიდან ფურცლების დასტა გადმოყარეს. სტეფანემ ერთი ფურცელი დაიჭირა და განთიადის სუსტ შუქზე ამოიკითხა: „რუსეთის მოქალაქეებს. დროებითი მთავრობა დამხობილია. სახელმწიფო ძალაუფლება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების პეტროგრადის საბჭოს ხელში გადავიდა, სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის ხელში, რომელიც ხელმძღვანელობს პეტროგრადის პროლეტარიატს და გარნიზონს. საქმე, რომლისთვისაც იბრძოდა ხალხი: დემოკრატიული ზავისა დაუყოვნებლივი შეთავაზება, მიწებზე მემამულურ საკუთრებათა გაუქმება, წარმოებაზე მუშათა კონტროლის დაწესება, საბჭოთა მთავრობის შექმნა, — ეს საქმე მოგვარებულია!..“

* * *

ზამთრის სასახლე აიღეს. დროებითი მთავრობის მინისტრები უკვე პეტრე-პავლეს ციხეში ისხდნენ. 25 ოქტომბრის გვიან საღამოს გახსნილმა საბჭოების მეორე ყრილობამ ახალი მთავრობა ჩამოაყალიბა — სახალხო კომისართა საბჭო ვლადიმერ ილიას ძე ლენინის თავმჯდომარეობით.

ეს იყო არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ფაქტები. ახალი ხელისუფლების წინაშე მეორე დღესვე გამოაჩინა რეალური სახე ცხოვრებამ მთელი თავისი წინააღმდეგობებითა და სიძნელეებით. ბოლშევიკებს უამრავი საქმე უნდა მოეგვარებინათ. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი კი იყო: ხელისუფლების განმტკიცება მთელს უზარმაზარ ქვეყანაში, მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს დაცვა გერმანიის იმპერიალიზმისგან, შინაგანი კონტრრევოლუციის შემოტევისგან.

იყო ჩვეულებრივი ამბებიც. მიუხედავად იმისა, თუ რომელი დროშა ფრიალებს ზამთრის სასახლეზე, ადამიანებს ჭამაც უნდოდათ და სმაც. საჭირო იყო დედაქალაქშიც და სხვაგანაც ეკვჭრათ მაღაზიებს, ემოძრავათ მატარებლებსა და ტრამვაებს, გაეხსნათ სკოლები, საავადმყოფოები. საჭირო იყო ქარხნების, ფაბრიკების, საცხობების, აბანოების სრული დატვირთვით ამოქმედება. ახლოვდებოდა ყინვები — სითბო სჭირდებოდა ხალხს.

და ლენინურმა კომუნისტურმა პარტიამაც დროებითი მთავრობის დამხობის მეორე დღესვე დარაზმა ბოლშევიკები და გაგზავნა ისინი ყველაზე მძიმე უბნებზე. სიტყვებს — „გამოცდილი კაცია“ ან მისთანას, იმ დღეებში, საერთოდ არ წარმოთქვამდნენ — ქვეყნის მართვის გამოცდილება ბოლშევიკებს არა ჰქონდათ. სხვა რამეს ამბობდნენ: „ეს არ გვიღალატებს, სანდო კაცია“. ადამიანის დახასიათება ყალიბდებოდა იატაკქვეშეთში მუშაობისა და იმის მიხედვით, თუ როგორ იქცეოდა ეს კაცი დაკითხვებზე, სასამართლოში, ციხეში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

თაობათა შეჯვარება

ანუ საუბარი წარსულსა და დღევანდელობაზე

თანამედროვეობამ ბევრი საზრუნავი და საფიქრალი აღუძრა ახალგაზრდობას. წარსულისკენაც გადაახედა კრიტიკული თვალით. გთავაზობთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის თსუ ალკკ კომიტეტის წევრის ეკა ვარდოშვილის საუბარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის პარტიული არქივის უფროს მეცნიერ თანამშრომელთან, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკთან, პარტიისა და კომკავშირის ვეტერან მარიამ ზაუტაშვილთან.

ეკა ვარდოშვილი. ქალბატონო მარიამ, ათეული წლები დგას ჩვენს შორის... თქვენ მომსწრე ხართ იმ დიადი გარდაქმნებისა, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში ხდებოდა. თქვენც იდექით იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც რევოლუციის მონაპოვარს განამტკიცებდნენ ჩვენს მიწა-წყალზე... რას ფიქრობთ დღეს ჩვენს თაობაზე?

მარიამ ზაუტაშვილი. მართალია, უკვე დიდი ხანია, ჩამოვცილდი კომკავშირულ ცხოვრებას, მაგრამ ახალგაზრდობასთან კონტაქტი არასოდეს გამიწყვეტია. თაობები მოდიან, იცვლებიან... ყველაზე ძალიან მე მათში მხიბლავს განათლება. ჩემი აზრით, განსწავლული ახალგაზრდობა მოვიდა. დიდი შესაძლებლობების მქონე...

ეკა ვარდოშვილი. ალბათ, უნებურად თქვენს ახალგაზრდობას ადარებთ, გული გწყდებათ.

მარიამ ზაუტაშვილი. დიახ, მამაჩემს ძალიან უყვარდა წიგნი, თუმცა განათლება არ ჰქონდა მიღებული. გულით უნდოდა, ნასწავლი შვილები ჰყოლოდა. მაგრამ ჩემს სოფელში, ყვარელში ერთი ოთხკლასიანი სასწავლებელი იყო, სადაც ბავშვებს კენჭისყრით იღებდნენ. ჩემდა საუბედუროდ, კენჭი არ შემხვდა. მაინც წამიყვანა თელავში და კერძო მასწავლებელს მიმაბარა. მერე საბჭოთა ხელისუფლებამაც მომისწრო...

ეკა ვარდოშვილი. და მაინც თქვენს თაობას ჰქონდა რაღაც სხვანაირი მიზანსწრაფვა.

მარიამ ზაუტაშვილი. გვწამდა ჩვენი საქმე და წმიდათაწმიდად მიგვაჩნდა ჩვენი მოვალეობა. ამას არც ერთი კომკავშირელი არ უღალატებდა. მაგალითად, როცა კულაკების წინააღმდეგ დაიწყო შეტევა, ძალიან საშიშ მდგომარეობაში ჩავცვივდით. ისინი შეიარაღებულ თავდასხმებს აწყობდნენ. მაგრამ არც ერთ ჩვენგანს არ მოუვიდოდა აზრად, სიცოცხლის გადარჩენის მიზნით უკან დაეხია

ეკა ვარდოშვილი. თქვენი ერთ-ერთი საჯარო გამოსვლაც ისე მოხვედრიათ გულში, ჩასაფრებულებს უსვრიათ.

მარიამ ზაუტაშვილი. დიახ, მაშინ გადავრჩი. დამნაშავენი იმ ღამესვე დააპატიმრეს. მე ერთი წუთითაც არ მიფიქრია დათმობა. ეს მებრძოლი სულია, ალბათ, ის სასიცოცხლო ძარღვი, რომელმაც მოუტანა კომკავშირს სახელი და დიდება, საშვილიშვილო საქმეები აკეთებინა. მაგრამ მაინც რაკი ისეთი მაღალი ტრიბუნიდან, როგორიც საკავშირო ალკკ ყრილობაა, ვორონეჟის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა მ. პასტუხოვამ ხმამაღლა განაცხადა: ჩვენ უნდა შევცვალოთ კომკავშირის სამყარო, რომელშიც ორმოცი მილიონი ახალგაზრდა ცხოვრობსო, როგორც ჩანს, საგრძნობი გახდა დღევანდელი თაობის აქტივობის მოდუნება, მისი ბრძოლისუნარიანობის შესუსტება.

ეკა ვარდოშვილი. შეიძლებოდა ეს გულგრილობის ტენდენციები უცაბედად გაჩენილიყო ჩვეს რიგებში? როდესაც უკან იყურებით, რას ფიქრობთ, თქვენ, თქვენს თაობას არ მიუძღვის ბრალი ამაში? აი, თქვენ კლასობრივი ბრძოლის წლები გაიხსენეთ. კულაკი რომ ახალი საზოგადოებრივი წყობის მშენებელს ებრძოდა ეს გასაგები იყო, მაგრამ ცოტა მოგვიანებით უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლი ვინ და რა აუცილებლობამ მოითხოვა. ღამით აწიოკებული ოჯახების, უცოდველი ბავშვების ცრემლი თაობიდან თაობას გასდევს მძიმე ტვირთად, გამოუსყიდველ ცოდვად. ვისთვის იყო ეს საჭირო? განა რწმენის განმტკიცება ნაძალადევად შეიძლება? რწმენა ხომ ცოდნაზე უნდა იყოს დამყარებული, შეგნებულ გაგებაზე და არა შიშსა და ძალადატანებაზე.

მარიამ ზაუტაშვილი. მართლაც მძიმე აღმოჩნდა ოცდაათიანი წლების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მდგომარეობა. აუნაზღაურებელი მსხვერპლის ფასად ხდებოდა ზოგჯერ რწმენის განმტკიცება. ჩვენი თაობის ახალგაზრდობას იზიდავდა ბრძოლა, ძიება, შემოქმედება. მთელი სულით და გულით ისწრაფოდა ახლისაკენ, რაც მთავარია, სწამდა ის, რასაც ეუბნებოდნენ. გაუნათლებლობისა და, ალბათ, იმის გამოც, რომ ბევრი რამ ჩვენთვის საიდუმლოებით იყო მოცული, კარგად ვერ ვერკვეოდით სიტუაციებში. რევოლუციის სახელით რომ ზოგჯერ უსამართლობა ხდებოდა. ყოველთვის არ შეგვეძლო ამის გარკვევა. ახლანდელი პოზიციებიდან რომ ვუყურებთ, უფრო იოლია ყველაფრის გაგება. მაშინ, რა თქმა უნდა, კომკავშირში აქტივობა კარგი და უზრუნველი ცხოვრების წინაპირობად არავის მიაჩნდა, როგორც ახლაა, მაგრამ დიდი და გამოუსწორებელი შეცდომები კი დავუშვით. უბრალო მაგალითს მოგახსენებთ: ჩემს ახალგაზრდობაში ერთხელ შევიკერე კაბა მოდაზე და ხელზე დედის ნაჩუქარი ბეჭედი გავიკეთე. მაშინვე გამომიძახა რაიკომის მდივანმა და გამომიცხადა: ან უნდა დაგმო ეს ყველაფერი, ან უნდა დათმო კომკავშირიო. მას შემდეგ ჩემს ხელზე ბეჭედი აღარავის უნახავს, ისე გავლილ მთელი ცხოვრება... მაშინ თავი მართლა დამნაშავე მეგონა და არ ვიცოდი, როგორ „გამომესწორებინა“ ჩემი „შეცდომა“... მატერიალური კულტურის ძეგლების მოვლაც ვერ შევძელით. ბევრმა ისე გაიგო ახლის დამკვიდრების პრინციპი, რომ ძველი სამყაროსი ყველაფერი უნდა განადგურებულიყო. სოფლების, რაიონული ცენტრების ისეთი სახელებიც დავკარგეთ, რომლებიც ჩვენი ხალხის წარსულზე მეტყველებდა და შორეულ საუკუნეებში ჰქონდა ფესვები გადგმული. თუმცა, ეს ყველაფერი მთლად ჩვენი ბრალიც არ არის. ილიას კარგადა აქვს ნათქვამი: ახლადფეხადგმულს ვერ მოსთხოვთ, ნაბადს გადაახტესო. ჩვენც ახალ საქმეს ვიწყებდით, ჯერ გაუკაფლავი გზებით მივდიოდით, და, რა თქმა უნდა, შეცდომებისაგან არ ვიყავით დაზღვეულნი.

ეკა ვარდოშვილი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა შეეხედა ხალხს ცხოვრებისათვის მართალი თვალით. სიტყვა და საქმე ძალიან რომ დასცილდა ერთმანეთს, ეს ხომ უცაბედად არ შეიძლებოდა მომხდარიყო. ათეული წლების მანძილზე გრძელდებოდა, თქვენც კარ-

გად მოგეხსენებათ, რომ სკოლაში სხვას ასწავლიდნენ ბავშვებს, სიტყვით სხვა-გვარად არიგებდნენ მშობლები, ცხოვრება კი სულ სხვა მაგალითებს აძლევდათ. აქედან მოდის ურთიერთდამოკიდებულებების გაუხეშებაც. საერთოდ, ადამიანი წლების მანძილზე მიეჩვია იმას, რომ არ არის საჭირო გულწრფელი, მართალი იყოს. ალბათ, აქედან ბუნებრივია ის სურათიც, რომელსაც არაერთხელ შევსწრებივართ მეც, თქვენცა და ათასი სხვაც: ორი ადამიანი დგას ერთმანეთის პირისპირ, არც ერთი არ არის გულწრფელი და ორივეს სურს, გარეშემყოფს თავი მართალ ადამიანად მოაჩვენოს. გულში ჩახედვა კი არც ერთს არ უნდა. და რაკი განურჩევლობის ვითარება სუფევდა, გულგრილობამაც იმატა.

ჩვენი ბებიები და ბაბუები იმ მძიმე წლებში ცხოვრობდნენ, როცა ბევრი რამ იყო ბუნდოვანი, საიდუმლოებით მოცული, ზოგ შემთხვევაში შიშზე, ძალდატანებაზე აგებული... ამაზე დღეს თავისუფლად ლაპარაკობენ. ჩვენი დედები და მამები სულ სხვა ატმოსფეროში აღიზარდნენ. აბა გადახედეთ ამ ოცდახუთიოდე წლის წინანდელ საზოგადოებრივ მეცნიერებათა სახელმძღვანელოებს. აღარ იყო შიში და ძრწოლა რაღაც მოულოდნელი საშიშროებისა, მაგრამ იყო კომუნიზმის პრინციპებისადმი უნიადაგო, ზერელე მიდგომა, ნაჩქარევი დასკვნები, რასაც განხორციელება არ ეწერა, როგორც დღევანდელობამაც კარგად დაადასტურა. კონტრასტულ პერიოდებად გაყოფილ ცხოვრებას არ შეიძლებოდა, დაღი არ დაესვა ადამიანებისათვის და ასეც მოხდა. ახლა მხოლოდ გულახდილობა და პრინციპული საუბარი თუ გვიშველის.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. მირონენკომ პირდაპირ თქვა, რომ მუშაობის უცვლელი ფორმების შედეგად ორგანიზაციები ტყუპისცალებივით დაემსგავსნენ ერთმანეთს. ერთნაირი იყო გეგმები, კრებების დღის წესრიგი. ნაკლოვანებებიც ერთნაირი ჰქონდათო. ახალგაზრდობასთან კი ძველი მეთოდებით მუშაობა აღარ შეიძლება.

მარიამ ზაუტაშვილი. უფრო მეტიც ითქვა. კონფერენციები და კრებები, პლენუმები და კომკავშირის კომიტეტების ბიუროს სხდომები კარგად დამუშავებულ სპექტაკლებსაც კი შეადარეს. მ. ს. გორბაჩოვმა ალბათ კომკავშირული აქტივის უაზრო ფაციფუცისა და ნაჩქარეობის გამო თქვა: — ზოგჯერ იქმნება შთაბეჭდილება, როცა ვიაზრებთ კომკავშირული აქტივის მუშაობას, თითქოს ახალგაზრდობა მიდის ქუჩის ერთ მხარეს, კომკავშირული აქტივი კი მეორე მხარეს, ამასთან საწინააღმდეგო მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ კომკავშირშიც გაჩნდა „ელიტა“, რასაც ძალზე მტკივნეულად აღიქვამს ახალგაზრდობა.

ეკა ვარდოშვილი. მაგრამ ისიც ხომ ითქვა, რომ ყველაფერი ახალგაზრდობას არ უნდა გადაბრალდეს, რომ ეს ყველაფერი დიდად არის დაკავშირებული ქვეყნის საერთო ვითარებასთან, საზოგადოებაში არსებულ ატმოსფეროსთან.

მარიამ ზაუტაშვილი. ვახერხებდით თუ არა, ახლა ძნელი სათქმელია, მაგრამ ვცდილობდით, ეს ატმოსფერო ჩვენვე შეგვექმნა.

ეკა ვარდოშვილი. მაშ, როდის გაუშვით ხელიდან რაღაც ისეთი, რის შემდეგაც შემოეპარა საზოგადოებას ზნეობრივი მანკი. ახლა ათასგვარი დაუშვებელი ხერხებით ნაშოვნი სიმდიდრის გამოფენა და სააშკარაოზე გამოტანა აღარავის სცხვენია. ამასთან, საგრძნობლად იმატა ასეთი ადამიანების რიცხვმაც. ახალგაზრდობა ხედავს, რომ ესა თუ ის პიროვნება არც განათლებით, არც სხვა მონაცემებით არ გამოირჩევა სხვებისაგან, მაგრამ მათზე უკეთესად ცხოვრობს. ეს უკარგავს მას ინტერესს, რწმენას.

მარიამ ზაუტაშვილი. მეც მახსოვს ერთი შემთხვევა... ყვარლის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობაში. თუ არ ვცდები, ბუღალტერი იყო, რომელიც, ეტყობა, ბოროტად სარგებლობდა თავისი თანამდებობით. მისი ოჯახის წევრებსაც სიამოვნებდათ, ხალხისთვის ეჩვენებინათ თავიანთი უპირატესობა. სწორედ მაშინ შემოიღეს კანონი, ორმოცდაათი მანეთის გაფლანგვისათვის კაცი ათი წლის პატიმრობით ისჯებოდა, ორმოცდაათ მანეთს ზემოთ კი დახვრეტა ელოდა. ეს კაცი დააპატიმრეს. მან მილიციაშივე მოიკლა თავი. მერე თანდათან იმატეს ამგვარმა ადამიანებმა და ასეთი ფაქტების მიმართ გულგრილობამაც. ვიღაცას თუ რაღაცას ვუფრთხილდებოდით, დუმილს მივეჩვიეთ. ახლა სხვა დროა, შეგვიძლია თამამად ვუთხრათ ერთმანეთს სათქმელი. და რაკი დადგა ეს დღე, ვფიქრობ, ძველმა და ახალმა თაობამ ერთად უნდა ავიმაღლოთ ხმა.

ეკა ვარდოშვილი. მართალი ბრძანდებით. ერთად უნდა ვიბრძოლოთ, მაგრამ უფროსმა თაობამ უნდა იზრუნოს იმისათვის, რომ ახალგაზრდობას რაც შეიძლება ბევრი ჰქონდეს სათაყვანო და წმიდათაწმიდა, მისაბაძი.

თქვენ გაივლიდით ქუჩაში და შეგხვდებოდათ გალაკტიონი, კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე აბაშელი, გერონტი ქიქოძე... მათთან პირად ნაცნობობაზე, მათი საუბრის მოსმენაზე არ ვლაპარაკობ. მე ვამბობ უბრალოდ ქუჩაში მიმავალთ რომ დაინახავდით, ცოტა ხანს იქნებ უკანაც აედევნებოდით, ალბათ, მთელი თვის სიხარული და აღმაფრენა გეძლეოდათ. ჩვენც გვყვანან ჩვენი საყვარელი მწერლები თანამედროვეთაგან. დაინახავ ზოგჯერ ზოგიერთ მათგანს ტელეეკრანზე. გიხარია, მოუთმენლად ელი, რას იტყვის. ის კი რაღაცაზე თუ ვიაღაცაზე გაბრაზებული, პირადი ანგარიშსწორებისათვის იყენებს ხალხთან სასარგებლო შეხვედრის ამ შესაძლებლობას. არც ისე იშვიათად მათი ნაწარმოებებისა თუ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების წაკითხვის შემდეგაც გვრჩება სულიერი უკმარისობის გრძნობა და გვიჩნდება მტანჯველი ეჭვი: „თუ ამ საქვეყნოდ ცნობილ ადამიანს ამდენი მტერი ჰყავს, ამდენს იბრძვის და ამდენ დროსა და ძალას ხარჯავს ამისათვის, მაშ, რას უნდა ელოდეს ჩვეულებრივი მოკვდავი? და გინდა მთელი ხმით იყვირო: „ნუ ხარჯავთ დროს ამ წვრილმანებში, გიყვარდეთ ერთმანეთი და ჩვენც გვასწავლეთ ადამიანების სიყვარული, დიდი საქმეების უსიტყვოდ კეთების საიდუმლო“.

მარიამ ზაუტაშვილი. კარგად თქვით. მწერლების, მეცნიერების, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწეების ცხოვრების წესს, ადამიანურ თვისებებს დიდი შთამაგონებელი ძალა აქვს. მათ ეს ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ.

ეკა ვარდოშვილი. ქალბატონო მარიამ, თქვენ დიდი ხანია ჩამოშორდით პრაქტიკულ პარტიულ სამუშაოს და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწევით. ესეც ერთგვარი პოზიციების დათმობა ხომ არ იყო რთული ცხოვრებისეული პრობლემების წინაშე?

მარიამ ზაუტაშვილი. არა. პარტიული არქივის დოკუმენტებმა ძალიან გამიტაცა. ვგონებ, არც უკვალოდ ჩაუვლია ჩემს შრომას. ბევრი კრებულის შედგენაში მივიღე მონაწილეობა.

ეკა ვარდოშვილი. ასე ვთქვათ, აგრძელებთ ახალგაზრდობაში დაწყებულ საქმეს.

მარიამ ზაუტაშვილი. ახლა მეხსიერებაში ამომიტივტივდა ერთი შემოდგომა: სამსახურში მივდივარ. დიდი გამოცოცხლებაა რესპუბლიკის მთავარ მოედანზე. ლამაზი ავტობუსები ჩამწკრივებულან, მუსიკა უკრავს. თურმე ათასფრად მოელვარე ახალგაზრდობა რთველში მიდის უფროსების დასახმარებლად. მერე ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები მოგვითხრობენ თქვენი ყოველდღიური შრომის შესახებ. ამის შემხედვარეს, ჩემდაუნებურად გამახსენდა, ოცდაათიან წლებში როგორ ვუწყობდით ხელს სოფლის მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარებას. ჩვენი კომკავშირული ლაშქრობები გარეგნული ბრწყინვალებით თქვენსას როგორ შეედრებოდა, სად იყო მაშინ ან ავტობუსი, ან სხვა რამ სიკეთე, თუმცა სიხარული და აღტაცება არც ჩვენ გვაკლდა... ჰოდა, იმ დღესაც დავრწმუნდი, რომ დიდი საქმენი მაშინაც კეთდებოდა, და ახლაც. ხალხის ჯანსაღი ნაწილი ცოცხლობდა, ცოცხლობს და იცოცხლებს. მას ცალკეული სიმახინჯენი ვერაფერს დააკლებს.

ეკა ვარდოშვილი. მეც ასე მგონია. პირველი ექსპერიმენტული სკოლა დავამთავრე. შეიძლება ითქვას, ჩვენთან დუღდა კომკავშირული ცხოვრება. ჩვენი მდივანი, ქეთინო სადრაძე, ერთი წუთით არ ადუნებდა ყურადღებას. მისთვის არ არსებობდა ჩამორჩენილი, პასიური ბავშვი. მოხერხებულად ჩაითრევდა მუშაობაში, თავდავიწყებამდე მიიყვანდა, გამოერკვეოდა და ნიშნებიც უკეთესი ჰქონდა, ავტორიტეტიც ამაღლებული. ეს კი ყველას მოსწონს. იგი ახლა საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მუშაობს.

უნივერსიტეტის სტუდენტი გავხდი და რამდენი საინტერესო საქმეა. სითბო და ყურადღება? საქმისადმი შემოქმედებითი მიდგომა და თითოეული კომკავშირელის აქტივობისათვის ზრუნვა? ეს უნივერსიტეტში ალბათ ყოველთვის იყო და ახლაც არის. გასულ სასწავლო წელს გამოცდების შემდეგ ფასანაურში რომ მივემგზავრებოდით ერთკვირიან კომკავშირული აქტივის სწავლებაზე, ყველას ეგონა, რომ ჩვენი მდივანი სესილი გოგიბერიძე ვერ წამოვიდოდა. მას პატარა ბავშვი ჰყავდა. მაგრამ, როცა დილით იგი ჩვენთან ერთად დავინახეთ, ვიგრძენით, რა ძალა აქვს საქმის სიყვარულს, ახალგაზრდობის რწმენისადმი ფაქიზ დამოკიდებულებას. იქ ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა. იმ დღეებში ზვავი ჩამოწვა, ჩვენი ბანაკი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. და როცა მართლა დაგვჭირდა სითბოც, ყურადღებაცა და გამხნევებაც, ჩვენი ლიდერი ჩვენს გვერდით იყო... ასე რომ ნათელი სხივი მუდამ თან სდევს ახალგაზრდობას. მთავარია, უფრო მებრძოლნი ვიყოთ, მართალი თვალით ვუყურებდეთ ცხოვრებას, ჩვენს საქმეს და გულწრფელად გვიყვარდეს ერთმანეთი.

ჟურნალმა „დროშამ“ იმთავითვე გამოკვეთა თავისი დამოკიდებულება საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების მიმართ. მის გარშემო თავი მოიყარეს მწერლებმა, მეცნიერებმა, პედაგოგებმა, ქალბატონებმა ადამიანებმა. პირველსავე ნომრებში დაიბეჭდა მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსე მრავალი საინტერესო წერილი, მხატვრული ნაწარმოები, პუბლიკაცია. ბევრი მათგანი დღესაც ინტერესით იკითხება. ქვემოთ ვბეჭდავთ ვლადიმერ მაიაკოვსკის ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს „მე თვითონ“ უცვლელად, ზუსტად ისე, როგორც იგი გამოქვეყნდა „დროშის“ ფურცლებზე.

დაბეჭდა „დროშამ“, 1923 წ. № 3
ვლადიმერ მაიაკოვსკი

თემა

მე — პოეტი ვარ და ამით ვარ საინტერესო. ამაზე ვსწერ კიდეც. მიყვარს, თუ შევდივარ აზარტში კავკასიის ბუნების სილამაზიდან — ყველაფერი ეს მაშინ არის, როცა სიტყვით გადადუღდება.

მთავარი რაც არი

დავიბადე 7 ივლისს 1894 წელს (ან 93 წელს — დედაჩემის აზრი და მამის სამსახურობის სია ერთი მეორეს არ ეთანხმებიან. ყოველ შემთხვევაში ამაზე ადრე არ დავბადებულვარ). ჩემი სამშობლოა სოფ. ბაღდადი, ქუთაისის გუბერნია, საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკაში.

რომანტიზმის ძირი

პირველი სახლი ნათლად წარმოდგენილი, ორ სართულიანი. ზევით სართული ჩვენია. ქვევით კიდევ პატარა მარანია. წელიწადში ერთხელ მოდიოდნენ ყურძნით დატვირთული ურმები. სწურავდნენ ღვინოს საწნახელში. მე ვჭამდი ყურძენს. ისინი სვამდნენ მაჭარს. ყველაფერი, სადაც ეს ხდება: ტერიტორია ბაღდადის ახლო უძველესი ქართული ციხის ნანგრევი. ციხეს ოთხ კუთხივ აკრავს გალავანი. კუთხეებში დარჩენილან ზარბაზნის დასადგამი ადგილები. შემდეგ დიდი თხრილები არის. შემდეგ ტყეები და ტურები. ტყეების ზევით მთები. წამოვიზარდე. ყველაზე დიდ მთაზე დავრბოდი. ჩრდილოეთით ხრამია. ვოცნებობდი, რომ ეს არის რუსეთი: საშინლად მიწევდა გული იქით.

ეგზამენი

გადავსახლდით ბაღდადიდან ქუთაისში. ეგზამენია ქუთაისში. ეგზამენიც დავიჭირე. მკითხეს ღუზის შესახებ (ჩემ სახელოზე). კარგად ვიცოდი, მაგრამ მღვდელმა მკითხა, რა არიო „Ока“, ეს ნიშნავს თვალს ძველ სლავიანურ ხუცურად. ამისთვის ლამის არ ჩამჭრეს. ამიტომ იმ თავითვე შევიძულე ყველაფერი ძველი, ყველაფერი ხუცური და სლავიანური. შეიძლება აქედან წარმოსდგა: ჩემი ფუტურიზმი, ჩემი ატეიზმი, და ჩემი ინტერნაციონალიზმი.

იაპონიის ომი

ჩვენს ოჯახს მოემატნენ გაზეთები და ჟურნალები: «Русская Ведомость», «Русское слово», «Русское Богатство» და სხვა. ვკითხულობ ყველაფერს ანგარიშმიუცემლად. აღელვებული ვარ. ჩემ

ეს თვითონ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალტაცებას იწვევენ ღია ბარათზე დახატული კრეისერები. მეც ვადიდებ ამ სურათებს და ხელმეორეთ ვხატავ. გამოჩნდა სიტყვა „პროკლამაცია“, პროკლამაციებს აკრავდნენ ქართველები, ხოლო ქართველებს კაზაკები საღრჩობელაზე ჰკიდებდნენ. ქართველები ჩემი ამხანაგები არიან. მე შევიძულე კაზაკები.

1905 წ.

რა დროს სწავლაა. წამოვიდნენ ორიანები. გადავედი მეოთხე კლასში, მხოლოდ იმიტომ, რომ მე თავი გამიტეხეს ქვით (რიონის პირზე ვიღაცასთან ჩხუბის დროს). გამოცდების დროს შემიბრალეს. ჩემთვის რევოლუცია დაიწყო ასე: „ჩემი ამხანაგი, მღვდლის მზარეული ისიდორე, პლიტაზე შეხტა ფეხშიშველა სიხარულით. — მოკლეს გენერალი ალიხანოვი, საქართველოს დამაწყნარებელი. დაიწყეს დემონსტრაციები და მიტინგები. მეც წავედი. კარგია. მხატვრულად განვიცდი: შავებში ანარქისტებია, წითელში ესერები, ლურჯში ესდეკები და სხვა ფერებში ფედერალისტები.

სოციალიზმი

სიტყვები, გაზეთები... ყველაფერში მხვდებიან უცნობი სიტყვები და ცნებები. ჩემს თავს ვთხოვ ახსნას. ფანჯარაში თეთრი წიგნები მოსჩანს: „Буревестник“-ის ვყიდულობ, ვდგები დილის 6 საათზე. ვკითხულობ ლოთივით. პირველი წიგნი: „ძირს სოციალ-დემოკრატები“. მეორე: „ეკონომიური საუბრები“. მთელ ჩემ ცხოვრებაში დამრჩა გასაოცრად სოციალისტების ნიჭი: ხსნიან ფაქტებს, და ქვეყანა მოჰყავთ სისტემაში. „რა უნდა იკითხო?“ მგონია, რუბაკინისა. წავიკითხე, რასაც მირჩევდა. ბევრი არ მესმის. გამოვიკითხავ. მე შემიყვანეს მარქსისტულ წრეში. მოვუსწარი ერფურტის პროგრამას. მოვხვდი შუა სწავლაზე. „ლუმპენ პროლეტარიატის“ შესახებ. მე უკვე ჩემს თავს სოციალ-დემოკრატად ვსთვლი: გადავაძვრინე მამაჩემის ბერდანკები ესდეკების კომიტეტში. ფიგურით მომეწონა ლასალი. ალბად იმიტომ, რომ წვერი არა აქვს. რაღაც უფრო ახალგაზრდაა. ლასალი მე გადავაბი დემოსთენს. დავდივარ რიონზე, ვლაპარაკობ სიტყვებს და პირი კენჭებით მაქვს ამოვსებული.

გზა

ყველაზე დიდებულია ბაქო, ჭები, ცისტერნები, საუკეთესო სურნელება — ნავთი, და შემდეგ კი ველი. თითქმის უდაბნო.

მოსკოვში

მთელი ოჯახი ჩავედით რაზუმოსკოვიეში. ჩემი დის ნაცნობები არიან — პლოტნიკოვები. დავიჭირეთ ბინა ბრონნაიაზე. მახსოვს პირველი „ბოლშევიკი“ ვანო კანდელაკი.

პარტია

1908 წელს შევედი რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკების) პარტიაში. დავიჭირე ეგზამენი სავაჭრო-სამრეწველო ქვერაიონში. კარგად ჩავაბარე. პროპაგანდისტი ვარ. წავედი მებულკეებთან. შემდეგ მეჩექმეებთან და შემდეგ სტამბის მუშებთან. ქალაქის საერთო კონფერენციაზე ამომირჩიეს მოსკოვის კომიტეტში. იყვნენ: ლომოვი, პოვოლუეცი, სმიდოვიჩი და სხვ. მეძახდნენ „ამხ. კონსტანტინ“.

დაპატიმრება

გრუზინებში მოვხვდი ჩასაფრებულ პოლიციას. გვქონდა არალეგალური სტამბა. ვსჭამდი ბლოკნოტს ადრესებით და შეკანულ ტყავით. პრესნიას უბნის ნაწილი. ოხრანკა. სუშჩევის უბნის ნაწილი. გამომძიებელმა ვოლტანოვსკიმ (ალბათ თავის თავს სთვლიდა ძალიან ეშმაკად) დამაწყებია კარნახით წერა. მე მაბრალებდნენ პროკლამაციების წერას. მე უიმედოთ აურიე კარნახი. ვსწერდი: „Социал-демократическая“ გამომიშვეს თავდებობის ქვეშ. უბნის ნაწილში გაკვირვებით წავიკითხე „სანინი“. რატომღაც ეს წიგნი ყველა საუბნო ნაწილებში იყო ხოლმე. ალბად სულის საცხონებლად.

გამოვედი. ერთი წელი პარტიულ მუშაობისა.

მეორე დაპატიმრება

ისინი, ვინც ჩვენთან ცხოვრობდენ, აწყობდენ „პოდკოპს“ ტაგანკისთვის. უნდოდათ გაენთავისუფლებიათ კატორღელი ქალები. მოაწყეს გაპარება ნოვინსკის ციხიდან. მე დამიჭირეს. სახლში მინახეს რევოლვერი და არალეგალური ლიტერატურა. არ მინდოდა ჯდომა, ვაკეთებდი სკანდალებს. გადავყავდით ერთ საუბნო ნაწილიდან მეორეში — ბასმანაია, მეშჩანკაია, მიასნიცკაია და სხვ. ბოლოს ბუტირკები. „ოდინოჩკა“. 103.

11 თვე ბუტირკის ციხეში

ჩემთვის ყველაზე უფრო საგულისხმო დრო. სამი წლის პრაქტიკის და თეორიის შემდეგ გადავვარდი ბელეტრისტიკაში, წავიკითხე ყოველგვარი ახალი სიმბოლისტები: ბელი, ბალმონტი. ვამჩნევდი ფორმალურ სიახლეს, მაგრამ ჩემთვის ეს ძალიან უცხო იყო. თემები და სახეები არ იყვნენ ჩემი ცხოვრებიდან. დავაპირე მეც დამეწერა მათსავით კარგად, მაგრამ სხვა რამეზე. გამოჩნდა, რომ ასევე წერა არ შეიძლება სხვის შესახებ. გამოვიდა ძალიან დამანჭული და რევპლაქსიური.

ასეთი ამბებით ერთი რვეული გავავსე. მადლობა კიდევ ზედამხედველებს, განთავისუფლების დროს წამართვეს, თორეშ დავბეჭდავდი კიდეც!..

მე გამომიშვეს. უნდა წავსულიყავი (ოხრანკამ დაადგინა) სამი წლით ტურუხანსკში. მამაჩემის მეგობარმა მახმუდბეკოვმა განაცხადა, რომ რევოლვერი მისი იყო, და როგორც იყო დაალმობიერა კურლოვი. ციხეში ჯდომის დროს მასამართლებდენ პირველ საქმეზე; დამნაშავეთ მიცნეს, მაგრამ ხნოვანება არ გამოვიდა. მიეცეს პოლიციის ზედამხედველობას და მშობლების პასუხისმგებლობას.

ეგრეთწოდებული დილემა.

გამოვედი აღელვებული. ისინი, ვინც მე წავიკითხე, ეგრეთ წოდებული დიდებულებია. მაგრამ როგორ არ არის ძნელი, მათზე უკეთესად წერა!.. მე უკვე ეხლაც სწორი განწყობილება მაქვს ქვეყანასთან. მხოლოდ საჭიროა გამოცდილება ხელოვნებაში.

საიდან უნდა ავიღოთ? მე უსწავლელი ვარ. უნდა გავიარო სერიოზული სკოლა. მე კი გამოგდებული ვარ გიმნაზიიდანაც და სტროგანოვის სასწავლებლიდანაც. რომ დავრჩე პარტიაში სამუშაოთ, უნდა გავხდე არალეგალური. არალეგალურს კი რა შეუძლია ისწავლოს.

პერსპექტივა ასეთია: მთელი სიცოცხლე სწერო ლეტუჩკები, ამოალაგო აზრები, მართალი, მაგრამ არა ჩემგან ნააზრევი, წიგნებიდან.

წაკითხული რომ გადაფერთხო, ჩემი რა დარჩება, მარქსისტული მეთოდი.

მაგრამ განა ბავშვის ხელში არ მოხვდა ეს იარაღი?

ადვილია მისი ხმარება თუ საქმე გაქვს საკუთარ აზრებთან.

მაგრამ რა უნდა ჰქნა მოწინააღმდეგესთან შეხვედრის დროს?

აი მაგალითად, ანდრეი ბელიზე უკეთესად მე ვერ დავწერ. ის თავის საკუთარზე „в небеса запустил ананасом“ და მე კი ვუმღერი ჩემ „ათასი მომკვლელი გულის დღეებს“. კარგია სხვა პარტიულებისთვის. მათ აქვთ უნივერსიტეტი.

(უმაღლეს სკოლას მაშინ, მე კიდევ არ ვიცნობდი, რა იყო და ამიტომ პატივს ვცემდი).

რა უნდა დავუპირდაპირო მე თავზე წამოქცეულ ძველ ესტეტიკას?

განა რევოლუცია არ მომთხოვს მე სერიოზულ სკოლას? მაშინ მე შევედი ჩემ

პარტიულ ამხანაგთან მედვედევთან: მინდა შევქმნა სოციალისტური ხელოვნება.

მე შევწყვიტე პარტიული მუშაობა და დავჯექი სამეცადინოთ.

■ დავით ბურლიუკ

მხატვრობის სასწავლებელში გამოჩნდა ბურლიუკი. ურცხვი შეხედულება. ლორნეტკა, სიურტუკი... დადის და დაიმღერის, მე დაუწყე დევნა, ლამის წავიჩხუბეთ.

■ სამახსოვრო ღამე

ბურლიუკთან საუბარი, რახმანინოვის მოწყენიდან გადავედით ჩვენ სასწავლებლის მოწყენაზე, სასწავლებლიდან მთელ კლასიკურ მოწყენილობაზე. დავითს აქვს თანამედროვეთა გასწრებული ოსტატის რისხვა, — მე კი სოციალისტის პათოსი, რომელმაც იცის აუცილებლობა ძველის დამხობის. დაიბადა რუსული ფუტურიზმი.

■ შემდეგი

დღეს მე გამომივიდა ლექსი. უფრო სწორად რომ ითქვას, რაღაც ნაგლეჯები. ცუდი. არსად არ არის დაბეჭდილი. ღამეა, სრეტენსკის ბულვარი. ვუკითხავ სტრიქონებს ბურლიუკს, თან ვუმატებ, რომ ეს ერის ერთი. ჩემი ნაცნობი. დავითი შეჩერდა, დამათვალიერა და წამოიყვირა: ეს ხომ თქვენი დაწერილია. თქვენ გენიალური პოეტი ყოფილხართ! ასეთი გრანდიოზული და დაუმსახურებელი ქება მე მახარებს. მე მთლად გადავეშვი ლექსებში. ამ ღამეს სრულიად მოულოდნელად მე შევიქენი პოეტი.

■ სილა

მაიაჩკიდან დავბრუნდით. თუ ჩამოყალიბებულ შეხედულებით არა, გალესილი ტემპერამენტით. მოსკოვში ვნახეთ ხლებნიკოვი. მისი მშვიდი გენიალობა მაშინ ჩვენთვის მიუწვდომელი იყო, რადგან მას ჩრდილს აყენებდა მდუღარე დავითი. აქვე ბზრიალობდა ფუტურისტული სიტყვის იეზუიტი კრუჩიონიხი.

რამდენიმე ლირიკის ღამეების შემდეგ დავბადეთ საერთო მანიფესტი. ღავითმა გადასწერა, მისცა სახელი და გამოუშვა „სილა საზოგადოებრივ გემოვნებას“.

■ დაიძრა...

გამოფენები. „ბუბნოვი ვალეტ“. დისპუტები. ამოხეთქილი სიტყვები ჩემი და დავითის. გაზეთები გაიკვსენ ფუტურიზმით. ტონი არ იყო მაინცა და მაინც ზრდილობიანი. ასე მაგალითად მე პირდაპირ მეძახოდენ «Сукин сын».

■ ყვითელი კოფტა

კოსტიუმები მე არასდროს არ მქონია. მქონდა ორი ბლუზა — საზიზღარი შეხედულების. გამოცდილი ხერხია გალუსტუკით შელამაზება. ფული არ მაქვს. გამოვართვი ჩემს დას ყვითელი ლენტის ნაგლეჯი. მოვიხვიე ყელზე. ფურორია. სჩანს ყველაზე უფრო შესამჩნევი და ლამაზი კაცისთვის ყელსახვევი ყოფილა აშკარა. თუ ყელსახვევს გაადიდებ, ფურორიც გაიზრდება და რადგან ყელსახვევის ზომა განსაზღვრულია, მე ვიხმარე ეშმაკობა: გავაკეთე ყელსახვევის ბლუზა და ბლუზის ყელსახვევი. შთაბეჭდილება აუწერელია.

■ მხიარული წელიწადი

დავდიოდით მთელ რუსეთში. საღამოები, ლექციები. საგუბერნატოროები ფხიზლობდნენ. ნიკოლაევში მოგვცეს წინადადება არ შევხებოდით არც კაცობრიობას, არც პუშკინს. ხშირად ნახევარზე გვაწყვეტიებდნენ მოხსენებას პოლიციელები. ჩვენ ვატაგას მიემატა ვასია კამენსკი. უძველესი ფუტურისტი. ჩემთვის ეს წლები — ფორმალური მუშაობაა. სიტყვის დამორჩილება (პირველი ტომის პირველი ნაწილი). გამომცემლები ჩვენ არ გვიღებდენ, კაპიტალისტური ცხვირი გრძნობდა ჩვენში დინამიტების მსროლელთ. ჩემსას ერთ სტრიქონსაც არ ყიდულობდენ.

მოსკოვში დაბრუნებული უფრო ხშირად ვცხოვრობდით ბულვარებში. ეს დრო დასრულდა ტრაგედიით „ვლადიმერ მაიაკოვსკი“. დადგეს პეტერბურგში: „ლუნა პარკში“. უსტვინეს.

■ ომი 1914 წ.

მივიღე აღელვებულად. პირველად უფრო დეკორატიულად და ხმაურის მხრით. ლექსი: „ომი გამოცხადებულია“.

■ ზამთარი

აღშფოთება და სიძულვილი ომის: „ოხ, დახურეთ, დახურეთ გაზეთების თვალები“ და სხ. ინტერესი ხელოვნებისადმი სრულებით გაქრა.

■ კუოკკალა

შვიდ ნიშნიანი სისტემა (შვიდ ნოლიანი). გავიჩინე 7 სადილის ნაცნობი. კვირას „ვსჭამ“ ჩუკოვსკის, ორშაბათს ევრიენოვს და სხ. ხუთშაბათს ყველაზე ცუდი იყო — ვსჭამდი რეპინის ბალახებს. ფუტურისტისთვის, რომელსაც ერთი საკენი სიმაღლე აქვს, რასაკვირველია ეს საქმე არ არის.

საღამოობით დავხეტიალობ პლიაჟზე. ვსწერ „Облако“-ს.

გამოიჭედა შეგნება მოახლოვებულ რევოლუციის.

გავემგზავრე მუსტომიაკაში. მ. გორკი. წავუკითხე მას «Облако»-ს ნაწყვეტები. გრძნობა გადმოდენილმა გორკიმ მთელი ჟილეტი დაშისველა ცრემლებით. ლექსებიც დავაყოლე.

მე ცოტა გავამაყდი. მერე გამოირკვა, რომ გორკი თურმე ყველა პოეტურ ჟილეტზე ქვითინებს.

ყოველ შემთხვევაში ჟილეტს ვინახავ. შემიძლია დავუთმო თუ ვინმეს უნდა პროვინციალურ მუზეუმისათვის.

■ 26 თებერვალი 17 წელი

წავედი ავტომობილებთან ერთად სათათბიროში, შევვარდი როძიანკოსთან კაბინეტში. შევათვალიერე მილიუკოვი. სდუმს. მაგრამ მე რატომღაც მგონია, რომ ის ცოტა ენა დაბმული უნდა იყოს. ერთი საათის შემდეგ მომაწყინეს თავი. წავედი. რამდენიმე დღით მივიღე ავტოშკოლის კომანდა.

გუჩკოვის სიო ქრის. ძველი ოფიცრობა ძველებურად დასეირნობს სათათბიროში. ჩემთვის ნათელია, რომ ამათ უთუოდ მიჰყვებიან სოციალისტები.

ბოლშევიკები ვსწერ რევოლუციის პირველ დღეებშივე. „პოეტის ქრონიკა“. რევოლუცია. ვკითხულობ ლექციას „ხელოვნების ბოლშევიკები“.

■ აგვისტო

რუსეთი თანდათანობით [illegible] ნსკის თავს. დაკარგეს პატივისცემა [illegible] დივარ „Новая жизнь“-ისა. [illegible] წყე ფიქრი მისტერია „ბუფფ“-ზე.

■ ოქტომბერი

მივიღოთ თუ არ მივიღოთ. ასეთი კითხვა ჩემთვის (და სხვა მოსკოვის ფუტურისტებისათვის) არ ყოფილა. ჩემი რევოლუცია. წავედი სმოლნში. ვმუშაობდი ყველაფერზე, იწყებენ სხდომას.

■ 18 წელი

რ. ს. ფ. ს. რ. ვერ მოიცლის ხელოვნებისათვის. მე კი სწორედ ამისათვის ვარ მოცლილი. შევედი პროლეტკულტში კშენისკაიასთან, რატომ პარტიაში არა? კომუნისტები მუშაობდენ ფრონტებზე. ხელოვნებაში და განათლებაში კი შემთანხმებლები. მე გამაგზავნეს ასტრახანში თევზის საჭერათ.

■ 19 წელი

ვმოგზაურობ ჩემი მისტერიით და სხვა ნაწერებით ჩემ ამხანაგებთან ერთად ქარხნებში. მშვენივრად გვიღებენ. ვიბორგის მხარეზე ხდება კომფუტის ორგანიზაცია. შევუდექით „კომუნის ხელოვნების“ გამოცემას აკადემიები ინგრევიან. გაზაფხულზე ჩამოვდივარ მოსკოვში. თავში მეძგერა „150.000.000“ დაწერის იდეა. წავედი როსტაში სააგიტაციოთ.

■ 20 წელი

გავარღვიე ყველა კანცელარიის თავის ტეხა და სიძულვილი — ვსდგამ „ჩემი მისტერიის“ მეორე ვარიანტს. მიდის რ. ს. ფ. ს. რ. პირველი თეატრში მეირხოლდის რეჟისორობით და მხატვრების ლავინსკის, ხრაკოვსკის, კისელიოვის დეკორაციებით ცირკში გერმანულ ენაზე კომინტერნის მესამე კონგრესისათვის. სდგამს გრანოვსკი ალტმანით და რავდელით. მიდის თითქმის ასჯერ.

დავიწყე წერა „იზვესტიაში“.

■ 21 წელი

მოვაწყვე „მაფ“-ის გამომცემლობის ორგანიზაცია, ვაგროვებ კომუნის ფუტურისტებს. შორეულ აღმოსავლეთიდან ჩამოვიდენ: ასეევი, ტრეტიაკოვი და სხვა ბრძოლების ამხანაგები. დავიწყე ჩაწერა სამი წლის ნამუშევრის 5 ინტერნაციონალის, უტოპია. უნდა ვაჩვენო ხელოვნება 500 წლის შემდეგ.

განვიზრახე: სიყვარულზე უზარმაზარი პოემა. შემდეგ წელში გავათავებ.

რიგში დგას ორი პიესა:

ეს ცოტაა და უვარგისი.

■ დასკვნა

რაც ვსთქვი, იმით არ მსურდა ამოვწურულიყავი. ყველა ნათქვამის გარდა მიყვარს ასტრონომია. „ვარდის ფერი ფანარი“ დახურეს იმის შემდეგ, როცა მე წავიკითხე: „ერთი საათი ამის შემდეგ“. მოხეტიალეც ლამის მიაკეტეს ლექსისათვის: „Вам проживающим“.

მაგრამ ამისთვის საჭიროა რომანების წერა.

მე კი პოეტი ვარ. და ეს არის ეგრედ წოდებული ავტობიოგრაფია. აი ყველაფერი...

ბის შემდეგ უნივერსიტეტში უნდოდა შესვლა. მამამ ცივი, გამჭოლი თვალებით შეხედა:

— რატომ? ჯანყის სულისკვეთებით გსურს გაიჟღინთო?

— როგორც თქვენ გენებოთ, მამიკო!

და რაკი მამას შვილის სამხედრო სამსახურში შესვლა ნებავდა, ნიკამაც რამდენიმე წელი სამხედრო სამსახურში გაატარა — ოფიცრის აქსელბანტებით მხრებდამშვენებულმა. პოლკში ძალიან უყვარდათ, საზოგადოებაში ნიკა-სულიკოს ეძახდნენ: მეტად წესიერ ადამიანად თვლიდნენ, ბრწყინვალე კარიერას აღუთქვამდნენ. მაგრამ ალექსი ალექსეევიჩმა, ხანში რომ შევიდა, ავადმყოფობა დაიწყო, შვილს თადარიგში გასვლა და სოფელში დაბრუნება უბრძანა.

— როგორც თქვენ გენებოთ, მამიკო!

მხოლოდ მარინა ფილიპოვნამ შებედა:

— მას ხომ შეუძლია ოცდათხუთმეტი წლის ასაკში გენერალი გახდეს!

რისთვისაც მკაცრი პასუხი მიიღო:

— უპირველეს ყოვლისა, იგი აზნაურია და აზნაურად უნდა დარჩეს. აზნაურის უპირველესი საქმე კი, მიწის მოვლა-პატრონობაა. დიახ! მემამულე უნდა იყოს! და როცა მოვკვდები, მინდა, ღირსეულად საქმის ცოდნით გააგრძელოს ეს ტრადიცია.

ასე დარჩა ნიკა-სულიკო დიდ გოლოვოტიაპებში, იგივე ობმანოვკაში, არსად მიემგზავრებოდა, მამულს მაინცდამაინც ვერ უვლიდა. მართალია, მამა აზნაურული მეურნეობის თეორიებს კარგად უხსნიდა, მაგრამ პრაქტიკაში ეჭვიანი იყო და შვილს არაფრის გაკეთების ნებას არ აძლევდა.

— ამას ვერ შეძლებ! ჯერ ახალგაზრდა ხარ! საქმეს დააკვირდი. თუ ჭკვიანად იქნები, ოდესმე მემამულე გახდები.

— თქვენი ნებაა, როგორც თქვენ გენებოთ, მამიკო!

სოფლად რომ თავისუფალი დრო ბევრი ჰქონდა, არაფერს აკეთებდა და გასართობიც არაფერი იყო. ნიკა აუცილებლად გალოთდებოდა და გარყვნილებას მიეცემოდა, ბუნებრივი სიფაქიზე და მშობლის შიში რომ არ დაჰყოლოდა. რას არ აბრალებდნენ ალექსეი ალექსეევიჩს მისი ძტრები, მაგრამ ამ მხრივ კი ვერაფერს უწუნებდნენ.

— თავშეკავებაა საჭირო!

— გარყვნილებას ვერ ვიტან! — ამბობდა იგი და თან საწერ მაგიდას მუშტს ურტყამდა. მოსამსახურე ქალები, ამ ხმაურს რომ ისმენდნენ, საყვარელთაგან მოწერილ საკმაოდ უწიგნურ უსტარებს სასწრაფოდ ცეცხლში აგდებდნენ. საკმარისი იყო თუნდაც ერთი ასეთი წერილი რომელიმე მოსამსახურე ქალის სკივრში აღმოჩენილიყო, რომ მანამდე დაწყნარებულ ობმანოვკას მამულში ერთი ალიაქოთი და ტირილი ატყდებოდა ხოლმე. დამნაშავე ქალს აწითლებული ლოყებითა და მთელი მისი საბადებლით დაუყოვნებლივ აძევებდნენ.

— წადი, მიჩივლე, სადაც გინდა!

ვის უნდა ეჩივლა, ყველას ეშინოდა.

ალექსი ალექსეევიჩის უმწიკვლო ხასიათი მით უფრო გასაოცარი და განსაკუთრებული იყო, რომ მანამდე ობმანოვები ამ თვისებით სრულიადაც არ გამოირჩეოდნენ. პირიქით მაზრაში ახლაც ახსოვთ ალექსეი ალექსეევიჩის პაპა, გადამდგარი გულადი მაიორი ნიკანდრ პანფილოვიჩი, რომელსაც მქუხარე ხმა, დაგრეხილი ულვაშები, უზარმაზარი მუშტები და გადმოკარკლული თვალები ამშვენებდა. იგი თეატრალური სასწავლებლის კორდებალეტის ნორჩი მოცეკვავის მოტაცებისთვის ჰეტერბურგიდან გაასახლეს. ამის შემდეგ გოლოვიტიაპებს თავზარსა სცემდა. ამ ღირსეულმა მოღვაწემ უპირველეს ამოცანად თავის მამულებში (მაშინ ჯერ კიდევ ბატონყმობა იყო) ადამიანთა მოდგმის ჯიშის საფუძვლიანად გაუმჯობესება დაისახა. ისე, რომ ობმანოვკაში ახლაც ხშირად შეხვდებით უზარმაზარ დაგრეხილულვაშა, ომახიან, თვალებგადმოკარკლულ მოხუცებს, ხალხი „მაიორებს“ რომ უწოდებს. ახსოვთ მაიორის მემკვიდრეც, მოხდენილი ალექსეი ნიკანდროვიჩი. იგი მშობელს სულაც არ ჰგავდა, მოცეკვავე ქალებს არ იტაცებდა, არც ყმების ჯიშს აუმჯობესებდა. დიდ გოლოვიტიაპებში სწორედ დიდი ემანსიპაციის დროს ჩამოვიდა, ერთ-ერთი ყველაზე უფრო საქმიანი და ლიბერალური მომრიგებელი მოსამართლე გახდა. სევდიანი ცისფერი თვალები ჰქონდა, გლეხებს თქვენობით მიმართავდა, მაზრელი ლამაზმანების გათვითცნობიერებას ცდილობდა, „რა ვაკეთოთ“-ს უკითხავდა. ითვლებოდა წითლად, თითქმის „კოლოკოლის“ კორესპონდენტადაც კი. ყველა ამ უდავო ღირსებასთან ერთად ერთი სისუსტეც ჰქონდა — მეზობელ ქალიშვილებთან სასიყვარულო ქსელს აბამდა, ყველას ცოლად შერთვას ჰპირდებოდა. ორცოლიანი გარდაიცვალა — რომ არ მომკვდარიყო, სამართალში მიცემას ვერ გადაურჩებოდა.

აი, როგორი წინაპრები ჰყავდა ალექსეი ალექსეევიჩს.

მისი ქვრივი მარინა ფილიპოვნა, თუმცა ბუნებით მეტად ეჭვიანი ქალი იყო (ისე კი მთელი ერთად ცხოვრების მანძილზე რაიმე საამისო საბაბი არა ჰქონია), ამბობდა:

— ბონასათვის თვალიც არ ჩაუკრავს! მოსამსახურე გოგოსთვის არ უჩქმეტია! მამის სიკვდილის შემდეგ სურათები [illegible] რჩა შიშველ-ტიტველთა გამოსახულებით, კედლიდან ჩამოახსნევინა და სხვენზე აატანინა.

ასეთმა კეთილზნიანმა ალექსეი ალექსეევიჩმა შვილიც ასეთივე აღზარდა.

ერთადერთი გაზეთი, რომელიც ობმანოვკამდე აღწევდა, თავად მეშჩერსკის „გრაჟდანინი“ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდობისას ალექსეი ალექსეევიჩი კატკოვის ლიცეიში სწავლობდა, მას „მოსკოვსკიე ვედემოსტიც“ კი არ მოსწონდა.

— მემამულე ვარ და მინდა ისეთი რამ წავიკითხო, მე რომ შემეფერება.

და ჯიუტად ისევ „გრაჟდანინს“ ირჩევდა. მთელი ოჯახიც „გრაჟდანინს“ კითხულობდა. ნიკა-სულიკოც ამას აკეთებდა. ავი ენები ამბობდნენ და, ალბათ, მართალიც იყვნენ: წინასწარ დარიგებულ გლეხს უახლოესი რკინიგზის ბაქნიდან მისთვის ჩუმ-ჩუმად „რუსკიე ვედემოსტიც“ მოჰქონდა. ზის ნიკა, თითქოს „გრაჟდანინს“ უკირკიტებს, ქვეშ კი „რუსკიე ვედომოსტი“ აქვს ამოდებული. როცა მამა ოთახში არ იმყოფებოდა, გაფაციცებით კითხულობს „რუსსკიე ვედომოსტის“. მამა რომ შემოვა, ადგება და მოუყვება თავად მეშჩერსკისთან ნასწავლ ამბავს, თუ როგორ უნდა გააძროს სიქა მზარეულის შვილს, ასე რომ, ნიკას ორმაგი მკითხველური ბუხჰალტერიიდან, უნებლიედ, ორმაგი მცდარი დასკვნა გამოიტანეს.

— ნიკა ნამდვილი მემამულე იქნება, — ფიქრობდა მამამისი.

რკინიგზის ბაქანზე კი ამბობდნენ:

— არა ჰგავს შვილი მამას. თავისუფლად აზროვნებს. რა ვუყოთ, რომ ჩემია. როცა დიდი ვოლოვიტიაპები მას დარჩება, მაშინ გვიჩვენებს, რაც შეუძლია. საქმეს სულ სხვაგვარად წაიყვანს.

მაგრამ მამაც ცდებოდა და რკინიგზის ბაქანიც. ნიკას ბნელი და გამოუცნობი ცხოვრებიდან ყველაზე ბნელი და გამოუცნობი მაინც შემდეგი საკითხი იყო:

— რა კაცი ვარ მე, ნიკანდრ ობმანოვი. რა რწმენისა და ზრახვისა?

იმის გამო, რომ „გრაჟდანინს“ მხოლოდ „რუსკიე ვედომოსტისთან“ ერთად კითხულობდა, თავში ნამდვილი დომხალი დაუტრიალდა. გაჰქრა საზღვარი მემამულურ აზროვნებასა და დოქტრინულ ლიბერალიზმს შორის. თავად მეშჩერსკის აზრებს ხან გულუბრყვილოდ გამოოქვამდა — ურევდა მას „რუსსკიე ვედომოსტის“ თვალსაზრისში, ხან კი პირიქით, „გრაჟდანინის“ ქვევით ამოდებული გაზეთის მოწინავეს რომ გადაავლებდა თვალს, იტყოდა ხოლმე:

— რა კარგად წერს თავადი მეშჩერსკი წერა-კითხვის საყოველთაო სწავლების შესახებ.

ალექსეი ალექსეევიჩის სიკვდილმა ნიკა ძალზე დაამწუხრა. მამა გულწრფელი სიყვარულით უყვარდა, თუმცა ეშინოდა კიდეც მისი. ახლა კი, მიწადაყრილ საფლავთან რომ იდგა, სინდისი ქენჯნიდა ამ საზეიმო და დიდად მნიშვნელოვან წამს. როცა ძველ ბატონთან ერთად ძველი თაობაც მიწაში ჩადის, ორგვარი გრძნობები აწუხებდა, ორი ჩიტი უჭიკჭიკებდა — თეთრი და შავი ჩიტები.

— მეცოდება მამაჩემი! — მოთქვამდა ერთი.

— სამაგიეროდ, ახლა სრულიად თავისუფალი ვარ! — ამბობდა მეორე.

— ახლა ვინ იქნება ჩვენი განმკითხავი?

— შეგიძლია თავისუფლად მოაწერო ხელი „მოსკოვსკიე ვედომოსტის“. „გრაჟდანინი“ კი, ჯანდაბას, იქით იყოს.

— ახლა შეგიძლია მადმუაზელ ჟიულის ყელსაბამი აჩუქო.

— რა ეშველება, ახლა, ობმანოვკას?

— ისე ნუ ვიტყვით, თითქოს ობმანოვკის გარდა სხვა აღარაფერი არსებობს. არა, ძამიკო, ახლა რომელ ქვეყანაშიც გსურს, იქ წახვალ.

— ობოლი ხარ, საბრალო ობოლი!

— შენი თავი შენ გეკუთვნის!

ასე ეკამათებოდნენ ერთმანეთს ეშმაკი და ანგელოზი. სურდათ დიდი გოლოვოტიაპების, იგივე ობმანოვკის ახალი მეპატრონის გრძნობებს დაუფლებოდნენ. ხან ერთი სძლევდა, ხან მეორე. სრულ უპირატესობას კი ვერც ერთი ვერ აღწევდა. ნიკას ფიზიონომია რამდენადმე იმ კარიკატურულ სიფათს მოგვაგონებდა, მარჯვნიდან რომ შეხედავ — იცინის, მარცხნიდან შეხედავ — ტირის. მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესი იყო, თვალცრემლიან ანგელოზს ბრძოლის ველი უნდა დაეტოვებინა, გამარჯვება მხიარულ ეშმაკუნას რჩებოდა.

შესავალი წერილი და თარგმანი **ბივი გამრეკელიასა.**

კროსვორდი



ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი; 2. ბრაზილიელი ფეხბურთელი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი; 3. ოქროს ბურთის ორგზის მფლობელი; 5. ჰადრაკში მსოფლიოს ექსჩემპიონი ვაუებში; 6. ბრაზილიელი ფეხბურთელი, რომელსაც აქვს გატანილი ოთხი ბურთი მსოფლიოს პირველობის ერთ მატჩში; 8. სოფელი გორის რაიონში; 9. 1970 წლის იტალიის საუკეთესო ფეხბურთელი; 12. ოქროს ბურთის მფლობელი; 13. არგენტინელი ფეხბურთელი ევროპის ოქროს ბუცის მფლობელი; 14. ევროპელი ფეხბურთელი, რომელსაც ათასზე მეტი ბურთი აქვს გატანილი; 15. ესპანელი მეკარე; 16. ამერიკელი მძლეოსანი ლოსანჯელესის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი; 17. სად ჩატარდა 1896 წლის ოლიმპიური ჩემპიონატი; 22. ქართველი მეკარე; 24. ქართველი მოჭადრაკე ვაჟი; 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი; 28. რომელ ბრაზილიურ კლუბს შეხვდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი 1960 წელს; 29. 1986 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელი გუნდი ფეხბურთში; 30. ოქროს ბუცის მფლობელი; 31. 1969 წლის მსოფლიო ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში.

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 4. ქართველი მოჭადრაკე ქალი; 7. 1986 წლის მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენი; 10. შოტლანდიის კლუბი ფეხბურთში; 11. დასავლეთ გერმანელი ფეხბურთელი; 12. ოქროს ბუცის მფლობელი; 14. ბელგიის კლუბი ფეხბურთში; 16. ქართველი მწერალი; 18. 1934 წლის მსოფლიო ჩემპიონის — იტალიის ნაკრების ფეხბურთელი ცნობილი „ორიუნდი“; 19. ურუგვაელი მწვრთნელი ფეხბურთში; 20. მოსკოვის ცსკას კალათბურთელი; 21. კიევის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი; 23. საბჭოთა ფეხბურთელი — მელბურნის ოლიმპიადის ოქროს მედლის მფლობელი; 25. ქართველი ფეხბურთელი; 26. საბჭოთა კავშირის 1982 წლის საუკეთესო ბომბარდირი; 32. 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონი, ფეხბურთელი; 33. ვინ იმსაჯა ყველაზე მეტჯერ ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ფინალურ მატჩებში; 34. 70-იანი წლების პროფესიული კალათბურთის ვარსკვლავი; 35. ქართველი ფეხბურთელი.

შეადგინა მალხაზ არაბულმა.

ჟურნალ „დროშის“ № 10-ში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. კარნავალი; 7. ჯეირანი; 10. კრედო; 12. ავიზო; 14. დაფნა; 16. აკმე; 17. რუსო; 18. ნიკე; 19. ლოხი; 20. იუტა; 22. ერწო; 28. ანივა; 24. ტანია; 26. ფეტრი; 27. ნოკაუტი; 30. რეპეტიცია.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 2. ადაჯო; 3. ნოტი; 4. ვიზა; 5. ლორია; 6. აკვატინტა; 8. რიფი; 9. მონოპოლია; 11. დრენაჟი; 13. ვარიეტე; 14. დაკია; 15. აგორა; 21. ვილა; 25. ანტრე; 26. ფიშტი; 28. კაფე; 29. უატი.

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ: საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის თენგიზ სამსონაძის პლაკატი; **ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ:** თბილისი. ლენინის მოედანი. ფოტო ან. რუხაძისა და ს. ედიშერაშვილისა. **ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ:** საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის გურამ ჭაჭაიას კომპოზიცია „მაცნე“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი პოეტები ოქტომბერს

დიდება, ვინც კიდევ გვაბრძოლებს იმედით,
ვინც მედგრად დახვდება მტრის რისხვა-მუქარას.
გათენდა... შეერთდით, შეერთდით, შეერთდით!
დროშები, დროშები... დროშები ჩქარა!

გალაკტიონ ტაბიძე ამ სტრიქონებით შეეგება ოქტომბრის რევოლუციას. მისი მგზნებარე, მომწოდებელი ხმა მთელ საქართველოში გაისმა. ეს ლექსი გახდა უპირველესი თავფურცელი ქართველი პოეტების იმ ნაწარმოებებისა, დიადმა ოქტომბერმა რომ გაუკვალა გზა.

სწორედ ამ ლექსით იხსნება რევოლუციური პათოსით გაჟღენთილი კრებული, რომელიც ახლახან გამოსცა „მერანმა“.

ამ კრებულში შესული, როგორც წინა, ისე მომდევნო თაობათა პოეტების ნაწარმოებები იმის დასტურია, რომ ქართული პოეტური ჩანგი რევოლუციის პირველსავე დღეებში ჩამდგარა ხალხის სამსახურში.

ამაზე მეტყველებენ ტიციან ტაბიძის, სანდრო შანშიაშვილის, სიმონ ჩიქოვანის, გიორგი ლეონიძის, ალიო მირცხულავას ხალახი, გულწრფელად დაწერილი ლექსები.

ხოლო რევოლუციის ბელადისადმი მიძღვნილი პაოლო იაშვილის ლექსი „ლენინს“, ერთ-ერთი უშესანიშნავესი ნაწარმოებია მთელ პოეტურ ლენინიანაში.

კოლაუ ნადირაძის, ვალერიან გაფრინდაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, იოსებ გრიშაშვილის, ნიკოლო მიწიშვილის, გიორგი ქუჩიშვილის, გრიგოლ ცეცხლაძის აქ წარმოდგენილი ლექსები დაწერილია იმ მძიმე დღეებში, როცა დანგრეული ქვეყანა ფეხზე დგებოდა. ამიტომაცაა, რომ ამ პოეტურ ნაწარმოებებში ასე მძაფრად იგრძნობა იმ დღეთა სუნთქვა.

მკითხველი კიდევ ერთხელ სიამოვნებით გადაიკითხავს ილო მოსაშვილის, კარლო კალაძის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, ალექსანდრე გომიაშვილის, ვიქტორ გაბესკირიას, ლადო ასათიანის, რევაზ მარგიანის, მირზა გელოვანის, მარიკა ბარათაშვილის, შალვა ამისულაშვილის, იოსებ ნონეშვილის, ალეკო შენგელიას ლექსებს.

ოქტომბრის სიდიადის გამოსახატავად ორიგინალური და თავისებური კუთხეა მოძებნილი ლექსებში, რომელთა ავტორები არიან ზურაბ ლორთქიფანიძე, მიხეილ ქვლივიძე, მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, გივი ძნელაძე, ლადო სულაბერიძე, შალვა ფორჩხიძე, ნოდარ გურეშიძე, თეიმურაზ ჯანგულაშვილი, შოთა ნიშნიანიძე, ზურაბ კუხიანიძე, ვასილ გვეტაძე, ვახტანგ გორგანელი, ოთარ შალამბერიძე, ნოდარ შამანაძე, ნაზი კილასონია, ფრიდონ ხალვაში, სილოვან ნარიმანიძე, ენვერ ნიუარაძე, გიორგი გიგაური, გურამ კლდიაშვილი.

კრებულში თავიანთი სიტყვა თქვეს მწერლობის შედარებით ახალგაზრდა წარმომადგენლებმა ზაალ ებანოიძემ, ბალათერ არაბულმა, თეიმურაზ აბულაძემ, ავთანდილ ყურაშვილმა, ელდარ კერძევაძემ, ლაშა ნადარეიშვილმა.

ქართველ პოეტებთან ერთად, აქ წარმოდგენილია აფხაზი და ოსი პოეტები გიორგი გულია, იუა კოღონია, ივანე თარბა, გიორგი გუბლია, კოსტა მარღითი, რიურიკ თედეთი, შალვა სანგულია, გერსან ყოდალათი, გიორგი ბესთაუთი, ნიკოლოზ კვიწინია, ალექსანდრე ფუხაევი, ალექსი ჯონუა.

ნაწარმოებები დალაგებულია მათი დაწერის თარიღების მიხედვით, 1917 წლიდან 1987 წლამდე.

გადაეცა წარმოებას 15. 09. 87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 11. 87. უე 14084. ქაღალდის ზომა 70×108 1/8. გარეკანი, ჩანართი და ტექსტი იბეჭდება ოფსეტური წესით. ფიზიკური ფურცელი 3, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,2, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,69. ტირაჟი 50.000. შეკვეთა 2192. ფასი 35 კაპ.
380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии.
Адрес редакции: 380008, Тбилиси, 8, пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილებათა გამგეების 93-28-42. 99-01-39, რედაქციის სამდივნოხი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.

ინდექსი 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა